MediaVoice Europe

მედიაგარემო საქართველოში - 2025:

მედიის მიტაცების პირობებში

მედიაგარემო საქართველოში - 2025:
მედიის მიტაცების პირობებში

თბილისი
2025

მედიაგარემო საქართველოში - 2025: მედიის მიტაცების პირობებში
Media Environment 2025: Navigating During Media Capture in Georgia

ავტორები:
მარიამ გერსამია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ეკატერინე გიგაური, “მედიახმის” უფროსი მკვლევარი
მარიკა გერსამია, “მედიახმის” უფროსი მკვლევარი, იურისტი

რედაქტორი: თეონა ცხომელიძე, “მედიახმის” აღმასრულებელი დირექტორი
ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ყორღანაშვილი

ცენტრი „მედიახმა - ევროპა“, ესტონეთი, 2025.
“მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი - მედიახმა”, 2025

Media Voice - Europe, Estonia, 2025
Media and Communication Educational and Research Center - “Media Voice”, 2025

გამოთქმული შეხედულებები, მოსაზრებები და დასკვნები მხოლოდ ავტორებს ეკუთვნის და არ წარმოადგენს ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის თავისუფლებისთვის შეხედულებებს ან პოზიციებს. ნაშრომი წარმოადგენს ავტორის დამოუკიდებელ ანალიზს და შეხედულებებს.

აკრძალულია წიგნში შეტანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, “მედიახმის” და “მედიახმა - ევროპის” წერილობითი ნებართვის გარეშე.

ნაშრომის ციტირების წესი:
გერსამია მ., გიგაური ე., გერსამია მ., მედიაგარემო საქართველოში - 2025: მედიის მიტაცების პირობებში, მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი „მედიახმა“, მედიახმა - ევროპა, 2025.

Gersamia M., Gigauri E., Gersamia M., Media Environment 2025: Navigating During Media Capture in Georgia, Media and Communication Educational and Research Center - “Media Voice”, Media Voice - Europe, 2025.

ISBN 978-9941-8-8321-7

სარჩევი

საკვანძო მოვლენები: 2024 6

შესავალი 8

ტერმინოლოგიური ჩარჩო და განმარტებები 10

1. კვლევის მეთოდოლოგია და პროცედურები 12

2. ძირითადი მიგნებები 13

3. ლიტერატურის მიმოხილვა 23

3.1. მზიას საქმის გზამკვლევი 24

3.2. სასამართლო ჟურნალისტიკა VS მიტაცებული სასამართლო 25

3.2.1. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა 26

3.2.2. სასამართლო რეპორტირების პრაქტიკა 28

3.3. მედიის მიტაცების რუსული სცენარი 30

3.4. საკანონმდებლო რეგრესი 34

3.5. სოლიდარობისა და ნდობის კრიზისი: გლობალური ტენდენციები 37

4. ანალიზი 39

4.1. მზიას ეფექტი 39

4.2. კანონების ინსტრუმენტალიზაცია მედიის წინააღმდეგ 42

4.3. ფინანსური კრიზისი: მედიის მომავალი - სინათლის ძიებაში 44

4.3.1. „მთავარი არხის” მაუწყებლობის შეჩერება 47

4.3.2. საერთაშორისო დახმარების როლი მედიაში 49

4.4. კონტენტის წარმოების გამოწვევები 50

4.4.1. ერთფეროვანი ქარგა მედიაში 50

4.4.2. სასამართლო ჟურნალისტიკის გამოწვევები 53

4.4.3. საპროტესტო ჟურნალისტიკა 57

4.4.4. ჟურნალისტების უსაფრთხოება 59

4.4.5. არჩევნების ჟურნალისტიკა 63

4.4.6. ციფრული ეკოსისტემის ტრანსფორმაცია და გამოწვევები 64

4.4.7. საზოგადოებრივი მაუწყებლის დაკარგული ნიშა 66

4.5. რუსული მავთულხლართები მედიაში 68

4.6. სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია და ნდობის აღდგენა 69

რეკომენდაციები 76

დასკვნა 80

ბიბლიოგრაფია 81

“მსოფლიოში ისეთი ტენდენცია შეინიშნება, რომ პრესის გასაჩუმებლადაღარსჭირდებათტირანებიდადესპოტები. არჩევნებით მოსულმა ლიდერებმა აღმოაჩინეს, რომ სულაც აღარაა საჭირო, ჟურნალისტები მოკლან, საკმარისია, უბრალოდ, მოკლან ჟურნალისტიკა”.

კუნდა დიქსიტი, ნეპალელი ჟურნალისტი

🚩 საკვანძო მოვლენები: 2024

- **12 იანვარი** - ღამით პოლიციამ ბათუმში დააკავა ონლაინგამოცემების, „ბათუმელების“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელი და დირექტორი, მზია ამაღლობელი.

- **20 იანვარი** - 32-წლიანი მაუწყებლობის შემდეგ დაიხურა რეგიონული ტელევიზია აჭარაში “TV 25”.

- **19 თებერვალი** - „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ძალაში შევიდა უკიდურესად პრობლემური შინაარსის, მედიასაშუალებების უფლებების შემზღუდველი ცვლილებები, რითაც გაძლიერდა კრიტიკულ მედია საშუალებებზე ზეწოლა მმართველი გუნდის ძალაუფლების კიდევ უფრო გასამყარებლად.

- **20 თებერვალი** - ძალაში შევიდა ცვლილებები „გრანტების შესახებ” საქართველოს კანონში და „ქართულმა ოცნებამ” საბოლოოდ აკრძალა მთავრობის თანხმობის გარეშე უცხოური გრანტის მიღება.

- **3 მარტი** - ლიეტუვამ და ესტონეთმა სანქციები (სავიზო შეზღუდვები) დაუწესეს მზია ამაღლობელის საქმის ფიგურანტებს - მოსამართლეებს, პროკურორებსა და პოლიციელებს.

- **27 მარტი** - ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” საქართველოს კანონი (ე.წ. აგენტების/ რუსული კანონი)

- **1 აპრილი** - ძალაში შევიდა საქართველოს კანონი **„**უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი” (FARA), რომლის ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-15, მე-17 და 22-ე მუხლებით დაცულ გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებებს. მიზნად ისახავს დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების, ორგანიზაციებისა და მედიების გაჩუმებას, დისკრედიტაციას და დევნას, მათ შორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ფორმით.

- **1 მაისი** - სამაუწყებლო კომპანიამ „მთავარი არხი” შეწყვიტა მაუწყებლობა.

- **26 ივნისი** - შევიდა ძალაში: ცვლილებები სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონში; ცვლილებები შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში, რომელმაც კიდევ უფრო გაართულა მედიის მუშაობა.

- **2 ივლისი** - ძალაში შევიდა ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონში, რომლებიც ზღუდავს სასამართლოში ამბების გაშუქებას, რამაც დღის წესრიგიდან უკიდურესად შეზღუდა სასამართლო რეპორტირება (მათ შორის სამოქალაქო ჟურნალისტების მიერ მოპოვებული მასალები) და გააქრო პირდაპირი ეთერი.

- **6 აგვისტო** - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო სახელაშვილმა „ბათუმელებისა” და „ნეტგაზეთის” დამფუძნებელსა და დირექტორს, ჟურნალისტ მზია ამაღლობელს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა (38-დღიანი შიმშილობისა და >20 სასამართლო სხდომის სხდომის შემდეგ).

- **8 აგვისტო** - ამოქმედდა ევროპული მედიის თავისუფლების აქტი (EMFA).

- **9 სექტემბერი** - მზია ამაღლობელს გადაეცა თავისუფალი მედიის ჯილდო ჟურნალისტური სიმამაცისა და უკიდურესად რთულ პირობებში მუშაობისთვის.

- **12 სექტემბერი** - საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის „ილია ჭავჭავაძის ეროვნული პრემია“ გადაეცა გაზეთ „ბათუმელებს“ - მზია ამაღლობელსა და ეთერ თურაძეს.

- **4 ოქტომბერი** - ჩატარდა მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები.

- **9 ოქტომბერი** - მზია ამაღლობელმა მსოფლიო პრესის თავისუფლების გმირის ჯილდო მიიღო. ჯილდო გაიცემა ორგანიზაციების საერთაშორისო პრესის ინსტიტუტისა (IPI) და საერთაშორისო მედია მხარდაჭერის (IMS) ჟურნალისტებზე, რომლებმაც პრესის თავისუფლების დაცვაში გამორჩეული წვლილი შეიტანეს.

- **12 ოქტომბერი** - მზია ამაღლობელს გადაეცა „Forum 2000“-ის საერთაშორისო ჯილდო ავტოკრატიასთან ბრძოლისთვის.

- **22 ოქტომბერი** - მზია ამაღლობელს ევროკავშირის ადამიანის უფლებათა უმაღლესი ჯილდო - სახაროვის პრემია გადაეცა. ჯილდო გაიცემა მათთვის, ვინც თავდაუზოგავად იბრძვის ადამიანის უფლებების დაცვისა და აზრის თავისუფლებისთვის მთელ მსოფლიოში.

- **2 ნოემბერი** - „ქართული ოცნების” საპატიო თავმჯდომარე, ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი „პრესის თავისუფლების მტაცებელთა“ სიაში მოხვდა.

- **10 ნოემბერი** - მზია ამაღლობელი ვენაში პაულ ვაიზის პრიზით დააჯილდოვეს. აღნიშნული პრემია გაიცემა სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის, Courage2030-ის მიერ სიმამაცისთვის.

- **18 ნოემბერი** - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიამ უცვლელად დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი და მზია ამაღლობელი პატიმრობაში დატოვა.

შესავალი

კვლევის მიზანია, 2025 წელს, საქართველოში არსებული მედიაგარემოსა და მედიის მიტაცების რუსული გენეზისის აღწერა და შეფასება. იმ ძირითადი საფრთხეებისა და მხარდამჭერი მექანიზმები გამოკვეთა, რომლებიც გავლენას ახდენდა საინფორმაციო ეკოსისტემაზე, მედიის სიცოცხლისუნარიანობაზე, მედიისადმი ნდობასა და სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაციაზე საქართველოში. კვლევა გამოკვეთს, თუ როგორ მუშაობს კლეპტოკრატიული მმართველობის პირობებში მედია, როგორ უმკლავდება რუსულ გავლენებს, დეზინფორმაციისა და მძლავრი პროპაგანდიდან მომდინარე საფრთხეებს. კვლევაში აღწერილია თუ როგორ იმოქმედა 2025 წელს არსებულმა გამოწვევებმა მედიაორგანიზაციების მდგრადობაზე, ჟურნალისტურ საქმიანობასა და მედია-პროდუქტის ხარისხზე. კვლევის ერთ-ერთი ასპექტია, გააანალიზოს მედიაგარემოს როლისა და ტრანსფორმაციის პროცესი საქართველოს ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში.

კვლევაში აღწერილია ჟურნალისტიკის პროფესიისა და ჟურნალისტების სარედაქციო გამბედაობის მნიშვნელობა კრიზისულ სიტუაციებში და ხაზგასმულია სიტყვის თავისუფლების გადარჩენისთვის ბრძოლის ტრანსფორმაციული მაგალითები. კვლევაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჟურნალისტ მზია ამაღლობელის დაპატიმრების შეფასებასა და გავლენას მედიაგარემოზე. გაანალიზებულია, რა ზეგავლენა მოახდინა მედიაზე რეპრესიული კანონების ინსტრუმენტალიზაციამ. შეფასებულია საკანონმდებლო ცვლილებების ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამობა , სასამართლო და საპროტესტო ჟურნალისტიკის გამოწვევები; როგორ მოქმედებს ჟურნალისტურ საქმიანობაზე პოლარიზაცია, პროპაგანდა და მასთან ბრძოლის რა საშუალებები არსებობს;

წინა წლების მსგავსად, კვლევა აფასებს სოლიდარობის ჟურნალისტიკას, როგორც ეფექტურ მხარდამჭერ მექანიზმს და აღწერს, როგორ ვლინდებოდა ის 2025 წელს, რაც მედიის ფინანსურ დამოუკიდებლობაზე, მედიისადმი ნდობის გაზრდისა და შეფასების ინდიკატორზე დაკვირვებასაც მოიცავს.

მნიშვნელოვანია რეტროსპექტული დაკვირვება მედიაგარემოზე, რადგან კვლევაში ჩართული მონაწილეები იხსენებენ გასული წლების იმ მოვლენებსა და ეპიზოდებს, რომლებმაც ტრანსფორმაციული კვალი დატოვა მედიაგარემოზე. ასეთი შემთხვევები დემოკრატიის უკუსვლას იწვევს და შეიძლება იყოს - ტელევიზიის მიტაცება/დახურვა, ერთი ჟურნალისტის დაპატიმრება, ჟურნალისტის მკვლელობა, კანონის მიღება/ცვლილება და სხვ. ამგვარი ეპიზოდების „მსუსხავი ეფექტი" თვალსაჩინო წლების შემდეგ ხდება და გადაფასებას მოითხოვს. მაგალითად, „მოქალაქეთა კავშირის" მმართველობის დროს ასეთი ეპიზოდები იყო გიორგი სანაიას მკვლელობა და „რუსთავი 2"-ში შეჭრა (2001); „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის დროს ეს იყო „იმედის" ტელევიზიაში შეჭრა და მისი მაუწყებლობის შეჩერება, ხოლო „ქართული ოცნების" მმართველობისას ასეთი მაგალითებია: „რუსთავი 2"-ის საქმე და ეროსი კინწმარიშვილის გარდაცვალება, 2019 წლის „გავრილოვის ღამე", 2021 წლის ჟურნალისტების დარბევა და ლექსო ლაშქარავას ტრაგიკული სიკვდილი, მზია ამაღლობელის დაპატიმრება და სხვ.

„მედიახმის" კვლევებზე დაყრდნობით, 2021 წლიდან მედიაგარემოს გამოწვევებში მუდმივად ფიგურირებდა და დღესაც არსებობს:

- მზარდი პოლარიზაცია (რეალური და ილუზორული) და მისი გავლენა მედიის კონტენტზე, ნდობასა და სოლიდარობაზე;
- რუსული გავლენები, ანტიდასავლური ნარატივები და დეზინფორმაცია;
- მმართველი გუნდის მიერ მედიის დისკრედიტაციის კამპანიები;
- ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის დაუსჯელობა და ძალადობის ნორმალიზება;
- ჟურნალისტების უსაფრთხოება (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ციფრული) და დაპატიმრებები;
- გაუარესებული საკანონმდებლო გარემო და არეპრესიული კანონების ინსტრუმენტალიზაცია და ე.წ. SLAPP საქმეები.
- სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია: მედიისადმი საზოგადოების სოლიდარობა, კოლეგიალობა და სოლიდარობა მედიებს შორის, სოლიდარობა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ;
- ფინანსური გამოწვევები;
- კონტენტის მრავალფეროვნება: ინფორმაციაზე და წყაროებთან ხელმისაწვდომობა;
- ბარიერები არჩევნების, სასამართლო და საპროტესტო ამბების გაშუქებისას;
- პოლიტიკური პარტიების გავლენები მედიაზე;
- თვითცენზურა და შიში ჟურნალისტებში, და სხვ.

წარსული მოვლენების რეტროსპექტივასთან ერთად, **საინტერესოა**, **თუ როგორ ხედავენ ჟურნალისტები ქართული მედიის ეკოსისტემის საუკეთესო ვერსიას**, **რამდენად მკაფიოა ეს სურათი და განვითარების ფოკუსი**.

კვლევა მოიცავს დასკვნებისა და რეკომენდაციების ნაწილსაც, რომელშიც გამოკვეთილია სოლიდარობის ინსტუციონალიზაციის მნიშვნელობა და მედიისადმი ნდობის აღდგენის მექანიზმები. უფრო მეტი სიცხადისთვის, კვლევაში ცალკე თავად არის გამოყოფილი ტერმინოლოგიური ჩარჩოც და განმარტებებიც.

ტერმინოლოგიური ჩარჩო და განმარტებები

ბოლო წლებში მედიის ტერმინოლოგიურ ველში თანდათან დამკვიდრდა ახალი ნეოლოგიზმები: პროდასავლური და ანტიდასავლური მედია, პრორუსული მედია, სახელისუფლებო/სამთავრობო და ოპოზიციური მედია, კრიტიკული და პროპაგანდისტული მედია და სხვა. ეს ნეოლოგიზმები ახალი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ფენომენის საპასუხოდ დამკვიდრდა და მედიაგარემოს პოლარიზაციის ბუნება მედიაენაშიც გამოხატა.

პოლარიზებული მედია ერთმანეთის მიმართ იყენებს იარლიყებს (მათ შორის სტიგმის შემცველ ტერმინებს). ესაა, ერთი მხრივ, „ოპოზიციური/კრიტიკული/დასავლური/რადიკალური“ და მეორე მხრივ, „სამთავრობო/პრორუსული/პროპაგანდისტული“ მედია. კვლევაში ჩართული მონაწილეების უმრავლესობა წლიდან წლამდე ყველაზე ხშირად „დამოუკიდებელ მედიად“ კვლავ ონლაინ-მედიას მოიაზრებენ.

ევროპული მედიის თავისუფლების აქტი (**EMFA**) - ევროკავშირმა 2024 წელს მიიღო მედიის თავისუფლების აქტი (European Media Freedom Act - EMFA), რომელიც სრულად 2025 წლის 8 აგვისტოს ამოქმედდა. აქტი ადგენს საერთო წესებს ევროკავშირის მედიასერვისების შიდა ბაზრის გამართული ფუნქციონირებისთვის, აყალიბებს საბჭოს და იცავს მედიის დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს. EMFA-ის მიზნები (მაგ: სარედაქციო დამოუკიდებლობის დაცვა, ჟურნალისტების უსაფრთხოება, მედიის გამჭვირვალობა და მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობა, საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობა) ევროკავშირის მასშტაბით აძლიერებს სანდო და თავისუფალ ინფორმაციულ ეკოსისტემას, რაც მნიშვნელოვანია დემოკრატიის გაძლიერებისთვის.

კლეპტოკრატია არის მმართველობის ფორმა, როდესაც მთავრობა დაკომპლექტებულია კორუმპირებული პირებით და საკუთარ ძალაუფლებას ხალხის სიმდიდრის მისათვისებლად, პირადი კეთილდღეობისა და გამდიდრებისთვის იყენებს. კლეპტოკრატია ავტორიტარულ რეჟიმებთან სახელმწიფო ინსტიტუტების, პოლიტიკური ძალაუფლებისა და რესურსების მიტაცებასთანაა ასოცირებული (Britannica).

კოლექტიური დაფინანსება (Crowdfunding) - დაფინანსების მეთოდი, როცა პროექტს, სტარტაპს ან იდეას ბევრი ადამიანი მცირე შენატანებით ეხმარება, ძირითადად, ინტერნეტის საშუალებით, სპეციალურ პლატფორმებზე.

მსუსხავი ეფექტი (**chilling effect)** - გამოიყენება, ძირითადად, სამართალსა და მედიაკომუნიკაციის სფეროში და აღნიშნავს იმ მდგომარეობას, როცა ადამიანები, განსაკუთრებით ჟურნალისტები ან აქტიური მოქალაქეები, ზღუდავენ გამოხატვის თავისუფლების შიშის, ზეწოლის ან შესაძლო სანქციების გამო (შაუა, 1978).

პრომპტი (prompt) - ინსტრუქცია, რომელსაც ვაწვდით ხელოვნურ ინტელექტს (მაგ. ჩატბოტს, ტექსტის გენერატორს), რათა განსაზღვროს, **რა** უნდა გააკეთოს და **როგორ** - რა სტილით, ტონით, სტრუქტურით ან შეზღუდვებით. პრომპტი შეიძლება იყოს ერთი სიტყვა, შეკითხვა, დეტალური დავალება ან სცენარი და ის პირდაპირ გავლენას ახდენს მიღებული პასუხის შინაარსსა და ხარისხზე.

სასამართლო ჟურნალისტიკა (ასევე: სასამართლო რეპორტირება) - დარგობრივი ჟურნალისტიკის მიმართულება, რომელიც სისტემურად აშუქებს სასამართლო პროცესებს (მოსმენებსა და გადაწყვეტილებებს). მისი მიზანია საზოგადოებისთვის ზუსტი და გასაგები ინფორმაციის მიწოდება მართლმსაჯულების განხორციელებაზე, სამართლებრივი სისტემის გამჭვირვალობის ხელშეწყობა და ღია მართლმსაჯულების პრინციპის დაცვა.

სოლიდარობის ჟურნალისტიკა - ჟურნალისტიკის მიმართულება, რომელიც საინფორმაციო, ფორმალურ ბალანსზე მეტად აქცენტს აკეთებს ძალაუფლების ასიმეტრიებზე და მოწყვლად/მარგინალიზებულ ჯგუფებთან პასუხისმგებლიან თანადგომაზე. სოლიდარობის ჟურნალისტიკა ინარჩუნებს პროფესიულ სტანდარტებს (ფაქტების გადამოწმება, წყაროების მრავალფეროვნება, გამჭვირვალობა), მაგრამ იხრება მათკენ, ვისი ინტერესებიც უმეტესად უგულებელყოფილია; აშუქებს არა მხოლოდ „ორ მხარეს“ და იცავს „ობიექტურობას“, არამედ ასახვას სამართლიან, ადამიანზე ორიენტირებულ რეალობას, რომელიც ხელს უწყობს ღირსების დაცვასა და სოციალური უსამართლობის გაცნობიერებას. ტერმინისა და ინიციატივის ავტორია ამერიკელი პროფესორი, ანიტა ვარმა.

სტრატეგიული სარჩელები საჯარო ჩართულობის წინააღმდეგ (SLAPP) - სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელსაც იყენებენ ძალაუფლების მქონე პირები და ორგანიზაციები, რათა დააშინონ და/ან ეკონომიკურად დააზარალონ აქტიური მოქალაქეები, ჟურნალისტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. SLAPP-ის პირდაპირი მიზანი არა სამართლებრივი დავის მოგება, არამედ სარჩელის ადრესატის ფინანსური, ფსიქოლოგიური და დროის სახსრებისაგან გამოფიტვაა. ევროკავშირმა მიიღო დირექტივა (2024/1069), რომელიც მინიმალურ პროცედურულ სტანდარტებს აწესებს სტრატეგიული სარჩელებისგან (SLAPP) დასაცავად და „მსუსხავი ეფექტის” შესამცირებლად. საქართველოში მუშაობს ანტი-SLAPP კოალიცია, რომელშიც გაერთიანებულნი არიან არასამთავრობო ორგანიზაციები („მედიახმის“ ჩათვლით).

„ჩეთემ ჰაუსის” წესი (Chatham House Rule) – შეხვედრის ფორმატი, როცა მონაწილეებს თავისუფლად შეუძლიათ მიღებული ინფორმაციის გამოყენება, მაგრამ მათი ვინაობა ან კუთვნილება/აფილიაცია არ უნდა გამჟღავნდეს. ადამიანთა ვინაობა კონფიდენციალურია, მაგრამ არა ის, რაც მათ თქვეს. წესი ხელს უწყობს ადამიანების შეკრებას, ბარიერების დანგრევას, იდეების გენერირებას და გადაწყვეტილებებზე შეთანხმებას. ოფიციალურად მიღებულ იქნა „Chatham House”-ის მიერ 1927 წელს.

ციფრული სერვისების აქტი (Digital Services Act / DSA) - ევროკავშირის რეგულაცია, რომელიც მიზნად ისახავს ონლაინ პლატფორმების რეგულირებას, რომ ონლაინ-გარემო მომხმარებლებისთვის უფრო უსაფრთხო და გამჭვირვალე გახადოს. DSA აწესებს ახალ ვალდებულებებს ონლაინ შუამავლებისთვის, განსაკუთრებით კი ძალიან დიდ ონლაინ პლატფორმებზე (VLOP) და ძალიან დიდ საძიებო სისტემებზე (VLOSE), რათა ებრძოლონ უკანონო კონტენტს, დეზინფორმაციასა და სხვა ონლაინ ზიანს. DSA-ის ძირითადი მიზნებია: მომხმარებელთა უფლებების დაცვა, პლატფორმების ანგარიშვალდებულების გაზრდა, ინოვაციების ხელშეწყობა, ეფექტიანი ზედამხედველობა. DSA მოიცავს სხვადასხვა ვალდებულებებს, მათ შორის: უკანონო კონტენტის სწრაფ მოხსნას, გამჭვირვალობას რეკლამებში, რისკის შეფასებასა და შემცირებას, დამოუკიდებელ აუდიტს.

ძალიან დიდი ონლაინ პლატფორმები (Very Large Online Platforms / VLOP) - მოიცავენ სოციალურ ქსელებს, საძიებო სისტემებს, ელექტრონული კომერციის პლატფორმებსა და კონტენტის გაზიარების სერვისებს. ძალიან დიდი ონლაინ პლატფორმების (VLOP) ქვეშ მოიაზრება ისეთი კომპანიები, როგორებიცაა: Google, Amazon, Meta, Linkedin, Youtube და სხვ. მათ ჰყავთ მომხმარებელთა დიდი რაოდენობა და აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა საზოგადოებრივ აზრზე, ეკონომიკურ საქმიანობასა და ინფორმაციის გავრცელებაზე. ტერმინი VLOP განსაკუთრებით აქტუალური გახდა ევროკავშირის ციფრული სერვისების აქტის (Digital Services Act - DSA) მიღების შემდეგ, სადაც ის გამოიყენება იმ პლატფორმების აღსაწერად, რომელთაც ევროკავშირის მასშტაბით 45 მილიონზე მეტი აქტიური მომხმარებელი ჰყავთ.

1. კვლევის მეთოდოლოგია და პროცედურები

მედიაგარემოზე დაკვირვება, წინა წლების (2021-2024) კვლევების მსგავსად, რესპონდენტთა თვალით დანახულ რეალობაზე დაყრდნობით მოხდა. მონაცემთა შეგროვების პერიოდად განისაზღვრა 2025 წლის ოქტომბერი და ნოემბერი. კვლევაში ჩართული იყვნენ ნაციონალური მაუწყებლების, ტელე და რადიო, რეგიონული, ონლაინ, ბეჭდური და საგამოძიებო მედიის წარმომადგენლები. შერჩევისას გათვალისწინებულია, რომ კავკასიის ბარომეტრის 2025 წლის კვლევების (აპრილი-მაისი, 2024) მიხედვით, პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ, მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, საქართველოში გამოკითხულთა 49% ასახელებს ტელევიზიას, 21% - სოციალურ ქსელებს, 19% - ინტერნეტს (სოციალური ქსელების გარდა). წინამდებარე კვლევაში შერჩევისას გათვალისწინებულია სწორედ ის ტელევიზიები, რომლებსაც პოლიტიკისა და მიმდინარე ამბებზე ინფორმაციის მისაღებად ყველაზე მეტად ენდობიან. ბოლო კვლევის (აჭაიძე, CRRC-Georgia, 2024) მიხედვით, ეს ტელეკომპანიებია: „იმედი“ (22%), „მთავარი არხი“ (8%), „რუსთავი 2“ (8%), „ტვ პირველი“ (6%), „ფორმულა“ (2%), საზოგადოებრივი მაუწყებელი (2%).

კვლევის მეთოდად შერჩეულია თვისებრივი კვლევა, კერძოდ კი - სიღრმისეული ინტერვიუები. პირისპირ ინტერვიუები გამოკვეთს პრობლემებს და რესპონდენტების კონფიდენციალობას მაქსიმალურად იცავს. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია სპეციალური სადისკუსიო გეგმა, პირველადი ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვებით. ინტერვიუების მიმდინარეობისას გამოიკვეთა მეორეული კითხვები.

რესპონდენტთა შორის იყვნენ ჟურნალისტები/რეპორტიორები, მედია-მენეჯერები, პროდიუსერები, მედიის დამფუძნებლები, საავტორო გადაცემის ავტორები და წამყვანები. მათ შორის არიან პოლარიზებული მედიაგარემოს სხვადასხვა პოლუსზე მყოფი პირები. საკვლევ პერიოდში 19 მედიაორგანიზაციის წარმომადგენელთან ჩატარდა ჯამში 22 სიღრმისეული ინტერვიუ (თითოეული ინტერვიუს ხანგძლივობა: 40-დან 60 წუთამდე, სულ, დაახლოებით: 18 საათი). ამათგან, 5 რესპონდენტი წარმოადგენდა მმართველი გუნდისადმი ლოიალურად განწყობილ მედიას, ყველა რესპონდენტის ვინაობა და აფილიაცია კვლევაში კონფიდენციალურია.

2025 წელს მედიის წარმომადგენლების უპრეცედენტო დევნის გამო, მონაცემების შეგროვებისას პირველად გამოყენებულია “Chatham House”-ის წესები, რომლის მიხედვისაც, შეხვედრის მონაწილეებს თავისუფლად შეუძლიათ მიღებული ინფორმაციის გამოყენება, მაგრამ მათი ვინაობა ან კუთვნილება არ უნდა გამჟღავნდეს. ეს მიდგომა აძლიერებს ნდობას (PCI, რიხტერი, 2024) და ამ პრაქტიკას მკვლევრებიც მიმართავენ მაშინ, როცა სურთ, წაახალისონ გულწრფელი დისკუსია და/ან საუბარი, შეაგროვონ ის ინფორმაცია, რომელიც სხვაგვარად არ იქნებოდა გაზიარებული. ამ მიდგომას აქვს ლიმიტებიც. კვლევაში ჩართულმა მონაწილეებმა არ იციან სხვების ვინაობა, კითხვარის გაიდლაინი არ ყოფილა გაზიარებული წინასწარ. ინტერვიუს ჩაწერა მოხდა მხოლოდ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე და ჩანაწერები განადგურდა დამუშავების შემდეგ. წინა წლების კვლევისგან განსხვავებით, პირველად კვლევას თან არ ახლავს მედიაორგანიზაციების დანართი.

2. ძირითადი მიგნებები

2025 წელს კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიის მიტაცება აქტიურ (შეიძლება ითქვას საბოლოო) ფაზაში გადავიდა, რამაც კიდევ უფრო გამოკვეთა რუსული გავლენებისა და ინტერესების დისკურსი. მედიის დღის წესრიგიდან თითქმის გაქრა რუსული ოკუპაციის თემა. დემოკრატიული ინსტიტუტების მიტაცებისა და ქვეყნის იზოლაციის საპირისპიროდ დარჩა - სოლიდარობა, როგორც საზოგადოების ბუნებრივი პასუხი თავისუფლების დასაცავად.

მავთულხლართები მედიაში

- ქართული მედიაგარემო სულ უფრო მეტად დაუახლოვდა რუსულ და ბელორუსულ სისტემებს. კონკრეტული საქმეები და პროცესები (მზია ამაღლობელის დაპატიმრება, „მთავარი არხის" დახურვა, კრიზისი საზოგადოებრივ მაუწყებელში, რეპრესიული კანონების მიღება და სხვ.) აჩვენებს, რომ მედიაგარემო არა წერტილოვნად, არამედ სისტემურად და ინსტიტუციურად იშლება. წინა წლებში საქართველოში არ იყო მოლოდინი, რომ ქვეყანა მართლაც დაემსგავსებოდა ბელორუსს ან რუსეთს. ამ კუთხით არსებული სიტუაცია მედიის წარმომადგენლებისთვის შოკისმომგვრელია.

- მედიაგარემოზე რუსული ჰიბრიდული გავლენა განსაკუთრებით გაიზარდა და ხილული გახდა 2022 წლიდან, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ. დეზინფორმაციის ზრდასთან ერთად, პოლარიზაციის გამყოფი ხაზიც უფრო მკაფიოა. ანტი-დასავლური პროპაგანდა სამთავრობო მედიაშიც ამ პერიოდიდან უფრო გამოიკვეთა. კრიტიკული მედიის წარმომადგენლები პროპაგანდის გაძლიერებაში მთავარ დამნაშავეებად სამთავრობო ჟურნალისტებს თვლიან.

- კვლევაში ჩართული ჟურნალისტები საგანგაშოდ მიიჩნევენ ფაქტს, რომ საქართველოში რუსული ოკუპაციის თემა ცენტრალური, რეგიონული და საერთაშორისო მედიის დღის წესრიგიდან გაქრა. ჟურნალისტები აღარ და ვეღარ მიდიან საოკუპაციო ხაზთან, „ბორდერიზაციის" პროცესის გადასაღებად, მოსახლეობასთან გასაუბრებისა და „მცოცავი ოკუპაციის" დოკუმენტირებისთვის. პროცესს ართულებს ისიც, რომ გადაღებისთვის საჭიროა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ნებართვა და დამატებითი ხარჯები. გართულდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში. შემცირდა ჟურნალისტური წყაროებიც.

- კრიტიკული და პრო-დასავლური მედიის გაქრობა კიდევ უფრო აძლიერებს რუსულ გავლენებსა და დეზინფორმაციის გავრცელებას საქართველოში. რუსული სტილის პროპაგანდა ცდილობს, წაშალოს ადამიანური ისტორიების ხილვადობა. კვლევამ აჩვენა, რომ სასამართლო ჟურნალისტიკის რეგულირების ერთ-ერთი მიზანი შესაძლოა იყოს სწორედ ის, რომ პროპაგანდას ხელს უშლიდა ის ემოციური ნიშან-ხატები და ვიზუალური ენა, რომელიც მაყურებელთან სოციალური ინტერაქციის ეფექტს ქმნიდა. შესაბამისად რუსული-სტილის პროპაგანდის შესასუსტებლად ეფექტური მექანიზმია, მრავალფეროვანი თემატიკის ადამიანური ისტორიები და პრო-სოციალური ქცევების დემონსტრირება (სოლიდარობა, ემპათია, მხარდაჭერა, იუმორი, კრეატიულობა და სხვ.).

მზიას თავისუფლებისა და „სარედაქციო გამბედაობის” საქმე

- მზია ამაღლობელის დაპატიმრებით წინა წლებში ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიული პოლიტიკა ახალ ეტაპზე გადავიდა. მზიას დაპატიმრებას ჰქონდა „მსუსხავი ეფექტი” მედიაგარემოზე: ჟურნალისტებმა დაიწყეს ფიქრი მათი დაპატიმრების შესაძლო სცენარებზე, უსამართლო და არაპროპორციულ სასჯელზე. ამით ქართული მედიაგარემო კიდევ უფრო დაუკავშირდა რუსულ და ბელორუსულ სცენარს.

- მოგვიანებით გამოიკვეთა პარადოქსული დინამიკა: მიუხედავად იმისა, რომ საჩვენებელი დასჯის მიზანი იყო ჟურნალისტების დაშინება, შედეგად გაჩნდა სოლიდარობისა და პასუხისმგებლობის ძლიერი განცდა, როცა ინდივიდუალური საქმე - საზოგადოების მორალურ ვალდებულებად იქცა.

- მზიას საქმემ დათესა შიში და მოგვიანებით - გამბედაობა, რაც მზია ამაღლობელის პერსონალურმა თვისებებმა და სიმამაცემ განაპირობა და ტრანსფორმირდა ჟურნალისტების „სარედაქციო გამბედაობაში”. მზიას ისტორიამ გამოკვეთა, რისი გაკეთება შეუძლია ჟურნალისტს ავტორიტარულ რეჟიმთან ბრძოლის დროს. მზია ამაღლობელის საქმე, სავარაუდოდ, იმოქმედებს ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაზე, პროფესიის პოსტ-საბჭოთა მემკვიდრეობის გადააზრებასა და რეპუტაციულ აღდგენაზე. მისმა პერსონამ შესაძლოა ხელი შეუწყოს საქართველოში ჟურნალისტის პროფესიის რებრენდინგს და მას მკვეთრი ეთიკური შეფერილობა და მასშტაბი მისცეს.

- მზია ამაღლობელის საქმემ საქართველოში მიმდინარე მოვლენები და პოლიტპატიმრების თემა საერთაშორისო დღის წესრიგში აქტიურად დააბრუნა. საქმის კამპანიური გაშუქებისას საერთაშორისო და ადგილობრივ მედიაორგანიზაციებს შორის გამოვლინდა უპრეცედენტო სოლიდარობა.

- მზიას საქმეს აქვს ეფექტი სხვა ბრალდებულების საქმეების შეფასებაზეც. ეს ვლინდება საზოგადოების რეაქციაში - შეადაროს სხვა ჩადენილი დანაშაულები ან განაჩენი მზია ამაღლობელის არაპროპორციულ 2-წლიან სასჯელს. ეს შედარებები კიდევ უფრო გამოკვეთს, რომ მზია ამაღლობელი დაისაჯა მისი პროფესიის გამო პოლიტიკური მოტივებით და არა იმიტომ, რომ მან რაიმე კანონდარღვევა ჩაიდინა. ეს არის პირდაპირი მითითება და გზავნილი ყველა სხვა სამართალდამცავისთვის, რომ თუ ისინი მანკიერი სისტემის ერთგული მსახურები იქნებიან, დარჩებიან დაუსჯელები.

- მზიას საქმეზე საერთაშორისო სოლიდარობის ზემოქმედება იყო ამბივალენტური, მაგრამ, ძირითადად, პოზიტიური: მან ერთი მხრივ, გაზარდა რეჟიმის აგრესიული რიტორიკა და მეორე მხრივ, უზრუნველყო მზიას ფიზიკური და სიმბოლური დაცვა. მიუხედავად საბოლოო უსამართლო განაჩენისა, კვლევაში ჩართული მონაწილეები სწორედ სოლიდარობას უკავშირებენ იმას, რომ 4-დან 7 წლამდე სასჯელის ნაცვლად, ბრალი გადაკვალიფიცირდა და მზიას 2 წელი მიუსაჯეს.

საკანონმდებლო გარემოს „მსუსხავი ეფექტი"

- საქართველოში მედიის მიტაცება რეპრესიული კანონების ინსტრუმენტალიზაციით მიმდინარეობს. 2025 წელს სამართლებრივი ჩარჩოები კოორდინირებულ რეპრესიულ სისტემად გადაიქცა, სადაც კანონების კომბინაცია და მათი არაპროგნოზირებადი, შერჩევითი აღსრულება ქმნის ფინანსურ, იურიდიულ და ფსიქოლოგიურ წნეხს კრიტიკულ და დამოუკიდებელ მედიაზე. შედეგად, გაზრდილია შიში და თვითცენზურა, რესურსები სასამართლო ბიუროკრატიაში გადადის. ინფორმაციის თავისუფლად მიმოქცევა (კონტენტთან წვდომა, პროდუქტის შექმნა და გავრცელება) სისტემურად არის შეზღუდული.

- ბოლო წლებში დრამატულად გაუარესებულმა მედიაგარემომ და კასკადურად მიღებულმა ანტიდასავლურმა კანონებმა საქართველოს წლების განმავლობაში რეგიონში მიღწეული ლიდერობის პოზიცია დააკარგვინა. მმართველი გუნდის პოლიტიკის შედეგად, მედიაკანონები და მათი განხორციელების გზები უფრო და უფრო დასცილდა ევროპულ სტანდარტებს და დაუახლოვდა რუსულსა და ბელორუსულ მოდელებს. რიგი ცვლილებები მომავალში იქნება ბარიერი ევროინტეგრაციის გზაზე, რადგან ეწინააღმდეგება ევროკავშირთან გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულებასა და საქართველოს კონსტიტუციას.

- წინა წლების საკანონმდებლო ინიციატივებმა და ცვლილებებმა გამოავლინა, რომ კანონებმა არა იმდენად ცალ-ცალკე, რამდენადაც კომბინაციაში, შექმნეს რეპრესიული გარემო. ყველაზე მეტად მედიაგარემო დააზიანა „გრანტების შესახებ" კანონში ცვლილებამ, რომელმაც ფინანსურად მოგუდა მედიაორგანიზაციები (განსაკუთრებით რეგიონული, ონლაინმედია და საგამოძიებო სტუდიები). ამას დაემატა "FARA-ს" კანონი, რომელმაც გააჩინა დაპატიმრების რისკები. კანონების „მსუსხავმა ეფექტმა" მალევე შეცვალა ჟურნალისტებისა და დონორი ორგანიზაციების ქცევები.

- საკანონმდებლო ცვლილებები იმაზე მძიმე ფორმებით განხორციელდა, ვიდრე ეს ჟურნალისტებს წარმოედგინათ. რუსეთისგან განსხვავებით, რეპრესიული კანონების მიღება და ამოქმედება საქართველოში დაჩქარებულად მოხდა. ჟურნალისტების აზრით, კანონების მთავარი მიზანი იყო შიშის დათესვა და ეს მიზანი უკვე მიღწეულია. მედიის „გაქრობა" ხდება არა მხოლოდ რეპრესიებით, არამედ შიშისა და თვითცენზურის გაძლიერებით, სასიცოცხლო რეზერვების გადატანით იურიდიულ და ბიუროკრატიულ ბრძოლებში, სადაც მედია იძულებულია, თავად შეწყვიტოს მუშაობა.

- რეპრესიული კანონები სისტემურად კლავს ჟურნალისტიკის პროფესიას. კანონების მიღების შემდეგ კრიტიკული მედიაორგანიზაციები იურიდიულად და ფორმალურად არსებობენ, თუმცა ორგანიზაციულად ჩამოიშალნენ და/ან განადგურების პირას არიან, მათი სიცოცხლისუნარიანობა (ყოველდღიური კონტენტის წარმოება) შეზღუდულია. ამ ფონზე, აქტიურად მიმდინარეობს პროფესიიდან „ტვინების გადინება".

- გასულ წელთან შედარებით, ორჯერ გაიზარდა მმართველი გუნდისადმი კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების სასამართლო პროცესების, დაკავებების, დაჯარიმებების რ-ბები. კერძოდ, 162 ასეთი შემთხვევიდან მხოლოდ 11 არის სამთავრობო ტელევიზიასთან დაკავშირებული და აქედან ყველა არის საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გათავისუფლებული თანამშრომლებისა და დემონსტრაციის დროს დაკავებული კრიტიკულად განწყობილი სამეურვეო საბჭოს წევრის სასამართლო პროცესები. 2024 წელს ეს მაჩვენებელი ოთხჯერ იყო გაზრდილი.

ეროვნული სასამართლოს მიტაცების პირობებში, ადამიანის უფლებათა დაცვისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საერთაშორისო სამართლის მექანიზმების - ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს (ECtHR), გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებისა და სპეციალური მომხსენებლების, ეუთო/ევროპის საბჭოს ინსტრუმენტებისა და მათი დროებითი/შუალედური ღონისძიებების - ეფექტიანი გამოყენება სტრატეგიული სამართალწარმოების, მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით.

ფინანსური კრიზისი

- ფინანსური თვალსაზრისით, 2025 წელი ყველაზე რთული წელი აღმოჩნდა, რადგან მედიაზე შეტევა კონსოლიდირებული იყო სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან და დაფინანსების ალტერნატიული გზები გადაიკეტა. მედიის „მოგუდვის" მთავარი მექანიზმი სწორედ ფინანსური რესურსების გაქრობა და დასჯის შიშის ინსტრუმენტალიზაცია აღმოჩნდა.

- წინა წლების მსგავსად, მედია განვითარების ნაცვლად თავდაცვით და გადარჩენის რეჟიმში აგრძელებდა მუშაობას, თუმცა ტრადიციული ტელემედია იმდენად დასუსტდა, რომ მაუწყებლობა შეწყვიტა და/ან გადაცემების ნაწილი დახურა. რეგიონებში არაერთი მედიაორგანიზაცია დაიხურა ან საქმიანობის პროფილი შეიცვალა.

- „მთავარი არხის" ტელევიზიის დახურვამ ნეგატიურად იმოქმედა მედიაგარემოზე. ამ პრეცედენტმა დათესა შიში და დახურვის საშიშროება გაუმყარა სხვა კრიტიკულ ტელევიზიებს. პროკურატურის ჩართვამ მფლობელების დავის პროცესში შექმნა SLAPP-ის ეფექტი. არხის ტრანსფორმაციამ ალტერნატიულ პლატფორმებზე ბოლომდე ვერ ჩაანაცვლა სატელევიზიო ნიშა და აუდიტორია. ამან მმართველი გუნდის სასარგებლოდ კიდევ უფრო დაარღვია „მეოთხე ხელისუფლებაში" ძალაუფლების გადანაწილების ბალანსი.

- მედიაში ფინანსურ კრიზისს ამწვავებს ისიც, რომ ქართული ბიზნესი სათანადოდ არ უდგას გვერდში დამოუკიდებელ მედიას. მათი ძირითადი ინტერესი მიმართულია სამთავრობო მედიებისკენ. ბიზნეს-სექტორი ერიდება კრიტიკული მედიის დაფინანსებას იმიტომ, რომ არ გამოიწვიოს მმართველი გუნდის უკმაყოფილება.

- პრობლემურია მემკვიდრეობა, რომელიც მედიას დარჩა საბჭოთა პერიოდიდან. პოსტ-საბჭოთა საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ არსებობს მედიის ფინანსური მხარდაჭერის, გამოწერისა და დონაციის კულტურა, თუმცა კრიზისულ პერიოდში საზოგადოება მაინც ეხმარება მედიას. 2025 წელს მედიაორგანიზაციები უფრო მეტად გახდნენ ფოკუსირებულები საზოგადოების ჩართულობის გაზრდაზე. საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის შემდეგ რეგიონული მედია აქტიურად მუშაობს ხელმომწერების მობილიზებაზე, რასაც მეტ-ნაკლებად პოზიტიური დინამიკა აქვს.

ალტერნატიული შემოსავლები (დონაციები, კოლექტიური დაფინანსება/crowdfunding, გამოწერა) ჯერჯერობით წარმოადგენს დროებით მხარდამჭერ მექანიზმს. მენეჯერები სკეპტიკურად უყურებენ YouTube პლატფორმით შემოსავლების მიღებას, რადგან ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, პლატფორმა ნაკლებად იძლევა მონეტიზაციის საშუალებას.

- ტელევიზიებში დონორების მიერ დაფინანსებული კონტენტის გაქრობის შემდეგ მედიაგარემო კიდევ უფრო პოლარიზებული გახდა, რადგან საერთაშორისო გრანტებში ჟურნალისტური სტანდარტებისა და დაბალანსების ვალდებულება ქმნიდა შედარებით უფრო ნეიტრალურ და მრავალფეროვან სივრცეს.

- ფინანსური პრობლემების გამო კრიტიკულ ტელევიზიებს არ აქვთ შესაძლებლობა, მოამზადონ გასართობი გადაცემები. სამთავრობო ტელევიზიები საინფორმაციო და ანალიტიკური გადაცემების მიღმა ამზადებენ გასართობ კონტენტს, აუდიტორიას სთავაზობენ სერიალებსა და მრავალფეროვან ბადეს, რაც მაყურებელს იზიდავს. მედიაში ფინანსური კრიზისი იწვევს დღის წესრიგიდან არაკომერციული თემებისა და დისკუსიების გაქრობასაც.

- არსებული გამოწვევებისთვის არც დონორები და არც კრიტიკული მედიაორგანიზაციები აღმოჩნდნენ მზად. იმისდა მიუხედავად, რომ დონორებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს რეპრესიული კანონებისა და მედიის შევიწროების გზა სხვა ქვეყნებშიც ჰქონდათ შესწავლილი, საქართველოში სიტუაციის პრევენცია ვერ მოხდა.

კონტენტის წარმოება

- კრიტიკულ მედიაორგანიზაციებში სულ უფრო მეტი ბარიერი ჩნდება იმისთვის, რომ მათმა ჟურნალისტებმა შექმნან და აუდიტორიამდე მიიტანონ ხარისხიანი და მრავალფეროვანი კონტენტი.

- კონტენტის წარმოება მიზანმიმართულად კიდევ უფრო გართულდა ყველგან, სადაც მედიისა და საზოგადოების ინტერესი მაღალია და მნიშვნელოვანია მედიის პროაქტიული მუშაობა: სასამართლოებში, საპროტესტო აქციებზე, საკანონმდებლო ორგანოში და სხვ.

- მედიის პლურალიზმს რეალური საფრთხე შეექმნა, რაც გამოწვეულია სამაუწყებლო და ონლაინმედიაში ძალაუფლების გადანაწილებისა და კონტენტის მრავალფეროვნების დისბალანსით. მმართველი გუნდისადმი კრიტიკულად განწყობილი ტელევიზიის, „მთავარი არხის" დახურვამ და ონლაინმედიებზე განხორციელებულმა თავდასხმებმა ერთიანად დაასუსტა კრიტიკული მედიის ფლანგი.

- გაუარესდა საჯარო ინფორმაციაზე წვდომა (მათ შორის პარლამენტსა და სასამართლოებში). თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნება პირდაპირ კავშირშია უფრო ფართო აუდიტორიასთან წვდომასთან. მრავალფეროვანი კონტენტის შესაქმნელად კრიტიკული მედიას აღარ აქვს ადამიანური და მატერიალური რესურსი. წყაროებში გაზრდილი თვითცენზურა მოქმედებს მასალების ხარისხზე.

- გამოწვევად რჩება მედიის პარტიებთან სიმბიოზური ურთიერთობის მანკიერი პრაქტიკა, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივ თემებსა და ინტერესზე ორიენტირებული მედიის განვითარებას.

- 2025 წელს მედიამ დაიწყო ხელოვნური ინტელექტის პლატფორმების პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება, თუმცა სარედაქციო პროტოკოლები ამ მიმართულებით არ არსებობს, რაც დეზინფორმაციის გავრცელების რისკებს ზრდის.

- მიუხედავად ალტერნატიული მედიუმების (მაგ: YouTube) გააქტიურებისა საქართველოში, ტელევიზია ჯერ კიდევ რჩება ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ, თუმცა მმართველი გუნდის სასარგებლოდ ძალაუფლების დისბალანსი ციფრულ პლატფორმებზეც ჩანს.

- 2025 წელს შეიცვალა სამთავრობო მედიის დღის წესრიგი და დაიწყო მაღალჩინოსნების კორუფციის საქმეების გაშუქება. თუმცა, ეს იყო დამოუკიდებელი სარედაქციო გადაწყვეტილება და სამთავრობო მედიამ აქაც, უბრალოდ გაიმეორა მმართველი გუნდის დღის წესრიგი. წლების განმავლობაში კრიტიკული და დამოუკიდებელი მედია იყო მმართველი გუნდის სამიზნე იმიტომ, რომ მხოლოდ ის აშუქებდა კორუმპირებული მაღალჩინოსნების საქმეებს და საფრთხეს უქმნიდა მათ ძალაუფლებაში დარჩენას.

- ჟურნალისტების შეფასებით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაკარგა ნიშა - იყოს ნებისმიერი მოქალაქის ტრიბუნა. არხმა შეითავსა გასართობი არხის ფუნქცია. აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელშიც საუბრობენ თვითცენზურის ზრდასა და იმაზე, რომ პოლიტიკურ კონიუნქტურას ადგილობრივი ჟურნალისტები შეეგუვნენ და თავს არიდებენ კრიტიკული კითხვების დასმას.

- 2025 წელს ჩატარებულ მუნიციპალურ არჩევნებს საქართველოში რეკორდულად მცირე რაოდენობის ადგილობრივი და საერთაშორისო მედია დააკვირდა. არჩევნების პერიოდში ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა კი კიდევ უფრო გაუარესდა.

სასამართლო ჟურნალისტიკა

- სასამართლოებში ფოტო და ვიდეო გადაღებების აკრძალვა მიმართული იყო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების გაშუქების შეზღუდვისკენ. ეს იყო ხელოვნური ჩარევა იმ დისკურსში, რომელსაც მედია გვთავაზობდა სოციალური რეალობის საჩვენებლად და რომელიც განზოგადების საშუალებასაც იძლეოდა. მედიის დისკურსიდან გაქრა სასამართლოზე წარმოთქმული სიტყვით გამოსვლები, რომლებიც სოციალური ინტერაქციის ელემენტებს ქმნიდა.

- შეზღუდვამ შეასუსტა მედიის ჩართულობა და „მოდარაჯე ძაღლის“ ფუნქცია, რამაც საზოგადოების მხრიდან კონტროლზეც ნეგატიურად იმოქმედა: მედიას აღარ შეუძლია ვიზუალური მასალის გამოყენება სასამართლო პროცესების გაშუქებისას, რაც ამცირებს საზოგადოების ინფორმირების ხარისხს. ჟურნალისტებს უწევთ, მხოლოდ სიტყვიერად აღწერონ სასამართლო პროცესები, რაც ხშირად არასაკმარისია სრული სურათის შესაქმნელად. ახალი საკანონმდებლო და ბიუროკრატიული მექანიზმებით მედიას პრაქტიკულად სრულად შეეზღუდა პროცესების გაშუქება.

- დოკუმენტირებული მასალის არარსებობა ქმნის ნიადაგს დეზინფორმაციის გასავრცელებლად. საზოგადოებას არ აქვს შესაძლებლობა, ვიზუალურად გადაამოწმოს მონათხრობი. შედეგად, გაჩნდა მეტი სივრცე პროპაგანდისა და მსჯავრდებულების დისკრედიტაციისთვის.

- სასამართლო დარბაზში გადაღების აკრძალვამ ჟურნალისტების მუშაობა გაართულა: შეზღუდა ოპერატიულობა, პერსონიფიკაცია და ადამიანური ისტორიების ჩვენება, ინფორმირებულობა და სანდოობა, ექსკლუზიურობა, დასწრების ეფექტი, მიუკერძოებლობა. მტრული გარემოს გამო ჟურნალისტებისთვის ფიზიკურად რთულია თბილისის საქალაქო სასამართლოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მუშაობა.

- სასამართლოებში დაწესებულ მუშაობის შეზღუდვებს მედიამ შეძლებისდაგვარად უპასუხა: წინ წამოწია ამბის თხრობის ალტერნატიული ვერსიები (ე.წ. Live ბლოგებითა და ჩანახატებით რეპორტირების პრაქტიკა). საპასუხოდ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც სასამართლოებში ტექნიკური მოწყობილობებისა და საკომუნიკაციო საშუალებების (ლეპტოპი, მობილური ტელეფონი და სხვა) შეტანა აიკრძალა. სასამართლოს მანდატური უფლებამოსილი გახდა, არ დაუშვას სასამართლო სხდომის დარბაზში ნებისმიერი ტექნიკური საშუალების შეტანა (გამოყენება).

- ვიზუალური გამოსახულების ეფექტი მნიშვნელოვანი იყო პატიმრების, მოსამართლისა და დარბაზის რეაქციების საჩვენებლად, ასევე, „ცრუ მოწმეების" იდენტიფიკაციისთვის. ჟურნალისტების აზრით, მმართველმა გუნდმა სასამართლო ჩაკეტა, რათა საზოგადოებას არ ენახა ის პატიმრები, რომლებიც საზოგადოების მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ჟურნალისტების აზრით, ამ ცვლილების მიზანი იყო სიმართლის დამალვა, სანდოობისა და ემპათიის შემცირება მსჯავრდებულების მიმართ და სასამართლო პროცესების დეჰუმანიზაცია. ვიზუალური მხარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო განაჩენის გამოცხადების დროს, როცა საზოგადოება დარბაზში ემოციებს გამოხატავს და აქვს გადამდები ხასიათი.

- ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში სასამართლოს რეფორმა იყო და არის პრიორიტეტული.

საპროტესტო ჟურნალისტიკა

- საპროტესტო ჟურნალისტიკას თან სდევს დილემა: უსაფრთხოება თუ პროფესიული მოვალეობა. ხშირად უსაფრთხოების, თვითცენზურისა და შიშის გამო მნიშვნელოვანი კონტენტის მოძიება ვერ ხერხდება.

- საპროტესტო აქციებზე შეიცვალა ჟურნალისტების ქცევა, ნიუსრუმებში უფრო მეტი სიფრთხილით გეგმავენ აქციების გაშუქებას და ცდილობენ, დაიცვან უსაფრთხოების ზომები. ეს ხშირად ხდება სწორედ ჯანმრთელობის და/ან კონტენტზე უარის თქმის ხარჯზე.

- 2025 წელს პოლიტიკური მოვლენებისა და დემონსტრაციების გაშუქება უფრო გართულდა, რადგან ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობისას აკავებენ, აჯარიმებენ. ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ მათი დაჯარიმების მიზანი ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა, რესურსებისგან გამოფიტვაა. ამ კუთხით დამკვიდრებულ პრაქტიკას SLAPP-ის ბუნება აქვს.

- წლების განმავლობაში ადამიანის უფლებების დაცვაში ჟურნალისტების ჩართვა ტრანსფორმირდა სამოქალაქო აქტივიზმში. ასეთ აქტივიზმში ჩართვას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. ერთის მხრივ, ესაა ბრძოლის საერთო სტრატეგიები, რომელიც აერთიანებს აუდიტორიას და მედიას, გამოკვეთს მედიის როლს ხალხის დახმარების პროცესში. მეორეს მხრივ კი, ესაა მედიის „დამკვირვებლის" პოზიციიდან გამოსვლა, რაც მის მიუკერძოებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და ნდობას აზიანებს.

- სახელისუფლებო ტელევიზიები ცდილობენ, კრიტიკული მედიის წარმომადგენლები წარმოაჩინონ სწორედ აქციის მონაწილეებად და არა ჟურნალისტებად. სამთავრობო მედიის ჟურნალისტები არ გამოხატავენ კოლეგების მიმართ სოლიდარობას მათზე ძალადობის შემთხვევაშიც, რაც აღრმავებს „პროფესიულ ხიდჩატეხილობას".

- ტრადიციულ მედიაში საპროტესტო აქციებზე სამოქალაქო ჟურნალისტების მიერ გადაღებული კადრებიც ხვდება. ეს განსაკუთრებით ეხება მოქალაქეების დაკავების კადრებს. ამ კუთხით მოქალაქე ჟურნალისტები მნიშვნელოვან რესურს ქმნიან.

ჟურნალისტების უსაფრთხოება

- ჟურნალისტების უსაფრთხოება 2025 წელსაც ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად (ფიზიკური, ციფრული და ფსიქოლოგიური) რჩება. ჟურნალისტებზე ძალადობის ნორმალიზებას (რაც 2021 წელს დაიწყო) ხელი შეუწყო მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობამ. მათ პროფესიულ საქმიანობაზე თავდასხმის შემთხვევებს სამართალდამცავი ორგანოები ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის კვალიფიკაციით არ იძიებენ.

- მედიის დაშინების მთავარი მიზანია - ჟურნალისტებმა თავისი ნებით თქვან უარი გამბედაობაზე, ანუ იმ მთავარ პროფესიულ კომპეტენციასა და თვისებაზე, რომელიც იცავს სიტყვის თავისუფლებას.

- მმართველი გუნდის მიმართ ლოიალურად განწყობილი მედიის წარმომადგენლები იშვიათად ხდებიან ფიზიკური ძალადობის სამიზნე, მაშინ როცა კრიტიკული მედიის ჟურნალისტებზე პერსონიფიცირებული თავდასხმები და ორგანიზებული დისკრედიტაცია სისტემურად გრძელდება. 2020-2025 წლებში აღრიცხული 1158 სხვადასხვა რისკის შემცველი შემთხვევიდან 8% (N=94) არის სამთავრობო ტელევიზიებთან დაკავშირებული და ამ 94-დანაც 30 არის უკანონოდ განთავისუფლებული თანამშრომლების სასამართლო პროცესები.

- ჟურნალისტებზე თავდასხმები არის გამიზნული, შიშის ატმოსფეროს გაძლიერებაზე გათვლილი და ამაში ჩართულნი არიან ე.წ. ტიტუშკები. ჟურნალისტები თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ მაშინაც კი, როცა პროფესიულ მოვალეობას არ ასრულებენ. რედაქციები ვეღარ უზრუნველყოფენ თანამშრომლებისთვის დაცულ სამუშაო გარემოს ველზე.

- გასულ წლებში მედიის წარმომადგენლები არ საუბრობდნენ ან მხოლოდ ჰიპოთეტურად ახსენებდნენ ქვეყნის იძულებით დატოვებასა და დევნილობის რეჟიმში მუშაობის გაგრძელებას. 2025 წელს ემიგრაციაში წასვლა ჟურნალისტებში აქტუალურად განიხილება.

- რეგიონული მედიისთვის კიდევ უფრო ძნელია რელოკაციის დაგეგმვა და დევნილობაში მუშაობაზე ფიქრი. სათემო მედიაორგანიზაციებისთვის დევნილობა არაა გამოსავალი. ამას განაპირობებს ენის ბარიერიც და რეგიონული ნიშაც, რომელსაც უცხოეთში ვეღარ შეინარჩუნებენ. მიუხედავად იმისა, რომ „ციხის სცენარი" რეალურია, ქვეყნიდან დევნილობაში წასვლა ჟურნალისტებს არ უნდათ და ურჩევნიათ მცირედი რესურსით მაინც იმუშაონ საკუთარ ქვეყანაში.

- ბოლო წლებში ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის შემთხვევებიდან ყველაზე ტრავმულ გამოცდილებად რესპონდენტები იხსენებენ 2024 წელს სატელეფონო მუქარებსა და ლანძღვებს, რომლებიც შეეხო მათ ოჯახის წევრებსაც (მცირეწლოვან შვილებსა და ხანდაზმულ მშობლებს). ეს ტრავმა ერთი წლის მერეც ცოცხალია.

სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია და მედიისადმი ნდობა

„მედიახმის" კვლევებზე დაყრდნობით, 2021-2025 წლებში სისტემურად ხდებოდა ჟურნალისტიკის პროფესიის ინსტიტუციური დისკრედიტაცია და შესაძლებლობებისაგან გამოფიტვა. საზოგადოების ნდობა მედიისადმი წლიდან წლამდე მცირდებოდა, რაც, თავის მხრივ, აფერხებდა საზოგადოების სოლიდარობასა და მხარდაჭერას. „მედიახმის" კვლევებში 2021 წლიდან სწორედ სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაციის მნიშვნელობასა და ფორმებზე კეთდებოდა აქცენტირება და ეს ფოკუსი ახლა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან არსებობს ტრანსფორმაციული გამოცდილების კონკრეტული მაგალითები და გაზომვადი ინდიკატორები.

- კვლევამ გამოკვეთა მედიის მიმართ ნდობისა და სოლიდარობის **28 ინდიკატორი**, რომლებზე დაკვირვებითაც შესაძლებელია სოლიდარობის პრაქტიკის სტანდარტიზაცია და გაზომვადი მართვა.

- სოლიდარობის ფორმების ინსტიტუციონალიზაცია და პრაქტიკა (გამოწერები, დონაციები და სხვ.) საჭიროებს აუდიტორიის არა ფრაგმენტულ, არამედ გრძელვადიან ჩართულობას, რისი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია მედიის მიმართ ნდობა. სოლიდარობის ინსტუციონალიზაცია ხდება მაშინ, როცა არსებობს ნდობა, ანგარიშვალდებულება, რეგულარული ურთიერთობა აუდიტორიასთან და ჩართულობის (მათ შორის ფინანსური გადახდების) მარტივი პროცედურები.

- გასულ წლებში კრიზისულ პერიოდებში (მედიის დახურვის საფრთხე, ძალადობა ჟურნალისტებზე) საზოგადოების სოლიდარობა იყო ფრაგმენტული. არ არსებობდა მედიის გრძელვადიანი მხარდაჭერის არა მარტო ჩვევა, არამედ მოტივაცია. 2025 წელს სისტემურმა კრიზისმა დააჩქარა სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია: დაიწყო სოლიდარობის დეცენტრალიზაცია, ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა მედიაში შექმნილი ფინანსური კრიზისი.

2025 წელს სოლიდარობის მნიშვნელოვანი იყო სინათლე მედიას კამპანია „სინათლე არ უნდა ჩაქრეს". ამ ინიციატივამ შექმნა სოლიდარობის კერები და აქვს მომავალში სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაციის გაძლიერების პოტენციალი. შესაძლებელია, აუდიტორიას ჩამოუყალიბდეს ჩვევა - დაეხმაროს მედიას, რომელსაც ენდობა.

- ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ადამიანური ისტორიებისა და თემების გაქრობამ დააზიანა მედიისადმი ნდობა, რადგან ადამიანები ტელევიზორში საკუთარ თავსა და პრობლემებს ვეღარ ხედავენ. ნდობაც და სოლიდარობაც სწორედ ადამიანური ისტორიებითა და მათი პრობლემების წინ წამოწევით გაძლიერდება.

- კრიტიკული მედიის წარმომადგენლების აზრით, საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ ნდობა გაიზრდება. ამას ხელი შეუწყო კორუფციის საქმეების გამოაშკარავებამ, რამაც კრიტიკულ მედიაში მორალური უპირატესობის განცდა გააძლიერა. საზოგადოებამ დაინახა, რომ საგამოძიებო ჟურნალისტები სიმართლეს ამბობდნენ და მათი დისკრედიტაციის კამპანია უსაფუძვლო იყო. მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი ტელევიზიების წარმომადგენლების აზრით კი, ჟურნალისტებისადმი ნდობა უარესდება.

- წლების განმავლობაში დანერგილმა სტრატეგიამ - „მედია მედიის წინააღმდეგ" - ორ პოლარიზებულ ბანაკს შორის „საჯარო სოლიდარობა" მოკლა და მიიღო „კონფიდენციალური სოლიდარობის" ფორმა - როცა კოლეგებისგან მხარდაჭერა გამოხატულია არა ღიად, არამედ პირად მიმოწერებში და ხმაურის გარეშე. პროფესიულ წრეებში მინიმალური რესურსი დარჩა იმისთვის, რომ მომავალში აღდგეს პროფესიული, კოლეგიალური თანამშრომლობა. ამის შესაძლებლობა უფრო გამოიკვეთა იმ თაობაში, რომელსაც წარსულში ჰქონდა პროფესიული თანამშრომლობა (მაგ: მუშაობდნენ ერთ მედიაორგანიზაციაში).

- კრიტიკა გამძაფრდა იმ სამთავრობო ტელევიზიების ჟურნალისტების მიმართ, რომლებიც საჯაროდ არ გამოხატავენ სოლიდარობას კოლეგა-ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებსა და დაპატიმრებებზე. ჟურნალისტებისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია, დისკრედიტაციის მიზნით, კოლეგების მიერ მათზე მომზადებული მასალები.

სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაციას შეუძლია ისეთი ცვლილებების ინიციირება, რომელიც დაუპირისპირდება ავტოკრატიას და გააძლიერებს დემოკრატიას. სოლიდარობას შეუძლია გააძლიეროს ინსტიტუციების როლი და მათი პოზიციონირება, რაც დემოკრატიული მექანიზმების არსებობაზე მიუთითებს და ხელს უშლის ქვეყნის ბოლომდე მიტაცებასაც. ამის საპირისპიროდ, მხარდამჭერების შემცირება და/ან საერთაშორისო იზოლაცია შესაძლოა იყოს ავტორიტარიზმის გამყარების საბოლოო ნიშნული.

2025 წელს საქართველოში კრიზისმა შექმნა „სოლიდარობის ქსოვილი", რომელიც არის თვითორგანიზებული, დეცენტრალიზებული, ხელს უშლის ძალაუფლების მიტაცებას და აძლიერებს დემოკრატიას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია სოლიდარობის ქსელის გაძლიერება და მისი ხილვადობის შენარჩუნება.

3. ლიტერატურის მიმოხილვა

2021-2025 წლებში საქართველოში მედიაგარემო დრამატულად გაუარესდა (მედიახმა, 2025, RSF, 2025). მედიის მიტაცება ძალაუფლების შესანარჩუნებლად - კლეპტოკრატიული ქვეყნების (რუსეთი, ბელორუსი, ვენესუელა და სხვ.) ერთ-ერთი მახასიათებელია. ინფორმაციის გაკონტროლებით, კრიტიკული აზრისა და დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის ჩახშობით, პროპაგანდისტული ნარატივების გავრცელებით, კლეპტოკრატიულ რეჟიმებს შეუძლიათ, დამალონ კორუფციული სქემები, მოიპოვონ ლეგიტიმაცია და ჩაახშონ განსხვავებული აზრი. კლეპტოკრატიის დროს გაკონტროლებული მედიის მიზანია არა საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება და ინფორმირება, არამედ მმართველი ელიტის (მათ შორის ოლიგარქებისა და მთავრობების) მსახურება. მედიის მიტაცება ქვეყნის უფრო ფართო, სისტემური მიტაცების ნაწილია, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტების ხელში ჩაგდების პარალელურად მოხდა.

ზიანი, რომელიც დგება დასუსტებული და მიტაცებული ინსტიტუტების შემდეგ, ყველაზე ნათლად აისახება მედიაში, რომელიც ცდილობს, გააშუქოს სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირება. ამ კუთხით საინტერესოა, რეპრესიული რეჟიმების პირობებში როგორ ახერხებს ფუნქციონირებას სასამართლო ჟურნალისტიკა, ადამიანის უფლებების ჟურნალისტიკა/სოლიდარობის ჟურნალისტიკა, საგამოძიებო ჟურნალისტიკა, ახალი ამბების ჟურნალისტიკა, დარგობრივი ჟურნალისტიკა და სხვ.

საერთაშორისო ანგარიშებში და პოლიტიკურ განცხადებებში საქართველო აღარ ფიგურირებს, როგორც „პრობლემური დემოკრატია“, არამედ სწრაფად მიმავალ, ნახევრად-ავტორიტარულ რეჟიმად აღიქმება (ევროკავშირის დელეგაციის განცხადება, 2025), სადაც მედიის თავისუფლება ცენტრალური სამიზნეა (რეპორტიორები საზღვრებს გარეშე, 2025). საერთაშორისო აქტორების თითქმის ყველა ტექსტი ხაზს უსვამს ერთსა და იმავე ტრენდს: მედიის წინააღმდეგ მიმართული წნეხი, პირველ რიგში, კანონის ენით მუშაობს, შემდეგ კი - ფიზიკური ძალადობით. საერთაშორისო შეფასებებში კანონმდებლობა აღიქმება არა „გაუმჯობესების“ ინსტრუმენტად, არამედ რეპრესიის მექანიზმად - ესაა იურიდიული ჩარჩო, რომელიც წინასწარ ქმნის „მსუსხავ ეფექტს”. ნარატივების დონეზეც საქართველოს მედიაგარემო თანდათან უახლოვდება იმ მოდელებს, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები წლებია, აღწერენ რუსეთსა და ბელორუსში.

საერთაშორისო პარტნიორები მედიაგარემოს გაუარესებას უკვე არა მხოლოდ „ადამიანის უფლებების“, არამედ საგარეო პოლიტიკისა და გაფართოების დღის წესრიგის შეფასების ამოსავალ წერტილად აფიქსირებენ (ევროკომისია, 2025). ამავე დროს, ტექსტები ხაზს უსვამენ, რომ მხარდაჭერა მიმართულია ქართველი ხალხის, მედიისა და სამოქალაქო სექტორისკენ.

საერთაშორისო ანგარიშების ძირითადი აქცენტები ინტეგრირდება ჩვენი კვლევის ფარგლებში ინტერვიუების დროს გამოკვეთილ თემებთან.

- საქართველო „ლიდერი რეფორმატორიდან“ გადაიქცა „საფრთხის ზონის“ ქვეყნად მედიისთვის;

მმართველი პარტიის მიერ მიღებული კანონები უკვე სტანდარტულად მოიხსენიება (ევროპარლამენტის რეზოლუცია, 2024) „რუსულ/ბელორუსულ ნიმუშებად“;

კონკრეტული საქმეები (მზია ამაღლობელის დაპატიმრება, MFC, 2025) რეპრესიული კანონები, კრიზისი საზოგადოებრივ მაუწყებელში, IPI, 2025) და სხვ.) აჩვენებს, რომ მედიაგარემო იშლება არა წერტილოვნად, არამედ სისტემურად.

90-ზე მეტმა (freemzia.com) ადამიანის უფლებათა და პრესის თავისუფლების ორგანიზაციამ და პოლიტიკურმა ლიდერმა, მათ შორის აშშ-ის კონგრესისა და ჰელსინკის კომისიის წევრებმა, ევროპარლამენტარებმა და ევროკომისრებმა გააკრიტიკეს მისი დაკავება და მოითხოვეს დაუყოვნებლივი გათავისუფლება.

2025 წელს, წინა წლებთან შედარებით, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების გამოხმაურებების რიტორიკა და ტონი შეცვლილია: დამოუკიდებელი მედიის გადასარჩენად გამოკვეთილია პოლიტიკური ნებისა და ავტორიტარული კურსის ცვლილების აუცილებლობა. ამ პროცესში კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება მედიის ეკოსისტემის ერთიანად და არა წერტილოვნად გადარჩენის აუცილებლობა. ამ მექანიზმებზე მსჯელობენ კვლევაში ჩართული მედიის წარმომადგენლები.

■ 3.1. მზიას საქმის გზამკვლევი

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მზია ამაღლობელი არის პირველი ქალი ჟურნალისტი, რომელიც ციხეშია და მისი საქმის განხილვამ სასამართლოში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. ჩვენს კვლევაში გაანალიზებულია რესპონდენტების თვალით დანახული მზიას სასამართლო პროცესი და შეფასებულია მისი პერსონის გავლენა ქართულ ჟურნალისტიკაზე. წყაროების მიმოხილვის ამ ნაწილში მოკლედ შეგახსენებთ, რა უნდა ვიცოდეთ ამ საქმის შესახებ[1].

2025 წლის 11 იანვარს, ბათუმში პოლიციის სამმართველოს წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე „ბათუმელების" და „ნეტგაზეთის" დამფუძნებელი, მზია ამაღლობელი, ორჯერ დააკავეს. პირველად, ის პოლიციის სამმართველოს შესასვლელის ღობეზე სტიკერის გაკვრისთვის დააკავეს, თუმცა ის მალევე ხელწერილით გაათავისუფლეს. აქციაზე დაბრუნების შემდეგ, მას შელაპარაკება მოუვიდა ბათუმის პოლიციის უფროს, ირაკლი დგებუაძესთან, რა დროსაც მზია ამაღლობელმა, მას სილა გააწნა, რასაც „ბათუმელების" და „ნეტგაზეთის" დამფუძნებლის მყისიერი, მეორე დაკავება მოჰყვა. თავდაპირველად მას წარუდგინეს „თავდასხმა პოლიციელზე" (სსკ მუხლი 353[1]) - ბრალდება, რომელიც ითვლება არაპროპორციულად და პოლიტიკურად მოტივირებულად; ვიდეომასალა (ბათუმელები / Batumelebi, YouTube, 2025) მიუთითებს პოლიციის მიერ წინასწარ განზრახ შურისძიებაზე.

14 იანვარს სასამართლომ არ დააკმაყოფილა გირაოთი გათავისუფლების შუამდგომლობა და მზია ამაღლობელი წინასწარ პატიმრობაში დატოვა. 20 იანვარს მზია ამაღლობელმა დაიწყო შიმშილობა, რომელიც კოლეგებისა და მხარდამჭერების თხოვნით შეწყვიტა და მხოლოდ 18 თებერვალს გახდა ცნობილი, რომ მან ექიმების დახმარებით კვება აღადგინა. პატიმრობაში ყოფნისას მას კერატოკონუსის დიაგნოზი კლინიკა „ვივამედში" დაუსვეს და 23 ივნისს ადვოკატმა განაცხადა რომ „მზია ამაღლობელის მხედველობა მარცხენა თვალში სინათლე-სიბნელის გარჩევადობის დონეზეა". პარალელურად, შემოსავლების სამსახურმა „ბათუმელების" ანგარიშებს ინკასო დაადო, რაც რედაქციის მიერ შეფასდა, როგორც ზეწოლა მზია ამაღლობელზე და ორგანიზაციაზე.

[1] დეტალური ინფორმაცია მზია ამაღლობელის საქმის შესახებ იხილეთ ვებ-გვერდზე: https://freemzia.com/

28 აპრილს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" (საია) მზია ამაღლობელის სახელით სტრასბურგის სასამართლოს მიმართა. 19 ივნისს ევროპარლამენტმა რეზოლუცია მიიღო და მისი უპირობო გათავისუფლება მოითხოვა. 26 ივნისს სტრასბურგმა მზია ამაღლობელის საქმის განხილვა დაიწყო. სასამართლო პროცესს აკვირდება Clooney Foundation for Justice (TrialWatch).

6 აგვისტოს მოსამართლე ნინო სახელაშვილმა მუხლი გადააკვალიფიცირა შედარებით მსუბუქი, 353-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს წინააღმდეგობას, მუქარას ან ძალადობას საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით და მზია ამაღლობელს 2 წლამდე პატიმრობა მიუსაჯა. მიუხედავად იმისა, რომ მუხლი 353 ითვალისწინებს ნაკლებად მკაცრ სანქციებს (ჯარიმა, შინაპატიმრობა), სასამართლომ უმკაცრესი ზომა დააწესა ყოველგვარი სათანადო სამართლებრივი არგუმენტაციის გარეშე.

მზია ამაღლობელი არცერთ სასამართლო პროცესზე ბრალდებულის სკამზე არ დამჯდარა, რითაც სიმბოლურად აჩვენა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობს. განაჩენმა გამოიწვია საზოგადოებასა და კოლეგებში მორიგი საპროტესტო ტალღა, 24-მა საელჩომ და სხვა ავტორიტეტულმა ორგანიზაციებმა (IPI, 2025) დაგმეს გამოტანილი განაჩენი. მოსამართლის გადაწყვეტილებას სპეციალური მკაცრი, დამგმობი განცხადებით გამოეხმაურა ევროკავშირიც. 2025 წელს, მზია ამაღლობელი გახდა სახაროვისა და პროფესიული დარგის სხვა ჯილდოების მფლობელი. მაკკეინის ინსტიტუტმა მზია ამაღლობელი შეიყვანა „თავისუფლება პოლიტპატიმრებისთვის" ინიციატივის პოლიტპატიმართა სიაში. მზია ამაღლობელი აკმაყოფილებს ევროპის საბჭოს რეზოლუცია 1900-ში განსაზღვრულ პოლიტპატიმრის კრიტერიუმებს. მზიას საქმის დეტალური ქრონოლოგია იხილეთ კვლევის თავში: საკვანძო მოვლენები 2025.

■ 3.2. სასამართლო ჟურნალისტიკა VS მიტაცებული სასამართლო

„**სამართალი არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს**, **არამედ აშკარად და უდავოდ უნდა ჩანდეს**, **რომ აღსრულებულია**," - ლორდი ჰიუარტის ეს მაქსიმა ხაზს უსვამს, რომ ღიაობა და პროცედურული სამართლიანობა აუცილებელია მართლმსაჯულების სისტემის ლეგიტიმურობის შესანარჩუნებლად. მოსამართლის გადაწყვეტილება სასამართლოს გარეთაც სამართლიან გადაწყვეტილებად უნდა გამოიყურებოდეს.

2025 წელი გამოცემა „ბათუმელებისა" და „ნეტგაზეთის" დამფუძნებლის, მზია ამაღლობელის დაპატიმრებით დაიწყო და ეს თემა მთელი წლის განმავლობაში ფიგურირებს, როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო მედიის დღის წესრიგში.

როდესაც საქმე სასამართლო სისტემის საქმიანობას ეხება, მედიაგაშუქება და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების საკითხი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. საქართველოში 2025 წელს მედია სასამართლოდან აშუქებდა საზოგადოებისთვის მაღალი ინტერესის მქონე საქმეებს და ამ კუთხით, მედიაგარემოს ანალიზისას აქტუალურია შევაფასოთ, თუ რა გამოწვევები ჰქონდა სასამართლო ჟურნალისტიკას. ეროვნული სასამართლოს მიტაცების პირობებში, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საერთაშორისო სამართლის მექანიზმებისა და პრაქტიკის გათვალისწინება იმისთვის, რომ მედიამ შეძლოს საზოგადოების ინფორმირება სასამართლო დარბაზიდან და მის გარეთ.

3.2.1. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებით, სასამართლო სისტემა უფრო იზოლირებული და ჩაკეტილი გახდა. ცვლილებები ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას და საქართველოს მოქალაქეებს, მათ შორის, „ქართული ოცნების“ რეპრესიების მსხვერპლ პირებსაც ართმევს მათი საქმის საჯარო განხილვისა და საზოგადოების ინფორმირებულობის უფლებას.

საჯაროობა მართლმსაჯულების აღსრულებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ევროპული პრინციპები უზრუნველყოფს მედიის შესაძლებლობას, სრულად აცნობოს საზოგადოებას სასამართლო პროცესების შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით (საქმე: Sutter v. Switzerland, 1984; Riepan v. Austria, 2000), სასამართლო პროცესების საჯარო ხასიათი საქმის მონაწილეებს იცავს მართლმსაჯულების ფარულად, საზოგადოების დაკვირვების მიღმა განხორციელებისაგან. საჯაროობა არის ერთ-ერთი არსებითი საშუალება სასამართლოს მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნებისათვის.

ევროპულმა სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში განაცხადა, რომ მართლმსაჯულების აღსრულების საჯაროობა ხელს უწყობს მე-6 (1) მუხლის მიზნის, კერძოდ **სამართლიანი სასამართლოს** მიღწევას, რომლის გარანტია კონვენციის გაგებით ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ბლანკეტური შეზღუდვა გაუმართლებელია. არსებობს საქმეები (საქმე: Karácsony and Others v. Hungary (GC), 2016, საქმე: Selmani and Others v. the Former Yugoslav Republic of Macedonia, 2017), რომელშიც ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მედიის ამგვარი შეზღუდვა, იმის ინდივიდუალურად შეფასების გარეშე, მედიის წარმომადგენლები საფრთხეს უქმნიდნენ თუ არა საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას იმ კონკრეტულ პროცესში, გაუმართლებელი იყო და იწვევდა მყისიერ საზიანო ეფექტებს როგორც ჟურნალისტების საქმიანობის, ასევე საზოგადოების ჯეროვანი ინფორმირების კუთხით.

ECHR კონვენციის მე-10 მუხლი იცავს მედიის „საზოგადოებრივი გუშაგის / მოდარაჯე ძაღლის“ (public watchdog) როლს, კრძალავს დისკრიმინაციულ და არაპროპორციულ ჩარევებს, ითვალისწინებს „მსუსხავ ეფექტს“ (chilling effect) და მოითხოვს წყაროს დაცვისა და ჟურნალისტთა უსაფრთხოებისადმი სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს. საზოგადოების უფლებაა, მიიღოს ინფორმაცია საჯარო ინტერესის მქონე საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლო პროცესების შესახებ საზოგადოების ინფორმირება არის ჟურნალისტური საქმიანობა, რომელიც რეგულირდება გამოხატვის თავისუფლების უფლებით. მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) არ არის აბსოლუტური უფლება და გარკვეულ შემთხვევებში იგი ლეგიტიმურად შეიძლება შეიზღუდოს. ამიტომ ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ ტვირთს აკისრებს სახელმწიფოებს, რომ მათ წარმოადგინონ შეზღუდვის კანონიერებასა და პროპორციულობასთან დაკავშირებული არგუმენტები.

ევროპული სასამართლო ადგენს, რომ სასამართლო ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ყველა შესაძლებელი ალტერნატივა იმისათვის, რომ სასამართლო დარბაზში დაცული იქნას წესრიგი და უსაფრთხოება და უპირატესობა უნდა მიანიჭოს ნაკლებად მზღუდავ ღონისძიებას (საქმე: Krestovskiy v. Russia, 2010, § 29). მედიის მიერ საკუთარი საქმიანობის სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობა, ინფორმაციის მიღების და გავრცელების უფლება, განსაკუთრებული დაცვის საგანია. სასამართლოს პრაქტიკით, საქმეებზე, რომელშიც საჯაროობის მომეტებული მოლოდინი არსებობს, მხოლოდ უსაფრთხოების ინტერესების

არსებობაზე მითითებით საზოგადოებისა და მედიის სრულად გამორიცხვა სასამართლო პროცესიდან იშვიათ შემთხვევებში უნდა მოხდეს (საქმე: Riepan v. Austria, 2000, § 34.) **მედიის „საზოგადოებრივი გუშაგის" როლიდან გამომდინარე, მედიის ადგილზე ყოფნა ქმნის გარკვეულ გარანტიებს, რომ სახელმწიფო დაწესებულებები თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას იქნებიან ანგარიშვალდებულები საზოგადოების წინაშე**.

საქმეში ვორმი ავსტრიის წინააღმდეგ (საქმე: Worm v. Austria, 1997), შეზღუდვები „სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად" არ აძლევს სახელმწიფოებს უფლებას, შეზღუდონ საჯარო დისკუსიის ყველა ფორმა სასამართლოებში მიმდინარე საკითხებზე. **სასამართლოები არ შეიძლება მოქმედებდნენ ვაკუუმში.** მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო არის ფორუმი პირის ბრალეულობის ან უდანაშაულობის დასადგენად სისხლის სამართლის საქმეზე, ეს არ ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის პროცესის საგანზე არ შეიძლება არსებობდეს დისკუსია სხვაგან, იქნება ეს სპეციალიზებულ ჟურნალებში, ზოგადად პრესაში თუ ფართო საზოგადოებაში.

ჟურნალისტებმა, რომლებიც აშუქებენ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, ცხადია, უნდა უზრუნველყონ, რომ არ გადალახონ ის ზღვარი, რომელიც დაწესებულია მართლმსაჯულების სათანადო განხორციელების ინტერესებში და პატივი სცენ ბრალდებულის უდანაშაულოდ მიჩნევის უფლებას. **სისხლის სამართლის პროცესების გაშუქებისას დააბალანსონ საზოგადოების ინფორმირების უფლება და ჩართული პირების, განსაკუთრებით ბრალდებულების/მსჯავრდებულების, პირადი ცხოვრების დაცვის უფლება, რათა თავიდან იქნას აცილებული მათთვის ზიანის მიყენება** (საქმე: Du Roy and Malaurie v. France, 2000).

რაც შეეხება ჟურნალისტების დაშვებისა და სასამართლო დარბაზებში ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან საკითხს, ევროპის საბჭოს რეკომენდაცია (2003)13 (პრინციპები 12 და 13) აწესებს, რომ „ჟურნალისტები უნდა დაიშვან საჯარო სასამართლო მოსმენებზე და განაჩენების საჯარო გამოცხადებაზე დისკრიმინაციის გარეშე და წინასწარი აკრედიტაციის მოთხოვნების გარეშე.

სასამართლო სხდომის გადაღების, მისი ეთერში გადაცემის ინტერესის მიღმა დგას არა მხოლოდ ადამიანის გამოხატვის თავისუფლება, არამედ სამართლიანი სასამართლოს უფლებაც და სასამართლოს მიმართ ნდობაც. ამას ადასტურებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც: „საჯაროობა ეს არის საშუალება, რომლითაც ზემდგომი, ისე ქვემდგომი სასამართლოების სანდოობა იქნება შენარჩუნებული. როდესაც მართლმსაჯულების აღსრულება ხილვადია, საჯაროობით ხდება მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნების რეალიზაცია." (საქმე: KILIN v. RUSSIA, 2021).

პირდაპირი ტრანსლაციის დადებით მახასიათებელზე ისაუბრა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (საქმე: P4 RADIO HELE NORGE ASA against Norway, 2001), და განმარტა, რომ **პირდაპირი ეთერი იძლევა ისეთ სარგებელს, როგორიცაა საზოგადოების შესაძლებლობა თავად უყუროს და მოუსმინოს სასამართლო სხდომას. პირდაპირი ეთერი ანაცვლებს ჟურნალისტის მიერ მომზადებულ რეპორტაჟს. ეს უკანასკნელი მზადდება სასამართლო დარბაზში ჟურნალისტის მიერ გაკეთებული წერილობითი ჩანაწერების საფუძველზე. რეპორტაჟის მომზადებისას და ინფორმაციის აუდიტორიისათვის მიწოდებისას ჟურნალისტი თავისი შეხედულებით ახდენს ინფორმაციის ფილტრაციას, რაც არ ხდება პირდაპირი ეთერის დროს.**

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მართლმსაჯულების სამართლიანი აღსრულების უზრუნველყოფა ეროვნული სასამართლოებისა და სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობაა, მედიას შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი საზოგადოების ზუსტი ინფორმირებით მართლმსაჯულების მიმდინარეობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო დარბაზებში გადაღება მედიას ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში აქვს შეზღუდული (მაგალითად დიდი ბრიტანეთში, ავსტრალიაში, აშშ-ში, გერმანიაში), რაც ემსახურება ლეგიტიმურ მიზნებს, მკვეთრად განსხვავდება ის პრაქტიკა, რომელსაც მიმართავენ ავტორიტარული რეჟიმები (მაგალითად, რუსეთი, ჩინეთი, ავღანეთი). ამგვარი რეჟიმები მედიაზე დაწესებულ შეზღუდვებს იყენებენ არა სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად, არამედ საინფორმაციო სივრცის კონტროლის ინსტრუმენტად. ეს მიზნად ისახავს საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას და კრიტიკული რეპორტაჟების თავიდან აცილებას, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროკონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ საზოგადოების ინფორმირების უფლებას.

საქართველოს კონტექსტში ნებისმიერი შეზღუდვა მედიის საქმიანობაზე, მათ შორის სასამართლოში გადაღების აკრძალვა, შეიძლება იქცეს ავტორიტარული კონტროლის მექანიზმად და დადაასაზიანოს ქვეყნის დემოკრატიული განვითარება. სასამართლოში პროცესების მედიაგაშუქებაზე დადგენილი შეზღუდვები არ გამომდინარეობს მართლმსაჯულების ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნებიდან, არ ითვალისწინებს ნაკლებად შემზღუდავ შესაძლებლობებს და არის გაუგებარი.

ცვლილებებით, ფაქტობრივად, სრულად აიკრძალა სასამართლო პროცესების ფოტო-ვიდეო დოკუმენტირება. აღარ დაიშვება სასამართლოში (სასამართლოს შენობაში, სხდომის დარბაზში, ეზოში) ფოტო, კინო, ვიდეოგადაღება და ტრანსლაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას ახორციელებს სასამართლო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ხოლო გადაღებული მასალების გავრცელება სასამართლოს დისკრეციის ფარგლებში მოექცა. საკანონმდებლო ცვლილებები, ფაქტობრივად, სრულად გამორიცხავს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოებრივ კონტროლს და არღვევს გამოხატვის თავისუფლების პრინციპს. სასამართლო სხდომის ვიდეო და აუდიო ჩაწერას, ტრანსლაციას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობა სჭირდება. კანონის ეს ჩანაწერი, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის მედიის მუშაობას. მცირე საპროცესო ვადების გამო, სხდომები ზოგჯერ რამდენიმე საათით ადრე ინიშნება. ასეთ ვითარებაში მედიას პრაქტიკულად დრო აღარ რჩება, რომ დროულად მიიღოს პასუხი იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან. ცვლილების ძალაში შესვლის პირველივე დღიდან გამოვლინდა მისი აღსრულების პრობლემა.

ნათელია, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ" 02.07.2025-ის ცვლილებები ფუნდამენტურად ზღუდავს და შეუძლებელს ხდის დამოუკიდებელი მედიის საქმიანობას, რაც საზოგადოებისთვის კანონის უხეში დარღვევებით მიმდინარე სასამართლო პროცესებზე სამართლებრივი და მორალური შეუსაბამობების დანახვას ართულებს.

3.2.2. სასამართლო რეპორტირების პრაქტიკა

საერთაშორისო კვლევებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასამართლო რეპორტირება მედიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა (ჯოუნსი, 2025). გაერთიანებულ სამეფოში, PA Media-ს მიხედვით, სასამართლო მოსმენებზე პრესის დასწრების შემცირებამ თავისი წვლილი შეიტანა „დემოკრატიის დეფიციტში". საქართველოში ამ ზეგავლენაზე დაკვირვება მნიშვნელოვანია.

სასამართლოდან თხრობა/სასამართლო ჟურნალისტიკა ახალი ამბების მთავარ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს, თუმცა სპეციფიკური მახასიათებლები ამ დარგობრივ მიმართულებასაც აქვს. ჰარქაპის და ო'ნილის (2017) მიხედვით, ახალი ამბების ღირებულებას განსაზღვრავს 15 მახასიათებელი. აქედან ახალ ამბებში სულ მცირე ერთი და სასურველია რამდენიმეა კომბინაციით იყოს წარმოდგენილი: ექსკლუზიური ამბები, ნეგატიური ამბები, პოზიტიური ამბები, კონფლიქტის შემცველი ამბები, სიურპრიზის შემცველი ამბები, აუდიო-ვიზუალური თხრობა, სოციალურ ქსელებში გაზიარების შესაძლებლობა, გასართობი ამბები, დრამატული ამბები, ე.წ. follow-up-ები, გავლენიანი პირები და ორგანიზაციები (the power elite), რელევანტურობა, რეზონანსული ამბები (მაღალი მაგნიტუდის შემცველი), ცნობადი სახეები ახალ ამბებში, ორგანიზაციის დღის წესრიგით განსაზღვრული ამბები.

სასამართლო რეპორტირებისთვის აუცილებელია სპეციფიკურ კონტენტზე წვდომა. სასამართლო რეპორტირება განსხვავდება კრიმინალური საქმეების გაშუქებისგან და UK-ის მედიის ანალიზის მაგალითზე ჯოუნსი (2025) გამოყოფს სასამართლო ახალი ამბების ცხრა მახასიათებელს. ესენია:

1. **ოპერატიულობა** (Immediacy): სასამართლო საქმეები, რომლებიც მოიცავს მიმდინარე (დღის დასაწყისში ან წინა დრეს მომხდარ) სასამართლო პროცესების გაშუქებასა და ლაივ-ბლოგებს.

2. **დრამატიზება** (Dramatisation): ამბები, რომლებიც რეპორტიორს საშუალებას აძლევს, ხაზი გაუსვას ინციდენტის დრამატულ ხასიათს.

3. **პერსონიფიკაცია** (Personalisation): ამბები, რომლებიც შეეხება პერსონალურ, ხშირად ცალკეული კრიმინალების დევიანტურ ქცევას, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება ძალადობასა და/ან სექსუალურ დანაშაულებს. საქართველოში, სადაც სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოებრივი ნდობისა და გამჭვირვალობის მნიშვნელოვანი გამოწვევებია, ცრუ მოწმეების იდენტიფიკაცია და გაშუქება ჟურნალისტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა და უზრუნველყოფს საზოგადოების უფლებას, მიიღოს სამართლიანი მართლმსაჯულება.

4. **გამარტივება** (Simplification) - ამბები, რომელთა შეჯამება და ახალი ამბების ფორმატში წარმოდგენა შესაძლებელი სწრაფად და მარტივად.

5. **ხილვადობა** (Visibility): ფოტოები ან ვიდეოები ხელმისაწვდომია ონლაინ ხილვადობისა და გაზიარებების გასაუმჯობესებლად. თუ არ არსებობს სპეციალური კონტენტი, ეს მოიცავს ზოგადი ან საარქივო მასალის გამოყენებას.

6. **ექსკლუზიურობა** (Exclusivity): როცა ჟურნალისტი პირადად ესწრება გაუხმაურებელ სასამართლო პროცესს. ეს განსხვავდება ექსკლუზიურობის ტრადიციული გაგებისგან იმით, რომ სისხლის სამართლის სასამართლოები, ზოგადად, ღიაა პრესისა და საზოგადოებისთვის, ამიტომ სასამართლოს გაშუქება არ არის ექსკლუზიური რომელიმე ერთი ჟურნალისტისთვის. მაგრამ პრაქტიკაში, ხშირად მხოლოდ ერთი რეპორტიორია, რომელიც თავის მედიას აწვდის მასალას. საინფორმაციო ღირებულების კონტექსტში, ექსკლუზიურობა გულისხმობს მასალას, რომელიც მხოლოდ ერთ საინფორმაციო ორგანიზაციას აქვს. სასამართლო რეპორტირებისას ეს ტრადიციული გაგება იცვლება, ვინაიდან, სასამართლო სხდომები ღიაა საზოგადოებისა და პრესისთვის, ამიტომ სასამართლოს გაშუქება არ არის ექსკლუზიური რომელიმე ერთი ჟურნალისტისთვის.

საქართველოს კანონმდებლობაში არსებული რეგულაციები და სასამართლოს გაუმჭვირვალე პრაქტიკა მედიის მიმართ აბრკოლებს ჟურნალისტების შესაძლებლობას, შექმნან ექსკლუზიური მასალები, მიუხედავად იმისა, ეს „გაუხმაურებელი საქმეა“ თუ მაღალი ინტერესის მქონე პროცესი.

7. **ციტირების შესაძლებლობა** (Quotability): ეხება ღია სასამართლო სხდომებზე წარმოთქმული ციტატების გამოყენებას, რომელიც მედიას საშუალებას აძლევს, მკითხველს მიაწოდოს სენსაციური ან აქამდე უცნობი ახალი ამბავი. ციტატები შეიძლება იყოს მოწმეთა ჩვენებები, ადვოკატების, მოსამართლეების, მსხვერპლთა თუ სხვათა განმარტებები და განცხადებები, რომლებიც საზოგადოების ყურადღებას იპყრობს.

8. **კონტენტის გაზიარება** (Content sharing): ამბავი, რომელსაც ერთი მედიაკომპანია უზიარებს კორპორაციაში შემავალ სხვა მედიაორგანიზაციებს. ამბავი ქვეყნდება სხვადასხვა პლატფორმაზე, დარედაქტირებული სახით და შესაბამისი კონტექსტით.

9. **საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა** (Publicly accessible) - ამბები, რომლებიც ეფუძნება პრესრელიზებსა ან სასამართლო დოკუმენტებს, გამოქვეყნებულია ონლაინ და/ან იგზავნება მედია კომპანიებში ელფოსტით ან სხვა საშუალებებით. ეს მოიცავს ინფორმაციას, ანონსებს დაგეგმილი სასამართლო განხილვების შესახებ.

სხვადასხვა წყაროზე (ნერონი, 2012, მათეუსი, 2017; როდრიკი, 2014) დაყრდნობით, ჯოუნსი (2025) დაასკვნის, რომ სასამართლო რეპორტირება მთავარი საშუალებაა იმისთვის, რომ მედიამ შეასრულოს „მოდარაჯე ძაღლის” დაკისრებული ფუნქცია ისეთ ინსტიტუტებზე დაკვირვებით, როგორიცაა საქალაქო სასამართლოები. 2025 წლის მიწურულს სასამართლო ჩამოყალიბდა დახურულ სისტემად და მომავალში მედიისთვის კიდევ უფრო გართულდება (პუბლიკა, 2025) სასამართლოში მუშაობა და ჟურნალისტებს აღარ ექნებათ შესაძლებლობა, მობილური ტელეფონები შეიტანონ დარბაზებში.

სასამართლო ჟურნალისტიკაზე კვლევები საქართველოში მწირია. კვლევაში შევეცდებით ამ მიმართულებით კონტრიბუციას. საქართველოს პირობებში მნიშვნელოვანია სწორედ ინსტიტუციური გამჭვირვალობის პრობლემისა და მედიის წინაშე არსებული სისტემური გამოწვევების კონტექსტის გათვალისწინება.

3.3. მედიის მიტაცების რუსული სცენარი

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მედიის მიტაცების განხილვისას შედარება რუსულ და ბელორუსულ სცენართან სულ უფრო ხშირად ხდება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში ფორმალურად არსებობს კრიტიკული მედია, მედიაგარემოსთვის საბჭოთა/რუსული მემკვიდრეობა მაინც სერიოზული გამოწვევაა. როგორ ვლინდება „საბჭოთა ტელევიზორის ეფექტი?” - ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ინტერდისციპლინური კვლევებია საჭირო, თუმცა დისკუსიაში წვლილის შეტანას ჩვენს კვლევაშიც შევეცდებით, რადგან მივიჩნევთ, რომ პარალელებმა რელევანტურობა შეიძინა.

საბჭოთა კავშირში არ არსებობდა თავისუფალი მედია, კონკურენტული პოლიტიკური არჩევნები, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. პრესა ცენტრალიზებულად, კომუნისტური პარტიის კარნახით იმართებოდა. ამ სისტემაში „მტრის“ იარლიყი გამოიყენებოდა მათ მიმართ, ვინც ხელისუფლებისთვის არასასურველი იყო.

საბჭოთა კავშირის მთავარი მემკვიდრის რუსეთის მიერ მედიის მიმართ დამოკიდებულება საბჭოური და კლეპტოკრატიულია. ბესლის (2006) შეფასებით, „ნაციონალური გამომცემლობების უმრავლესობა ადამიანთა მცირე ჯგუფის, ოლიგარქების ხელშია, ამიტომაც ეს გამომცემლობები პოლიტიკური წნეხის მიმართ მოწყვლადები ხდებიან." მედიის „არაიძულებითი ხელში ჩაგდების" ფენომენი თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებულია. იციან რა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა კრიტიკული მედიისა და პროფესიონალურად შესრულებული ჟურნალისტური საქმიანობის ძალა, ისინი ცდილობენ მედიაზე ზეწოლასა და და მის მიტაცებას. ბესლი აღწერს, როგორ ცვლის მთავრობის მიერ საინფორმაციო სივრცის კონტროლი პოლიტიკური სისტემის წონასწორობასა და ფუნქციონირებას, რადგან მედიის პლურალიზმი სახელმწიფოს მიტაცებას უშლის ხელს. მედიის მიტაცების ნეგატიურ შედეგებზე მსჯელობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

1. **მორალური საფრთხე** - პოლიტიკოსები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი კორუფციისა და პირადი სარგებლობის მოპოვებისკენ, რადგან იციან, რომ მედიას კონტროლით, მათი ქმედებები არ იქნება ცნობილი საზოგადოებისთვის და, შესაბამისად, დასჯის ალბათობაც დაბალია.

2. **არასასურველი შერჩევის შედეგი** - პოლიტიკაში არასაიმედო ან არაკეთილსინდისიერი ლიდერები უცვლელნი რჩებიან, რადგან მედია ვერ ასახავს და აფასებს პოლიტიკოსების ფაქტობრივ ქცევასა და შესაძლებლობებს, ვერ ახერხებს მათთვის კრიტიკული კითხვების დასმას და ანალიტიკური მასალის შექმნას.

ორივე მიმართულება საქართველოსთვისაც აქტუალურია. მითუმეტეს, რომ 2025 წელს კორუფციის თემების გაშუქება (კორუფციაში ბრალდებული „ქართული ოცნების" მაღალჩინოსნების გამოაშკარავება) გაგრძელდა არა მხოლოდ კრიტიკულ, არამედ ე.წ. სამთავრობო ტელევიზიებშიც. შეიძლება ითქვას, რომ წლების განმავლობაში კრიტიკული მედიის მიმართ უნდობლობამ და სამთავრობო მედიების მიერ კორუფციის თემების არგაშუქებამ კრიტიკული კითხვების ნაკლებობამ ხელი შეუწყო სიმართლის დამალვას.

იალამოვის (2018) შეფასებით, მედიის მიტაცება ან, უფრო ფართო გაგებით, მედიის მეშვეობით გავლენის მოპოვება კრემლის გავლენის ყველაზე თვალსაჩინო ასპექტია. ავტორი აღნიშნავს, რომ „მედია ყოველთვის იყო საზოგადოებრივი დიპლომატიის მთავარი ინსტრუმენტი, როგორც დემოკრატიულ, ასევე ავტოკრატიულ რეჟიმებში". ავტორი აღნიშნავს, რომ კრემლი თანამშრომლობს მაგნატებთან და ოლიგარქებთან, რომლებიც აკონტროლებენ მედიას და აქვთ მჭიდრო კავშირები ლიდერებთან, კანონმდებლებთან და სხვადასხვა მარეგულირებლებთან.

საკანონმდებლო და ადმინისტრაციული დაბრკოლებების შექმნა მედიისთვის ბელორუსიაშიც მიმდინარეობდა, ათწლეულების განმავლობაში ვითარდებოდა და მძიმდებოდა. მაგალითისთვის, 2008 წელს ბელორუსიის მთავრობამ დაამტკიცა კანონი „მასმედიის შესახებ" რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს კონტროლს ქვეყანაში პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციაზე. ამ კანონმა ბელორუსიის რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტრო (MIB) ქვეყანაში მედიის რეგულირების მთავარ ორგანოდ აქცია. ბელორუსიაში სისხლის სამართლის კოდექსი მოიცავს ანტი-ცილისმწამებლურ დებულებებსაც. როგორც ბელორუსელი ადამიანის უფლებათა დამცველების განცხადებებიდან ვგებულობთ (Spring96, 2021), ეს კანონი გამოიყენება პოლიტიკურად მოტივირებულ შემთხვევებში. 2015 წელს მიღებულმა კანონმა ინტერნეტში გამოქვეყნებული ინფორმაცია დაუქვემდებარება სისხლის სამართლის

კოდექსს. ჟურნალისტების ევროპული ფედერაციის ვებ-გვერდზე ვკითხულობთ, რომ მასმედიის შესახებ კანონში 2018 წლის ივნისში დამტკიცებულმა ცვლილებებმა კიდევ უფრო გაამკაცრა მედიისთვის სამართლებრივი გარემო და სხვა საკითხებთან ერთად შემოიღო ონლაინ რესურსების ნებაყოფლობითი რეგისტრაცია, სოციალური მედიის დაბლოკვის შესაძლებლობა, გამკაცრდა აკრედიტაციის მიღების წესებიც. 2021 წელს ბელორუსის მთავრობამ გადაწყვიტა (Meduza, 2021), რომ „არარეგისტრირებული მოქალაქეების ჯგუფები, რომლებიც ახორციელებენ ექსტრემისტულ საქმიანობას, მათ შორის მესენჯერებსა და სოციალურ ქსელებში“, შეიძლება აღიარებულ იქნენ ექსტრემისტულ ფორმირებებად. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, „ექსტრემისტულ ფორმირებებში“ მონაწილეობისთვის სასჯელი შეიძლება 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას აღემატებოდეს. ეს გადაწყვეტილება პირდაპირ გავლენას ახდენს მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი Telegram-ზე არსებული “NEXTA” არხის მიმდევრებზე, რომლებსაც ამ კანონმდებლობით ბრალდების წაყენების რისკი ემუქრებათ და სხვ.

საქართველოში მედიის მიტაცებისთვის ნოყიერი ნიადაგია. მედიის მნიშვნელოვანი ნაწილი პოლარიზებულია და ხშირად კონკრეტულ პოლიტიკურ თუ ოლიგარქიულ ინტერესებს ემსახურება. სარედაქციო პოლიტიკა ხშირად საზოგადოებრივი ინტერესის ნაცვლად, მესაკუთრის ან მასთან დაკავშირებული პარტიის ინტერესებს ექვემდებარება. პოლიტიკური აქტორები და მათთან დაკავშირებული მედიასაშუალებები ხშირად იყენებენ „ჩვენ“ vs „ისინი“ რიტორიკას. ოპონენტების დემონიზაცია და მათთვის იარლიყის მიწებება (რაც განსაკუთრებით გაძლიერდა საკანონმდებლო ცვლილებებით და ანტიდასავლური ნარატივებით) არის საბჭოთა მეთოდების მსგავსი. ნაცვლად ობიექტური ინფორმაციისა, ერთსა და იმავე მოვლენებზე ხშირად ვრცელდება მკვეთრად განსხვავებული ინტერპრეტაციები, რაც საზოგადოებაში პოლარიზაციას ზრდის. ჟურნალისტები და დამოუკიდებელი მედია ექცევიან ეკონომიკური, პოლიტიკური და ზოგჯერ ფიზიკური ზეწოლის ქვეშ (როგორც ეს არაერთი საერთაშორისო ანგარიშით დასტურდება), რაც იწვევს თვითცენზურას და კრიტიკული ხმების ჩახშობას. საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრუქტურა ადვილად ემორჩილება პოლიტიკურ კარნახს და საბჭოთა ტიპის პარტიული კონტროლის ფორმას იმეორებს.

მედიის ეკოსისტემაში კონტენტის წარმოების საბჭოთა ინფრასტრუქტურა დღემდე არსებობს და ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ტელევიზიების შემთხვევაში. როგორც მარშალ მაკლუჰანი მედიის არსის გააზრებისას ამბობდა: „მედიუმი არის მესიჯი“ და საქართველოში ეს მედიუმი (ტელევიზია) მომხმარებელთა ნაწილისთვის კვლავ შესაძლოა ასოცირდებოდეს საბჭოთა მემკვიდრეობასთან და იმ როლთან, რასაც ის ასრულებდა (მაგ: პარტიისა და ხელისუფლების ერთგულების კონტექსტში).

ტელევიზიისგან განსხვავებით, ეს მემკვიდრეობა არ აქვს ონლაინ მედიას, საგამოძიებო სტუდიებსა და დამოუკიდებელ პლატფორმებს. მათი ნიშა და განვითარების ტემპი განსხვავებულია. ისინი თავისუფლებისა და გამჭვირვალობის ახალ სტანდარტებს უფრო ეფექტურად აყალიბებენ და ავითარებენ.

რუსული გავლენებისგან თავისუფალი, **დემოკრატიული საქართველოს მომავალი დიდწილად დამოკიდებულია ევროინტეგრაციაზე**, **რაც ქართველი ხალხის დეკლარირებული მისწრაფებაა** (კონსტიტუციის 78-ე მუხლი1). ამ გზაზე კი აუცილებელია კანონმდებლობის (მათ შორის მედიაკანონების) ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია, რაც მმართველი გუნდის პოლიტიკის შედეგად, სულ უფრო და უფრო დასცილდა ევროპულ სტანდარტებს და დაუახლოვდა რუსულსა და ბელორუსულ მოდელებს. საქართველოში 2024-2025 წლებში მედიაკანონებში განხორციელებული რიგი ცვლილებები არის

ანტიკონსტიტუციური, ანტიევროპული და მომავალში ის იქნება ბარიერი ევროინტეგრაციის გზაზე (გერსამია, გერსამია, გურგენიძე, 2025, გვ. 4-5). კლეპტოკრატიული მმართველობის გაძლიერების ფონზე, ჯერ კიდევ 2017 წლიდან დაიწყო საკანონმდებლო ინიციატივები, რასაც მოჰყვა ცვლილებები და რეპრესიული კანონების ინსტრუმენტალიზაცია მედიის წინააღმდეგ (გერსამია, საჯაია, 2024).

ევროინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია ისეთ კანონებთან ჰარმონიზაცია, როგორიცაა, მაგალითად, ევროპული მედიის თავისუფლების აქტი (EMFA). საქართველოს მედიაკანონმდებლობთან EMFA-ის შედარებით ანალიზში (მედიახმა, 2025) განმარტებულია ევროკავშირში არსებული რეგულაციები, მოთხოვნები და სტანდარტები. ზემოთ ხსენებული კვლევის მიხედვით, 2024-2025 წლებში მედიის თავისუფლების შეზღუდვის კუთხით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ევროკავშირთან გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება.

დემოკრატიულ სახელმწიფოში კარგად განვითარებული ციფრული მედიაწიგნიერების კულტურა არის კრიტიკული აზროვნებისა და სანდო წყაროების მოთხოვნის გარანტი. ციფრული სერვისების აქტი (DSA) ასევე არის ევროკავშირის რეგულაცია, რომელიც 2022 წელს შევიდა ძალაში და მიზნად ისახავს ონლაინპლატფორმების რეგულირებას და ონლაინგარემოს მომხმარებლებისთვის უსაფრთხოებასა და გამჭვირვალობას. DSA აწესებს ახალ ვალდებულებებს ონლაინშუამავლებისთვის, განსაკუთრებით კი ძალიან დიდ ონლაინპლატფორმებზე (VLOP) და ძალიან დიდ საძიებო სისტემებზე (VLOSE), რათა ებრძოლონ უკანონო კონტენტს, დეზინფორმაციას და სხვა ონლაინ ზიანს.

ციფრული სერვისებისათვის კანონი ადგენს წესებს ონლაინ პლატფორმებითვის. კანონი კი ავალდებულებს ონლაინ პლატფორმებს იმოქმედონ უკანონო შინაარსისა და ცრუ ინფორმაციის შემცველი პოსტების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. თავის მხრივ, მომხმარებლებსაც აქვთ პლატფორმაზე განთავსებული ამბის „დარეპორტების" უფლება. შესაბამისად, ქვეყნებში სადაც ციფრული სერვისების შესახებ კანონი მოქმედებს, კანონი და პლატფორმა თანარეგულირების საშუალებით იცავს მომხმარებლებს.

საქართველოში DSA-ს შესაბამისი და მსგავსი მასშტაბების მომცველი კანონი ჯერ არ არსებობს. თუმცა მოქმედებს რამდენიმე ნორმატიული აქტი, რომლებიც ციფრული სივრცის გარკვეულ ასპექტებს არეგულირებს: ეს არის საქართველოს კანონი „ელექტრონული კომერციის შესახებ", სადაც „განხილულია შუალედური მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობა" და პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონი, რომელიც ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის სტანდარტებს ადგენს.

რუსული-სტილის პროპაგანდა ქვეყნის მიტაცებისთვის მოწყვლად ნიადაგს ქმნის, საქართველოში ჩატარებული კვლევა (გერსამია, ვახტანგაშვილი, ღლონტი, 2025) ადასტურებს, რომ ანტი-ევროპული მესიჯები კოორდინირებულია სამთავრობო ტელევიზიებსა და სოციალურ ქსელებში („იმედი", „პოსტ-ტვ") და თანხვედრაშია რუსული მედიის პროპაგანდისტულ ნარატივებთან. შედარებისას არის მსგავსებები და განსხვავებები, რომელიც ჩვენი კვლევის ფარგლებშიც აქტუალურია და მსჯელობის საგანია რესპონდენტებში.

■ 3.4. საკანონმდებლო რეგრესი

საკანონმდებლო ცვლილებების აშკარა სამიზნეა გამოხატვის თავისუფლება და მედიის საქმიანობა. გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი საკანონმდებლო ცვლილებები 2025 წლის თებერვლიდან აქტიურად ინიცირდებოდა და „ქართული ოცნება" მათ მოკლე ვადებში ამტკიცებდა. ამ პროცესში უგულებელყოფილი იყო საერთაშორისო სტანდარტები, საერთაშორისო შეფასებები და ქვეყნის შიგნით არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მოსაზრებები. 2025 წელს მედია მუშაობდა „უცხოური გავლენის/ აგენტების" ახალი კანონის (ე.წ. FARA: უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი / Foreign Agents Registration Act) ამოქმედების ფონზე. ე.წ. „ქართული FARA" მიიღეს 1 აპრილს და ამოქმედდა 31 მაისს. ამ კანონმა ჟურნალისტების ციხეში ჩასმის რისკები კიდევ უფრო რეალური გახადა.

კანონს შემოაქვს ცნება „უცხოური პრინციპალის აგენტი", ამასთანავე, ითვალისწინებს რეგისტრაციის, ანგარიშგების, გავრცელებულ საინფორმაციო მასალებზე მითითების დართვის ვალდებულებებს და მოიცავს მძიმე სისხლისსამართლებრივ სანქციებს, მათ შორის 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში. კანონი ვრცელდება როგორც არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიულ პირებზე, ასევე - ფიზიკურ პირებზეც. პირს შესაძლოა დაეკისროს უცხოეთის პრინციპალის აგენტად რეგისტრაციის ვალდებულება, თუ იგი უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით საქართველოში მონაწილეობს პოლიტიკურ საქმიანობაში უცხოელი პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესების გამო და, თუ, იმავდროულად, იგი მოქმედებს უცხოური პრინციპალის მითითებით, მოთხოვნით, ინსტრუქციით ან კონტროლით.

კანონის ძირითადი ცნებები სახიფათოა, იძლევა ბოროტად და არაკეთილსინდისიერად გამოყენების ფართო არეალს, არღვევს გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლებებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მედიასაშუალებების, ჟურნალისტების მიერ დაფინანსების მოძიების შესაძლებლობას. 2025 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მედიასაშუალებებს, ფაქტობრივად, აეკრძალათ უცხოური დაფინანსების მიღება.

მედიის პლურალიზმის შეზღუდვის დინამიკასთან ერთად, იზრდება მედიის არსებობის სამართლებრივი და ფინანსური რისკები. ამოქმედდა სასამართლო ჟურნალისტიკის შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში. ერთ-ერთი მსხვილი კრიტიკული მაუწყებლის („მთავარი არხი") გაჩერებამ კი მედიაგარემოში ძალთა ბალანსი კიდევ უფრო დაარღვია.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონში შესული ცვლილებებით, რაც კრიტიკული აზრის ჩახშობასა და დევნას ემსახურება, განსაკუთრებით საყურადღებოა კვალიფიციური პრივილეგიის გაუქმება და ცილისწამებისთვის მტკიცების ტვირთის გადატანა მოსარჩელიდან მოპასუხეზე, ჟურნალისტის წყაროს საიდუმლოების დაცვის გარანტიების გაუქმება. კვალიფიციური პრივილეგია ადამიანებს საშუალებას აძლევს, მიიღონ მონაწილეობა საჯარო პოლიტიკურ დისკურსში, გააკრიტიკონ და აზრი გამოთქვან მაღალი თანამდებობის პირებზე, რისი უფლებაც მოქალაქეს ლეგიტიმურად აქვს. ეს რეპრესიული ცვლილებები კი ამ უმნიშვნელოვანესი დაცვის გარანტიის ფაქტობრივად გაუქმებას ემსახურება. შეშფოთებას იწვევს და ძალიან სახიფათოა **„ქართული ოცნების" მიერ გაჟღერებული მოსაზრება** (**რადიო თავისუფლება**, 2025)**, რომ სამომავლოდ შესაძლებელია ცილისწამებაზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის**

დაწესება. ეს არის უხეში და გაუმართლებელი ჩარევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში. საგანგაშოა კონფიდენციალური წყაროსა და პროფესიული საიდუმლოების დაცვასთან დაკავშირებით გატარებული ცვლილებებიც, რაც არღვევს გამოხატვის თავისუფლების მთავარ მიზანს. კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გავრცელება ცვლილებების მიღებამდე პერიოდზეც იქნება შესაძლებელი. საკონონმდებლო დაცვის მექანიზმების გაუარესება კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის მედიასა და საზოგადოების აქტიურ წევრებს ე.წ. SLAPP-ების მიმართ.

1984 წლიდან დღემდე საქართველოში მოქმედებას განაგრძობს საბჭოთა პერიოდში მიღებული და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან შეუსაბამო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. 2025 წლის თებერვალში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 173[16] მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას თანამდებობის პირების, სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეების შეურაცხყოფისთვის. ამ მუხლით იკრძალება ჩამოთვლილი პირების მიმართ მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა ან საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ქმედებები: სიტყვიერი შეურაცხყოფა; ლანძღვა-გინება; შეურაცხმყოფელი გადაკიდება ან/და; სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედება. მუხლი ითვალისწინებს მაღალ სანქციებს: ჯარიმას 1500-იდან 4000 ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 45 დღემდე ვადით, ხოლო ამ მუხლის დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ამავე მუხლით განსაზღვრული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში - დაჯარიმებას 2500-იდან 6000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 5-იდან 60 დღემდე (ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა) ვადით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით დაცულია ისეთი გამოხატვაც, რომელიც შოკისმომგვრელი, შეურაცხმყოფელი ან შემაწუხებელია სახელმწიფოსა ან საზოგადოების ნებისმიერი სექტორისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ მიიჩნევს პოლიტიკოსებს, პოლიციას და საჯარო ინსტიტუციებს ისეთ ჯგუფებად, რომელიც მოითხოვს გაძლიერებულ დაცვას შეურაცხყოფის, დაცინვის ან ცილისწამებისგან, პირიქით, პოლიტიკოსებსა და სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებს მათ მიმართ გამოთქმული კრიტიკის მიმართ თმენის გაცილებით მაღალი ვალდებულება აქვთ, ვიდრე სხვა ნებისმიერ მოქალაქეს. ეს მსჯელობა ასევე ვრცელდება სოციალურ ქსელში გამოთქმულ მოსაზრებებზე.

საკანონმდებლო გარემოს გაუარესება არ ეხება მხოლოდ მედიას, არამედ სხვა დემოკრატიული ინსტიტუციების (სამოქალაქო სექტორი, პოლიტიკური პარტიები და სხვ.) დასუსტებაზეა მიმართული. „ქართული ოცნების" ავტორიტარული სტილის საკანონმდებლო ინიციატივების გაგრძელებაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის, „გრანტების შესახებ", „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ", „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" და საერთო სასამართლოების შესახებ კანონის ცვლილებები.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისა" და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანულ კანონებში ცვლილებები პოლიტიკური პარტიის აკრძალვის შესახებ, მიზნად ისახავს პოლიტიკური ოპონენტების ჩამოშორებას, ჯანსაღი ოპოზიციის გრძელვადიან განადგურებას და ქვეყანაში ერთპარტიული, ავტორიტარული მმართველობის დამყარებას.

„ქართულმა ოცნებამ” 2024 წლის დეკემბრიდან დღემდე 4-ჯერ შეიტანა ცვლილება შეკრებისა და მანიფესტაციის მარეგულირებელ კანონმდებლობაში. ცვლილებები რეპრესიული შინაარსის მატარებელია და მიზნად დემონსტრანტების დასჯასა და მათ დაშინებას ისახავს. ყველა რეპრესიული ცვლილება „ქართულმა ოცნებამ” დაჩქარებული წესით, სხვა პარტიებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და აკადემიურ წრეებთან ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე მიიღო და საქართველოს მოქალაქეებს მნიშვნელოვნად შეეზღუდათ შეკრებისა და მანიფესტაციების უფლებით სარგებლობა.

პოლიცია ბოლო პერიოდში სხვადასხვა მიზეზით უზღუდავს თავისუფლებას იმ ჟურნალისტებს, რომლებიც რუსთაველის გამზირზე მიმდინარე პროტესტს აშუქებენ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საქართველოს კანონმდებლობის ნაწილია და იერარქიულად „ქართული ოცნების“ მიერ მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მაღლაც დგას. საქმეში - ბუტკევიჩი რუსეთის წინააღმდეგ (2018) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ჟურნალისტის დაკავება, დევნა და დასჯა არღვევს მის გამოხატვის თავისუფლების უფლებას. სასამართლომ ამ საქმეში გამოხატვის თავისუფლებასთან ერთად (კონვენციის მე-10 მუხლი), დაადგინა თავისუფლების უფლებისა (კონვენციის მე-5 მუხლი) და სამართლიანი სასამართლოს უფლების (კონვენციის მე-6 მუხლი) დარღვევაც. სასამართლომ აღნიშნა, რომ მედია ასრულებს მნიშვნელოვან ამოცანას დემოკრატიულ საზოგადოებაში, როდესაც საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას დემონსტრაციებზე ხელისუფლების ქმედებებზე. ჟურნალისტების დემონსტრაციების დროს ხელის შეშლის ნებისმიერი მცდელობა უნდა იყოს დაქვემდებარებული „მკაცრ კონტროლს“.

16 აპრილს სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიაორგანიზაციების წინააღმდეგ რეპრესიული ცვლილებები შევიდა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმად 1 ივნისიდან დონორებმა გრანტების გაცემაზე „ქართული ოცნების“ მთავრობის ან მისი უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობა უნდა მიიღონ. მათ საგრანტო ხელშეკრულება „ქართული ოცნების“ მთავრობას უნდა წარუდგინონ. გრანტის გაცემისთვის აუცილებელია მთავრობის ან მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობა. თანხმობის გარეშე გაცემული გრანტის მიღება აკრძალულია და უნებართვო გრანტის გაცემისა და მიღების მონიტორინგი დაევალა ანტიკორუფციულ ბიუროს, რომლის ხელმძღვანელსაც პრემიერ-მინისტრი ნიშნავს. ანტიკორუფციულ ბიუროს შესაძლებლობა მიეცა სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან ერთად სამართალდამრღვევის ქონებას (მათ შორის, საბანკო ანგარიშებს) დაადოს ყადაღა. ამასთან ანტიკორუფციული ბიურო უფლებამოსილია: გამოითხოვოს ფინანსური ანგარიში, თუ არსებობს „დასაბუთებული ვარაუდი”, გამოითხოვოს „საჭირო ინფორმაცია” - განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემის ჩათვლით და სხვ. ცვლილებას ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა საერთაშორისო პარტნიორებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდან. 2025 წლის 17 ნოემბრის სადავო პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ 2026 წლის 2 მარტიდან ანტიკორუფციული ბიურო გაუქმდება, მისი ფუნქციები კი სრულად გადაეცემა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს. 2026 წლის 2 მარტიდან გაუქმდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურიც და მისი ფუნქციებიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გადაეცემა.

აღნიშნული ცვლილება შეეხო მედიაორგანიზაციებს (განსაკუთრებით, ონლაინ, რეგიონულ მედიას და საგამოძიებო სტუდიებს). ჩვენი კვლევის ფარგლებში შეფასებულია კანონის პირდაპირი და მსუსხავი ეფექტი მედიაგარემოზე.

ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ქმნის კრიტიკული მაუწყებლების თვითნებური დასჯისა და გაუმართლებელი შინაარსობრივი კონტროლის საფრთხეს. „მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ (დოკუმენტის ნომერი - 407-IIმს-XIმპ, მიღების თარიღი - 01/04/2025), ტელე და რადიო მაუწყებლებს ეკრძალებათ უცხოური ძალისგან პირდაპირი ან არაპირდაპირი დაფინანსების, მათ შორის ფულადი თანხის ან ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის მიღება. იკრძალება უცხოური ძალის მიერ მაუწყებლების მომსახურების შესყიდვა (გარდა კომერციული რეკლამისა და პროდუქტის განთავსებისა) ან/და პროგრამის მომზადების ან/და ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება. „მაუწყებლობის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებები (2024-2025 წწ) არსებითად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ ფუნდამენტურ უფლებებს. მიღებული ცვლილებები შეიცავს უკიდურესად პრობლემურ რეგულაციებს და მიმართულია მედიის, გაერთიანების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ.

ცვლილებებით კანონში სამართალდარღვევად გამოცხადდა ისეთი ქმედებები, რომლებიც მანამდე არასოდეს ყოფილა დასჯადი, გაფართოვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილებები, გაიზარდა არსებულ დარღვევებზე ჯარიმები და ადმინისტრაციული პატიმრობა. მშვიდობიანი აქციების დროს ადამიანებს მხოლოდ იმიტომ აჯარიმებენ და აკავებენ, რომ სამედიცინო პირბადე უკეთიათ, ან სიცივისგან შარფით იცავენ თავს, რაც წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას. „ქართული ოცნების" წევრებმა 2025 წლის 16 ოქტომბერს მხარი დაუჭირეს ცვლილებებს, რომლის თანახმადაც პირველივე ჯერზე ადმინისტრაციული წესით პატიმრობა, ხოლო განმეორებით შემთხვევაში სისხლის სამართლის წესით პატიმრობაა გათვალისწინებული ისეთი ქმედებებისთვის, როგორიცაა აქციაზე სახის ნიღბით დაფარვა ან დროებითი კონსტრუქციის, მაგალითად, კარვის მოწყობა.

ცვლილებებით არა მხოლოდ აქციების წესის დარღვევისთვისაა გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა/თავისუფლების აღკვეთა, არამედ სამართალდამცავის ნებისმიერი მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის. ცხადია, რომ რიგი ცვლილებების მიზანი არა საზოგადოებრივი წესრიგისა და ქვეყნის ინტერესების დაცვა, არამედ აქციის მონაწილეების სამაგალითო დასჯა და მოქალაქეების, მათ შორის ჟურნალისტების, დაშინებაა. აშკარაა, რომ საკანონმდებლო ცვლილებებით მმართველი გუნდი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სივრცეების განადგურებას ისახავს მიზნად.

■ 3.5. სოლიდარობისა და ნდობის კრიზისი: გლობალური ტენდენციები

კვლევაში (გერსამია და სხვები, 2024). „რუსეთის ომი უკრაინაში და მედიის სოლიდარობა (საქართველოს მაგალითი)" აღნიშნულია, რომ საქართველოში პოლარიზებული მედიის სოლიდარობის საერთო დღის წესრიგი მკაფიოდ გამოვლინდა რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის პირველ თვეებში. სოლიდარობის ინდიკატორები სამთავრობო მედიაში მალევე შეიცვალა, რამაც მომდევნო წლებში კიდევ უფრო გააღრმავა პოლარიზება. სოლიდარობა ასუსტებს დეზინფორმაციის ეფექტსა და შიშის ატმოსფეროს, აძლიერებს საზოგადოების ჩართულობას, გამოკვეთავს დემოკრატიული ინსტიტუტების როლს და აფერხებს სახელმწიფოს მიტაცებას.

ანიტა ვარმას ნაშრომები „სოლიდარობის ჟურნალისტიკაზე“ აღწერს, როგორ აგენერირებს სოლიდარობაზე ორიენტირებული ჩარჩო ნდობასა და თანამონაწილეობის განცდას მარგინალიზებულ თემებთან ურთიერთობაში და ზრდის აუდიტორიის მიმღებლობასა და მხარდაჭერას. „სოლიდარობის ჟურნალისტიკის“ კონცეფციის განხილვისას ბიზერი (2024) ამტკიცებს, რომ აუდიტორიასთან ემპათიურ ურთიერთობაზე ორიენტირებული პრაქტიკა ზრდის საზოგადოების ჩართულობასა და მედიისადმი პასუხისმგებლობის განცდას, რაც საბოლოოდ აძლიერებს ჟურნალისტიკას, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესზეა ფოკუსირებული.

სოლიდარობისთვის მნიშვნელოვანია გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და აუდიტორიის ჩართულობა. მედიისადმი „ერთგულება“ ზრდის სოლიდარობასაც, სწორედ ამიტომ სოციალური ქსელებში კონტაქტზე დარჩენა ზრდის ნდობისა და ახლობლობის განცდას ბრენდთან (Journalism Studies, 2025). სოციალური ქსელები მუდმივი კავშირის მნიშვნელოვანი წყაროა, თუმცა - არასაკმარისი. ჟურნალისტებთან ინტერპერსონალურმა, კამერის მიღმა ურთიერთობებმა შესაძლოა განაპირობოს მედიის მიმართ ნდობის გაზრდა.

კვლევების მიხედვით, „ნდობა“ არის მთავარი კომპონენტი, რომელიც აჩენს სოლიდარულ ქცევას - „გადახდის და გამოწერის სურვილს“. Reuters Institute-ის მრავალწლიანმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბრენდისადმი ნდობა, სიახლეების რეგულარული მოხმარება და იდეოლოგიური თანხვედრა ზრდის გადახდის ალბათობას; დაბალი ნდობა კი, თუნდაც მაღალი ხარისხის კონტენტზე, კონვერტაციას ამცირებს (ნიუმანი და სხვ., 2021, 2022, 2024; ფლეტჩერი და ნილსენი, 2017).

სოლიდარობა ვლინდება მედიაპლატფორმების გამოწერასა და სისტემატურ დონაციებში. გლობალურად ონლაინ-გამოწერის გადამხდელთა წილი დაბალია: 2025 წლის „Digital News Report“-ის მიხედვით, 20 ქვეყანაში საშუალოდ 17% იხდის ონლაინნიუსისთვის თანხას (სამი წლის განმავლობაში უცვლელი მაჩვენებელია). ტეხასის უნივერსიტეტის მედიაჩართულობის ცენტრის აკადემიური კვლევები კოლექტიურ დაფინანსებაზე აჩვენებს, რომ: ის უფრო ეფექტურია პროექტულ, „ერთჯერად“ საგამოძიებო ინიციატივებში; წარმატება დამოკიდებულია ამბის საზოგადოებრივი მნიშვნელობაზე, გამჭვირვალობასა და აუდიტორიასთან ურთიერთობის ხარისხზე; კამპანიები აჩენს „თანამფლობელობის“ განცდას, რაც აძლიერებს სოლიდარობის ნარატივს. წევრობაზე/გამოწერაზე დაფუძნებული მოდელების პრაქტიკული მიმოხილვები (RISJ, Membership Puzzle Project) აჩვენებს, რომ „წევრობა“ წარმატებულია მაშინ, როცა სოლიდარობისთვის არსებობს ანგარიშვალდებულება. მაგალითად, აუდიტორიამ იცის, „როგორ მუშაობს რედაქცია“.

სოლიდარობის ფორმების ინსტიტუციონალიზაცია და პრაქტიკა (გამოწერები, დონაციები და სხვ.) საჭიროებს აუდიტორიის არა ფრაგმენტულ, არამედ გრძელვადიან ჩართულობას. ეს ხდება მაშინ, როცა არსებობს მაღალი ნდობა, ანგარიშვალდებულება, რეგულარული ურთიერთობა აუდიტორიასთან და მარტივი გადახდის პროცედურები.

4. ანალიზი

2025 წელს ქართული მედიის მთავარი პოლიტიკური თემების დღის წესრიგი შედგებოდა შემდეგი თემებისგან: მზია ამაღლობელის და შემდეგ სხვა ჟურნალისტების დაპატიმრება, სასამართლო პროცესებისა და საპროტესტო დემონსტრაციების გაშუქება, ე.წ. სინდისის/ პოლიტიკური პატიმრების საქმეები, რუსული სტილის კანონების ინსტრუმენტალიზაცია, ევროინტეგრაციის პროცესი, რუსული გავლენები და ოკუპაცია, მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნები და მისი ბოიკოტი და სხვ.

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებმა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, დაახასიათეს 2025 წლის მედიაგარემო და გაიხსენეს მთავარი გამოწვევები, გარდამტეხი მომენტები, ცვლილებები პროფესიულ საქმიანობაში.

4.1. მზიას ეფექტი

„იბრძოლეთ, სანამ გვიანი არ არის"
მზია ამაღლობელი, „ბათუმელების" დამფუძნებელი

2025 წელი დაიწყო „ბათუმელებისა" და „ნეტგაზეთის" დამფუძნებლის, მზია ამაღლობელის დაპატიმრებით, რითაც ბოლო წლების რეპრესიული პოლიტიკა ჟურნალისტების მისამართით ახალ ეტაპზე გადავიდა. დამოუკიდებელი საქართველოს ჟურნალისტიკის ისტორიაში პირველად დააპატიმრეს ქალი ჟურნალისტი და ამ საქმემ მმართველი გუნდის რეპრესიული ბუნება გამოავლინა. მზიას ისტორიას შესაძლოა გავლენა ჰქონდეს საქართველოში ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტის როლის გადაფასებაზე. ამ საქმემ დათესა შიში და მოგვიანებით გამბედაობაც, რაც მზია ამაღლობელის პერსონალურმა თვისებებმა და სიმამაცემ განაპირობა.

ჟურნალისტის პროფესიონალიზმი ფასდება იმით, რამდენად ახერხებს ის თავისუფლების დისკურსის გადატანას საქმიანობაში, რისკის მიუხედავად საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი რთული თემების გაშუქებას, იმ „წითელი ხაზების" გადაკვეთას, რომელიც მალავს დანაშაულს. მანკიერი სისტემის გამოაშკარავებითა და მხილებით ჟურნალისტი ცდილობს გადააზღვიოს რიგითი მოქალაქეები და დარტყმები საკუთარ თავზე აიღოს, არ წავიდეს სინდისთან კომპრომისზე და ამხილოს მანკიერი პრაქტიკა. სწორედ ასეთი გამბედავი ჟურნალისტების სამაგალითო დასჯა იწვევს „მსუსხავ ეფექტს" და ამცირებს რიგითი მოქალაქეების დაცვის ხარისხს. მზია ამაღლობელის მხრიდან ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის გაგრძელება - ჟურნალისტებისთვის სარედაქციო გამბედაობის ნიმუში და ბრძოლის შთამაგონებელი გახდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

თავდაპირველად მზია ამაღლობელის დაპატიმრებას ჰქონდა „მსუსხავი ეფექტი" მედიაგარემოზე: ჟურნალისტებმა დაიწყეს ფიქრი დაპატიმრების შესაძლო სცენარებზე, უსამართლო და არაპროპორციულ სასჯელზე. საზოგადოებისთვის და ჟურნალისტებისთვის ეს იყო სიგნალი, რომ ჟურნალისტები არ არიან ხელშეუხებლები და მათი ციხეში დიდი ხნით ჩასმა რეალურია. წინა წლებში მედია უკვე იყო სამიზნე, თუმცა მზია ამაღლობელის დაკავებამ საფრთხეები ახალ ნიშნულზე აიყვანა. ამ თემის განხილვისას რესპონდენტები პარალელებს ხედავენ რუსულ და ბელორუსულ სცენარებთან:

> „მზიას დაკავების შემდეგ, ის საფრთხე, რომ მეორე ბელორუსი არ გავმხდარიყავით რეალობად იქცა." (რესპონდენტი N5)

> „მზიას დაპატიმრება იყო დამთრგუნველი და ეს იყო გზავნილი. ჩვენ თვალებში ჩავხედეთ რეჟიმს. მოგვიანებით შიში გადავლახე და ეს თავად მზიას დამსახურებაა. მან ყველას ტვირთი იკისრა, ჭრილობა მოგვიშუშა და გზაც დაგვანახა.” (რესპონდენტი N12)

რესპონდენტებთან მსჯელობისას გამოიკვეთა სწორედ „სარედაქციო გამბედაობის” პარადოქსული დინამიკა: მიუხედავად იმისა, რომ საჩვენებელი დასჯის მიზანი იყო მათი დაშინება, შედეგად გაჩნდა პასუხისმგებლობის ძლიერი განცდა. მზია ამაღლობელისადმი გამოვლენილმა მხარდაჭერამ გარდამტეხი როლი შეასრულა მედიის სოლიდარობაში და ინდივიდუალური საქმე პროფესიულ და მორალურ ვალდებულებად აქცია:

> „მზია უფლებას არ გვაძლევს ხელები ჩამოვუშვათ ან მოვდუნდეთ. ისაა ჩვენი სინდისი. უსინდისოები ვიქნებით თუ არ ვიბრძოლებთ. მზიას დანაბარები ‘იბრძოლეთ, სანამ გვიანი არ არის’ ეკუთვნის ყველა ჟურნალისტსა და მოქალაქეს.” (რესპონდენტი N 2)

მზია ამაღლობელის საქმემ საქართველოში მიმდინარე მოვლენები და პოლიტპატიმრების თემა საერთაშორისო დღის წესრიგში აქტიურად დააბრუნა.

მნიშვნელოვანი იყო სოლიდარობის აქციაში სხვა პროფესიისა და ჯგუფების პოზიციონირება. მზიას შემთხვევაში რესპონდენტები იხსენებენ პოლიტპატიმრების ოჯახების სოლიდარობასა და განცხადებებს. ამასთან, აღნიშნავენ, რომ „ბათუმელებისგან“ (სადაც მზია მუშაობდა) უფრო მეტი სოლიდარობის მოლოდინი ჰქონდათ და ამის მიზეზად ასახელებენ სამთავრობო პროპაგანდას, ნიჰილიზმსა და მედიისადმი უნდობლობას. ბათუმში პროფესიული სოლიდარობაც იყო ფრაგმენტული - აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მხოლოდ რამდენიმე ჟურნალისტმა გაბედა პროტესტზე მისვლა.

მზიას საქმეს აქვს ეფექტი სხვა ბრალდებულების საქმეების შეფასებაზე. ეს ვლინდება საზოგადოების რეაქციაში - შეადაროს სხვა ჩადენილი დანაშაულები ან განაჩენი მზია ამაღლობელის არაპროპორციულ 2-წლიან სასჯელს. ჟურნალისტების დაკვირვებით, როცა სოციალურ ქსელებში იდება ახალი ამბები სხვადასხვა დანაშაულსა და ბრალდებაზე, სოლიდარობის კომენტარები და შედარებები ჩნდება (მაგ:„კი მაგრამ, მაშინ მზიასაც რატომ მიუსაჯეს ამდენი?”).

რესპონდენტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ უპრეცედენტო სოლიდარობას, რომელიც მზია ამაღლობელმა მიიღო ადგილობრივი და საერთაშორისო მედიიდან, ორგანიზაციებიდან, დიპლომატიური კორპუსისგან. საერთაშორისო სოლიდარობის ეფექტი იყო ამბივალენტური, მაგრამ, ძირითადად, პოზიტიური. მან ერთდროულად გაზარდა რეჟიმის აგრესიული რიტორიკა და, მეორე მხრივ, უზრუნველყო მზიას ფიზიკური/სიმბოლური დაცვა. მიუხედავად საბოლოო უსამართლო განაჩენისა, ამ სოლიდარობას უკავშირებენ იმასაც, რომ ნაცვლად 4-დან 7 წლამდე სასჯელისა, ბრალი გადაკვალიფიცირდა და მზიას 2 წელი მიუსაჯეს.

> „ყოველ ჯერზე როდესაც საერთაშორისო დონეზე ხდებოდა მზიასთვის სოლიდარობის გამოცხადება, ოცნების მაღალჩინოსნები უფრო და უფრო მეტი სიძულვილით ლაპარაკობდნენ მასზე და უფრო ცდილობდნენ მის გაშავებას. საერთაშორისო მხარდაჭერამ უზრუნველყო მზიას მეტი უსაფრთხოება. სულ მცირე, მას შეურაცხყოფას აღარ აყენებდნენ და რომ არა სოლიდარობა, შედეგი უარესი იქნებოდა.” (რესპონდენტი N10)

> „მზიას ამბავმა ძალიან მარტივად აღქმადი გახადა ტოტალიტარიზმისკენ მიმავალი გზა.“(რესპონდენტი N5)

ადგილობრივ დონეზე სოლიდარობა გამოხატეს კრიტიკული მედიისა და მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი ტელევიზიების თანამშრომლების ნაწილმაც. კრიტიკული მედიის წარმომადგენლები მთლიანობაში არასაკმარისად აფასებენ იმ მხარდაჭერას, რომელიც სამთავრობო არხებიდან მზია ამაღლობელმა მიიღო, რადგან სოლიდარობის გამოხატვა გამონაკლისებს (მაგ: საზოგადოებრივი მაუწყებლის რამდენიმე ჟურნალისტის, ვასილ ივანოვ-ჩიქოვანის ღია მხარდაჭერა) ეფუძნებოდა. სოლიდარობის გამოხატვის მოლოდინი არსებობდა იმ ტელევიზიების მიმართ, რომლებსაც თავად ჰქონდათ კონკურენტი არხებისგან სოლიდარობის მიღების მაგალითები (სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2" და ტელეკომპანია „იმედი").

კვლევაში ჩართული მონაწილეების ნაწილი ვარაუდობს, რომ სამთავრობო არხებიდან მზია ამაღლობელს კოლეგების სოლიდარობა რომ მიეღო, მმართველი გუნდი კიდევ უფრო მეტად დაიხევდა უკან. თუმცა ამ თემაზე ერთიანი მოსაზრება არ არის. აზრები გაიყო იმასთან დაკავშირებითაც, რამდენად გაუწიეს ანგარიში ე.წ. სამთავრობო ჟურნალისტებმა იმას, რომ თემა მათ კოლეგას ეხებოდა. რესპონდენტების აზრით, ისინი ყოველ ეტაპზე მმართველი გუნდის დავალებით მოქმედებდნენ და თუ რამე „არ გამოვიდა" არის იმის შედეგი, რომ თავად პროპაგანდისტული კამპანია ჩავარდა. ჟურნალისტების შეფასებით, მზია ამაღლობელის პერსონამ „გადაატრიალა" მისი გაშავების კამპანიის მიზანი - „სილის გაწნა" გადაიქცა პროტესტის აქტად.

> „პროპაგანდამ არ იმუშავა ბევრი მიმართულებით: არ იმუშავა დაცინვამ, ქილიკმა სექსუალურ თემაზე, მზიას საშიშ კრიმინალად გამოყვანაზე. ამის ფონი შექმნა მზიას პიროვნებამ, ხასიათმა, სიმტკიცემ და შეუპოვრობამ. მზიას არცერთი ნაბიჯი არ იყო გათვლილი საზოგადოების ყურადღების მიპყრობაზე ან იმიჯის შექმნაზე. მაგალითად, შიმშილობა რომ დაიწყო კოლეგებმა გავიგეთ 1 კვირის მერე, იმიტომ, რომ მას არაფერი გამოუცხადებია." (რესპონდენტი N10)

მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი ტელევიზიების არგუმენტი მზია ამაღლობელისადმი სოლიდარობის გამოხატვის ფორმებთან დაკავშირებით არის ის, რომ ჟურნალისტი არ უნდა დაემსგავსოს აქტივისტს (მათ შორის სოლიდარობის გამოხატვის ფორმებში). რესპონდენტებმა გაიხსენეს, რომ საკმარისი პროფესიული სოლიდარობა გამოხატული იყო „რუსთავი 2"-ის ეთერით.

> „ჩვენ უნდა გავიხსენოთ, რომ პირველ რიგში, ვართ ჟურნალისტები და არა - აქტივისტები. აქტივიზმის გამოხატვა სამოქალაქო ჟურნალისტიკის ფარგლებში დასაშვებია, მაგრამ არა - პროფესიულ ფორმატში." (რესპონდენტი N16)

მზია ამაღლობელი გახდა როგორც პროტესტის, ასევე დამოუკიდებელი მედიის სახე. მზიას ნიშან-ხატით მოხდა საერთაშორისო დონეზე ქართული მედიის პრობლემების გატანა. რეპრესიამ დასუსტებასთან ერთად, შეიძლება მომავალში პროფესიის რებრენდინგი გამოიწვიოს და მას მკვეთრი ეთიკური შეფერილობა მისცეს. მზია ამაღლობელის საქმემ იმოქმედა და, სავარაუდოდ, მომავალშიც იმოქმედებს ქართული ჟურნალისტის პროფესიის რეპუტაციულ აღდგენასა და წარმოჩენაზე. მზია ამაღლობელის საქმე ბევრ ჟურნალისტს დაეხმარა შიშის გადალახვაში. ის ჩანს, როგორც კოლექტიური ფსიქოლოგიური „ქოლგა", რომლის ქვეშ ჩნდება საკუთარი პროფესიული როლის აღდგენის სივრცე.

> „ეს პროფესია მარგინალიზებულია, არც დაფასებულია არც პოპულარული. მზიამ პროფესიას დაუბრუნა ღირსება და ჟურნალისტურ სფეროში ყველას მისცა საშუალება არჩევანისა და სწორ მხარეს დადგომის. ჟურნალისტიკა არის სიმართლისთვის ბრძოლა და თავდადება. ქართული მედიის სინდისად გადაიქცა მზია, მან მარტო საკუთარი თავის პასუხისმგებლობა კი არა, ჩვენი პასუხისმგებლობა და შესაძლებლობებიც დაგვანახა და დაპატიმრების შიშიც გადაალახვინა. აღარც ქვეყნიდან წასვლას ვფიქრობ, არც ჟურნალისტიკიდან წასვლას.“ (რესპონდენტი N10)

> „მზია მედიის სიმბოლოდ იქცა და მისი თავისუფლების თემა - აისახება ახლაც და მომავალშიც მედიაგარემოსა და მედიის თავისუფლებაზეც.” (რესპონდენტი N15)

საერთაშორისო სოლიდარობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კოლეგებისთვის და ოჯახის წევრებისთვის. დღის წესრიგში პრიორიტეტად რჩება მზია ამაღლობელის გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა და მისი განთავისუფლება.

4.2. კანონების ინსტრუმენტალიზაცია მედიის წინააღმდეგ

თუ რამდენიმე წლის წინ მედიასთან ბრძოლა აღიქმებოდა, როგორც „უხილავი“ მოთამაშეების გეგმის ნაწილი, 2025 წელს ეს ბრძოლა ღიაა, ეყრდნობა სამართლებრივ ინსტრუმენტებს, რეპრესიული კანონების ინსტრუმენტალიზაცია კი უკვე სისტემური პრაქტიკაა. 2025 წელს მოხდა წინა წლებში საკანონმდებლო ცვლილებებში გამოკვეთილი ნეგატიური ტენდენციების საბოლოო აღსრულება და შეიქმნა რეპრესიული სამართლებრივი წნეხი მედიაზე. რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ იმ კანონებზე, რომლებმაც კიდევ უფრო შეზღუდა მათი საქმიანობა. ჟურნალისტიკის გაქრობის მთავარი ინსტრუმენტად მოგვევლინა კანონები, რომელიც კვებავს შიშს, თვითცენზურას და კლავს ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობას. ამ კანონებმა მედია და სამოქალაქო ორგანიზაციები არჩევანის წინაშე დააყენა: ან სტიგმა, ან გაქრობა.

საკანონმდებლო ცვლილებების ეფექტი იმაზე მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ეს ჟურნალისტებს წარმოედგინათ. ჟურნალისტები აცნობიერებენ, რომ ქვეყანა რუსულ/ბელორუსულ მოდელს სწრაფი ტემპით უახლოვდება. სამართლებრივი გარემო გახდა არაპროგნოზირებადი, გაიზარდა სხვადასხვა ტიპის ძალადობა, შევიწროება, ჯარიმები, ე.წ. SLAPP-ების რაოდენობა, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლა, შიში და თვითცენზურა. რეპრესიულ კანონებს ჟურნალისტები ეძახიან „კანონებს ემპათიის წინააღმდეგ”. მედია არის მუდმივი სამიზნე, რომლის „გაქრობა“ ხდება არა მხოლოდ რეპრესიებით, არამედ სასიცოცხლო რესურსების გადატანით იურიდიულ და ბიუროკრატიულ ბრძოლებში. კვლევაში ჩართული ჟურნალისტები ამ კანონების არსებობასა და ნაწილობრივ აღსრულებასაც დემოკრატიისთვის საზიანოდ მიიჩნევენ.

2025 წელს საგანგაშოდ გაზრდილია კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების სასამართლო პროცესების, დაკავებების, დაჯარიმებების რ-ბები. ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ მათი დაჯარიმების მიზანი ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა, რესურსებისგან გამოფიტვაა. ამ კუთხით დამკვიდრებულ პრაქტიკას SLAPP-ის ბუნება აქვს:

> „როცა ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს აჯარიმებენ, იწყება დამღლელი პროცესი: სამართლებრივ პროცედურებში გარკვევა და წარმოება დროს და სხვა რესურსს მოითხოვს. ეს ხელს უშლის ჟურნალისტს თავისი საქმის კეთებაში და მიზანიც სწორედ ესაა.” (რესპონდენტი N9)

> „კანონების კასკადური მიღების მთავარი მიზანია SLAPP-ის ეფექტი, ყურადღების და შესაძლებლობების არაჟურნალისტურ საქმიანობაში მიმართვა და საბოლოოდ, მედიის გაჩერება.” (რესპონდენტი N1)

> „მთავარი პრობლემა არა ცუდად დაწერილი კანონებია არამედ, ის მიზნები, რისთვისაც დაიწერა ეს კანონები.“ (რესპონდენტი N3)

მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის დონეზე უკვე შემუშავებულია მექანიზმები, რომლებიც იცავს გამოხატვის თავისუფლების „მსუსხავი ეფექტებისგან”. ასეთია ევროკავშირის დირექტივა (2024/1069), რომელიც მინიმალურ პროცედურულ სტანდარტებს აწესებს სტრატეგიული სარჩელებისგან (SLAPP) დასაცავად და „მსუსხავი ეფექტის” შესამცირებლად. ეს დირექტივა საქართველოსთვის, როგორც კანდიდატი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გზამკვლევია.

კრიტიკულ და დამოუკიდებელ მედიაზე შეტევა კოორდინირებულია როგორც ე.წ. სამთავრობო მედიაში, ასევე ხელისუფლების სხვადასხვა (საკანონმდებლო, სასამართლო, აღმასრულებელი) რგოლში.

> „საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო ის, თუ რა წერია კანონში, არამედ ისიც, რაც არ წერია - არსებობს შიში, რომ ნებისმიერი საბაბით შეუძლიათ ადამიანის გასამართლება, დასჯა და ჩვენ სამართალს ვერ ვიპოვით.” (რესპონდენტი N3)

> „ანტიკორუფციულმა ბიურომ მოგვთხოვა მთელი მონაცემები საპროექტო დოკუმენტაციის შესახებ, ჩვენ ვუთხარით რომ გრანტები აღარ გვაქვს და შესაბამისად ვერაფერს გავუგზავნიდით. პასუხად, ახლა სასამართლოს ძალით აპირებენ ამოიღონ არარსებული დოკუმენტაცია. ამ ყველაფრის მიზანი არის ჩვენი სამაგალითო დაშინება და დასჯა, რომ მერე შეში სხვებსაც გადაედოს. სწორედ შიშის გაღვივებაა ამ კანონების მთავარი მიზანი.” **(**რესპონდენტი N6)

კვლევამ გამოკვეთა, რომ ყველაზე მეტად მედიაგარემო დააზიანა „გრანტების შესახებ” კანონში ცვლილებამ, რომელმაც ფინანსურად მოგუდა მედიაორგანიზაციები, “FARA-ს” კანონმა კი დაპატიმრების რისკები გააჩინა. ცვლილებები, რომელიც 1-ელი ივნისიდან შევიდა ძალაში, განსაკუთრებით ნეგატიური აღმოჩნდა რეგიონულ, ონლაინმედიასა და საგამოძიებო სტუდიებისთვის. კანონების მსუსხავმა ეფექტმა და შიშმა ეფექტიანად იმუშავა, მიზანს მიაღწია და მალევე შეცვალა ჟურნალისტებისა და დონორი ორგანიზაციების ქცევები. რესპონდენტები ნეგატიურად აფასებენ იმას, რომ კანონების ამოქმედებამ „დონორი ორგანიზაციები გააშეშა”.

> „კანონების გამკაცრების შემდეგ მზად ვიყავით ჯარიმებისთვის, დაპატიმრებისთვის, მაგრამ არ ვიყავით მზად, რომ ყველანაირი ფინანსური წყარო გადაიკეტებოდა. როგორც ჩანს, მათ არ სჭირდებათ 100 ჟურნალისტი ციხეში, მათ უნდათ რომ ნელ-ნელა მოკლან ჟურნალისტიკა.” (რესპონდენტი N7)

რესპონდენტებში შესამჩნევია გადაღლა, უსამართლობისა და დაუცველობის განცდა, რასაც აძლიერებს ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი გამოუძიებელი დანაშაულები.

> „ვცხოვრობთ ქვეყანაში სადაც კანონებს მნიშვნელობა არა აქვს. მართლმსაჯულება არ არსებობს და ყველაფერი არის პოლიტიკურად მიკერძოებული.“ (რესპონდენტი N3)

2024 წელს მაუწყებლობის შესახებ კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა, რომლითაც სიძულვილის ენის რეგულირება დაიწყო, თავისი შედეგი მოიტანა.

> „მაუწყებლობის შესახებ კანონში ჩაწერილმა ცვლილებებმა, რომელიც სიძულვილის ენის რეგულირებას შეეხება, სტანდარტის დაცვა კი არ გაამარტივა, უფრო გაართულა. ამკრძალავი კანონების მიზანი არის მედიის დაკნინებაც და დაშინებაც. შედეგად, სამთავრობო ბრიფინგებზე შეიძლება 10 მიკროფონი ელაგოს, თუმცა კითხვის დამსმელი სულ 2 ჟურნალისტია." (რესპონდენტი N14)

საპარლამენტო ჟურნალისტებისთვის გართულებულია მუშაობა და კანონპროექტებზე წვდომა. ბიუროკრატიულ პროცედურებსა და შეთანხმებებში დრო იწელება. იმ ტელევიზიის წარმომადგენლებს, რომლებიც არ მუშაობენ საგამოძიებო მასალებზე, დოკუმენტებსა და კომენტარებზე წვდომა უფრო აქვთ, ვიდრე მათ კოლეგებს, რომლებიც უფრო მწვავე კითხვებს სვამენ.

> „ბიუროს დღის წესრიგის მიღებასაც კი შეთანხმება სჭირდება. აკრედიტაციის ჩამორთმევით სულ გვემუქრებიან და არასასურველ ჟურნალისტებს კი უბრალოდ პარლამენტში არ უშვებენ." (რესპონდენტი N14)

> „მქონდა შემთხვევა, როცა მეც და სხვა ოპოზიციური ტელევიზიის წარმომადგენელს კრიტიკული კითხვა დაგვისვავს პარლამენტარისთვის და მას იმ სხვა ტელევიზიის წარმომადგენელთან უჩხუბია, ჩემთვის კი პასუხი გაუცია." (რესპონდენტი N14)

კანონების მიღების შემდეგ, პროფესიიდან „ტვინების გადინება" მოხდა. ახალგაზრდა თაობის ჟურნალისტები ემიგრაციაზე აქტიურად ფიქრობენ. კრიტიკული მედიაორგანიზაციები იურიდიულად არსებობენ, თუმცა ორგანიზაციულად ჩამოიშალნენ და/ან განადგურების პირას არიან.

4.3. ფინანსური კრიზისი: მედიის მომავალი - სინათლის ძიებაში

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, მედიას ყოველთვის ჰქონდა გამოწვევები, რომლებიც გრძელვადიან და მდგრად განვითარებაში ხელს უშლიდა. ამათგან, მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო მედიის ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა, რასთან გამკლავებასაც მედია მეტ-ნაკლებად ახერხებდა. ფინანსური თვალსაზრისით, 2025 წელი ყველაზე რთული აღმოჩნდა, რადგან მედიაზე შეტევა კონსოლიდირებული იყო სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან და დაფინანსების ალტერნატიული გზები გადაიკეტა. მედიის „მოგუდვის" მთავარი მექანიზმი სწორედ ფინანსური სახსრების გაქრობა აღმოჩნდა.

> „ძალაუფლების მქონე პირები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მედია გაქრეს. ჩემთვის 2025 წელი არის, გამოცხადებული რეპრესიების წელი." (რესპონდენტი N3)

2025 წელი ყველაზე რთული იყო რეგიონული მედიისთვისაც. არაერთი მედიაორგანიზაცია დაიხურა ან საქმიანობის პროფილი შეიცვალა (მაგ: სარეკლამო მიმართულებით დაიწყო მუშაობა). მედიაორგანიზაციები არა მარტო ვეღარ იხდიან ხელფასებს, არამედ პრობლემაა იჯარისა და საოფისე, ინტერნეტის, ტექნიკური მომსახურეობის ხარჯების გადახდა. ონლაინ და რეგიონულ მედიაში მცირე სარეკლამო შემოსავალი ამ ხარჯებს ვერ უმკლავდება. რეგიონულ მედიაში ამბობენ, რომ 2025 წელს ხელფასების გარეშე მუშაობენ, თუმცა ყველზე მეტად ოფისის დაკარგვის ეშინიათ, რადგან ეს მათ პარალიზებას გამოიწვევს.

საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის შემდეგ რეგიონული მედია აქტიურად მუშაობს ხელმომწერების მობილიზებაზე, რასაც მეტ-ნაკლებად პოზიტიური დინამიკა აქვს. გამოწერები არის სამთვიანი, ექვსთვიანი და ერთწლიანი. რეგიონულ მედიაში ადამიანური რესურსების ნაკლებობაა, შეუძლებელი ხდება შედეგზე ორიენტირება და აუდიტორიამდე ყველაფრის მიტანა (მაგ: სოციალურ ქსელებში გავრცელება). არაეფექტურია, როცა ჟურნალისტი მედიაორგანიზაციის გასაძლიერებლად პარალელურად სხვა, არაჟურნალისტურ პროექტებზეც მუშაობს. (მაგ: აფუძნებს არასამთავრობო ორგანიზაციებს, შპს-ებს) რესპონდენტები აცნობიერებენ, რომ რეგიონებში მედიის დახურვის შემთხვევაში, ძალიან ძნელი იქნება მომავალში მისი უცებ აღდგენა, რადგან რესურსები დაიფანტება.

> „ასეთი ორგანიზაციების დაფუძნება მაშინაა ეფექტური, როცა არის რესურსი ახალი თანამშრომლების აყვანის. თუ მედიაორგანიზაციის თანამშრომლებმა უნდა აკეთონ სხვა ორგანიზაციის საქმე იმისთვის, რომ წაეშველონ მედიას - ეს წამგებიანია.” (რესპონდენტი N15)

მედიაში ფინანსურ კრიზისს ამწვავებს ისიც, რომ ქართული ბიზნესი სათანადოდ არ უდგას გვერდში დამოუკიდებელ მედიას. მათი ძირითადი ინტერესი მიმართულია სამთავრობო მედიებისკენ. ბიზნეს-სექტორი ერიდება კრიტიკული მედიის დაფინანსებას მმართველი გუნდის უკმაყოფილების თავიდან ასარიდებლად.

> „რეკლამას ვერ ვიზიდავთ, რადგან თავის ატკივება არავის უნდა. ხელისუფლებას არც ტელევიზორში სჭირდები და არც YouTube-ზე.” (რესპონდენტი N8)

> „ბიზნესმა არ შეიტანა წვლილი სამოქალაქო სექტორისა და მედიის გაძლიერებაში და ამ კუთხით უპასუხისმგებლოდ მოიქცა. მედიას მხოლოდ ხალხის დახმარების იმედი აქვს.“ (რესპონდენტი N3)

> „საქართველოში 2400-მდე იმ ბიზნესის წარმომადგენელია, რომელმაც ხელი მოაწერა საპროტესტო მოთხოვნებს და მერე სად აორთქლდნენ კაცმა არ იცის. ასე, რომ ბიზნესი ისე იქცევა, როგორც ტოტალიტარული მმართველობის დროს უნდა იქცეოდეს.” (რესპონდენტი N7)

პოსტ-საბჭოთა საზოგადოებაში არ არსებობს მედიის ფინანსური მხარდაჭერის, გამოწერისა და დონაციის კულტურა, თუმცა კრიზისულ პერიოდში საზოგადოება ეხმარება მედიას. 2025 წელს მედიაორგანიზაციები უფრო მეტად გახდნენ ფოკუსირებულები საზოგადოების ჩართულობის გაზრდაზე, რადგან დონორი ორგანიზაციები და/ან მსხვილი დამფინანსებლები მათ ვეღარ ეხმარებიან.

ალტერნატიული შემოსავლები (დონაციები, კოლექტიური დაფინანსება/crowdfunding, გამოწერა) არა პანაცეა, არამედ დროებითი მხარდამჭერი მექანიზმია. დონაციები ფრაგმენტულად მუშაობს, განსაკუთრებით კრიზისების დროს. გამოწვევად რჩება გრძელვადიანი გამომწერების არსებობა, როცა მედია პატარა დონაციები პერიოდულად იკვებება.

> „სულ გვეგონა, რომ საქართველოში ხალხს მატერიალურად უჭირს და მედიას ვერ დაეხმარებოდა. აღმოჩნდა, რომ როცა დაგვჭირდა, ერთმანეთი გავიტანეთ. ამ პერიოდმა გვანახა, რომ ‘ხალხის მედია’ ხალხის დახმარების გარეშე ვერ იარსებებს.” (რესპონდენტი N3)

ჟურნალისტებსა და მენეჯერებს არარეალისტურად მიაჩნიათ YouTube პლატფორმით შემოსავლების მიღება, რადგან ქართული ენის გამო მაყურებელი ბევრად ნაკლებია, ვიდრე თუნდაც ინგლისურენოვანი კონტენტის შემთხვევაში. პლატფორმა ნაკლებად იძლევა სერიოზული მონეტიზაციის საშუალებას. გრძელვადიან პერსპექტივაში რესპონდენტების ნაწილი სკეპტიკურად უყურებს კოლექტიური დაფინანსების პლატფორმების მუშაობასაც, რადგან ამ მოდელის თავისებურება ისაა, რომ იგი კონკრეტულ მიზანზეა მორგებული და აქვს დროის საზღვრები. რესპონდენტების აზრით, ისეთმა კამპანიებმა, როგორიცაა „სინათლე მედია", შეუძლია გააძლიეროს სოლიდარობა და ნდობა მედიის მიმართ და აუდიტორიას ჩამოუყალიბდეს ჩვევა - დაეხმაროს მედიას, რომელსაც ენდობა. საზოგადოებაში მიმდინარეობს ჟურნალისტის როლის გადააზრება და ეს მნიშვნელოვანი პროცესია მედიის ფინანსური სიცოცხლისუნარიანობისთვისაც.

> „ე.წ. ქრაუდფანდინგს აქვს თავისი ციკლურობა, ის კონკრეტული მიზნით ხდება და არაა გრძელვადიანი პროექტისთვის. ამასთან, თუ არ აწარმოებ ძალიან აქტიურ კამპანიას, გადარიცხვებიც ჩერდება." (რესპონდენტი N6)

> „ამ კამპანიებს ყველას გადარჩენა არ შეუძლია, მაგრამ სოლიდარობის გაზრდა ნამდვილად შეძლო." (რესპონდენტი N9)

> „ჟურნალისტიკაში ფინანსური მხარდაჭერის გარდა, მორალური მხარდაჭერაც ძალიან მნიშვნელოვანია, მით უმეტეს კრიზისის დროს. მორალური მხარდაჭერის ხარჯზე, 'შეგულიანებულმა' ჟურნალისტმა შეიძლება ველზე სამი დღეს იმუშაოს, უფულოდაც იმუშაოს." (რესპონდენტი N4)

> „საზოგადოებამ უფრო დააფასა ინფორმირებულობის მნიშვნელობა და ჟურნალისტიკის როლი. ე.წ. ქრაუდფანდინგი ჯერ ჩანასახშია, მაგრამ კამპანია 'სინათლე მედიის' პრეცედენტი არა მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერის კამპანიაა, არამედ ესაა სოლიდარობისა და მხარდაჭერის დემონსტრირების საშუალებაც." (რესპონდენტი N10)

ჟურნალისტებში არის მოლოდინი, რომ მომავალი წლიდან ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება და ორი კრიტიკული ტელევიზია (გულისხმობენ „ტვ პირველსა" და „ფორმულას") დაიხურება სწორედ ფინანსური წნეხის გამო.

> „დილით, რომ მიდიხარ სამსახურში, შეიძლება საღამოს უკვე გაგთიშონ და უმუშევარი დარჩე, შეიძლება უბრალოდ შუქი გამოგერთოს, შეიძლება საწვავი ვეღარ ჩაასხა და გადაღებაზე ვერ წახვიდე. ასეთი სიტუაცია 90-იანებშიც არ მახსოვს, მით უმეტეს, რომ გაჭირვებულ რედაქციაშიც მიმუშავია. მაშინ ხვალინდელი დღის შიშიც არ იყო. ახლა ხვალინდელის კი არა, საღამოს შიში გაქვს." (რესპონდენტი N4)

ინტერნეტ-პლატფორმებზე არსებული ფორმატები, სავარაუდოდ, შეინარჩუნებს არსებობას და გაძლიერდება. გამოწვევად დარჩება აუდიტორიის მოზიდვა და შემოსავლები. აუდიტორიაზე გავლენის გაზრდის შემთხვევაში, არსებობს ინტერნეტ-სივრცის რეგულირებისა და ჟურნალისტების იძულებითი დევნილობის რისკი.

2025-ში მედიამ ვეღარ გაუძლო ფინანსურ კრიზისს. დონორთა დახმარების დაბლოკვამ და ახალმა სამართლებრივმა გარემომ შეუძლებელი გახადა მედიის სიცოცხლისუნარიანობა, განსაკუთრებით რეგიონებში. ერთი მხრივ, კრიტიკულ მედიაში რეკლამის განთავსების შიში ბიზნეს-სექტორის მხრიდან და მეორე მხრივ, გამოწერებზე/დონაციებზე მაღალი დამოკიდებულება ქმნის არამდგრად ეკოსისტემას, რაც კლავს ხარისხიან ჟურნალისტიკასა და დემოკრატიას.

4.3.1. „მთავარი არხის” მაუწყებლობის შეჩერება

კვლევაში გაანალიზებულია „მთავარი არხის” გარშემო განვითარებული მოვლენები. ტელეკომპანია ხუთწლიანი მაუწყებლობის შემდეგ (2019 წლის 9 სექტემბერი - 2025 წლის 31 მაისი) დაიხურა, ფუნქციონირება გააგრძელა ალტერნატიულ მედიუმებსა და სოციალურ ქსელებში. გადაცემების ნაწილი ტრანსფორმირდა YouTube პლატფორმისთვის. არხის დახურვას აქვს პოლიტიკური კონტექსტი, რასაც განაპირობებს ტელევიზიის გენეზისი, რამაც ის სამიზნედ აქცია. კერძოდ, 2019 წელს, მას შემდეგ, რაც მფლობელები შეიცვალა ტელეკომპანია „რუსთავი 2”-ში, მისმა ყოფილმა დირექტორმა, ნიკა გვარამიამ და 200-მა თანამშრომელმა დააფუძნეს „მთავარი არხი”, რომელიც იყო ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ტელევიზია. ბიზნესმენმა ზაზა ოქუაშვილმა ახალი არხი უზრუნველყო ტელევიზიის ინფრასტრუქტურით (ეს იყო მის მფლობელობაში არსებული დახურული ტელევიზიის ქონება), არხში წილებისა და საიჯარო გადასახადების გადახდის სანაცვლოდ.

როგორც კვლევაში ჩართული რესპონდენტები ამბობენ, არხის დაფუძნების პერიოდში ზაზა ოქუაშვილს ჰქონდა დაძაბული ურთიერთობა ბიძინა ივანიშვილთან, ხოლო მის ხელთ არსებული ტელევიზიის ქონება ბანკში ჰქონდა ჩადებული. მოგვიანებით ბანკმა დააყადაღა და ჩამოართვა ეს ქონება. ამის შემდეგ „მთავარი არხი” იჯარას აღარ იხდიდა, რადგან „საქართველოს ბანკმა” არხს ქონებით უფასოდ სარგებლობის უფლება მისცა. რესპონდენტებთან საუბრისას ირკვევა, რომ ნიკა გვარამიას გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გადადგომისა და პოლიტიკაში წასვლის შემდეგ ოქუაშვილმა თანხმობის სანაცვლოდ მოითხოვა ნათესავების ახლად დაფუძნებული პარტიის სიაში ჩასმა. უარის შემდეგ კი მოითხოვა „მთავარი არხის” წესდებაში ცვლილებების შეტანა, რაც გულისხმობდა მისდამი ლოიალური დირექტორის დანიშვნას, რომელსაც ვეტოს უფლება ექნებოდა ყველა ფინანსურ ტრანზაქციაზე. სწორედ ამ დანიშნული დირექტორის, გოგი ქურდაძის მიერ თანხმობის არარსებობის გამო ვეღარ ხდებოდა ფინანსური ოპერაციების წარმართვა (ინტერნეტის საფასურის, ხელფასების, სატელიტის მომსახურეობის გადახდა და სხვ.), რაც აუცილებელი იყო შეუფერხებელი მაუწყებლობისთვის.

კვლევაში ჩართული რესპონდენტები ამბობენ, რომ ტელევიზიის მენეჯმენტს გაუჩნდა ეჭვი ზაზა ოქუაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის ფარული გარიგების შესახებ, რათა წინასაარჩევნო პერიოდში „მთავარი არხის” მაუწყებლობა შეჩერებულიყო. ოქუაშვილის აცხადებდა, რომ „ომეგა ჯგუფის” კომპანიების მიმართ „მთავარი არხის” დავალიანება 12 მილიონი იყო. არხის მენეჯმენტის წინააღმდეგ ბრალდება შეეხებოდა იმას, რომ თითქოს არხი ივანიშვილი-გილაური-გვარამიას ტანდემის (რეალურად ტრიო გამოდის და არა ტანდემი) მძევლად არის ქცეული.

საქართველოს გენერალური პროკურატურა ტელეკომპანია „მთავარ არხში” და მის კონტრაქტორ გაყიდვების სახლში 16 ივლისს შევიდა. პროკურატურამ მოითხოვა არხთან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტაციის სრულად ამოღება. გამოძიება დაიწყო „მთავარი არხის” ერთ-ერთი დამფუძნებლის, ზაზა ოქუაშვილის მიერ დანიშნული დირექტორის, გოგი ქურდაძის საჩივრის საფუძველზე, რომელიც ფინანსურ დარღვევებში ადანაშაულებდა მენეჯმეჯმენტსა და არხის თანადამფუძნებლებს. „მთავარი არხის” მენეჯმენტმა განაცხადა, რომ ზაზა ოქუაშვილი ყალბ და უსაფუძვლო ბრალდებებს უყენებდა არხის მენეჯმენტსა და თანადამფუძნებლებს და ამით ემსახურებოდა რეჟიმის ინტერესებს.

„მთავარი არხის" განცხადებაში ნათქვამია: „სამწუხაროდ, 'ქართულმა ოცნებამ' მოახერხა მიზნის მიღწევა და ზაზა ოქუაშვილის ხელით დახურა ქვეყნის მთავარი კრიტიკული არხი. თუმცა, როგორც ჩანს, „მთავარ არხზე" ზეწოლა ამით არ ამოიწურა და რეჟიმი ისევ ოქუაშვილის ცილისწამების საფუძველზე ცდილობს კომპანიის მენეჯმენტსა და სხვა დამფუძნებლებზე ანგარიშსწორებას. „მთავარი არხის" ფინანსურ ოპერაციებში არანაირი დანაშაული არ არის და მიუკერძოებელი პროკურატურა ქურდაძის საჩივარზე გამოძიებასაც კი არ დაიწყებდა, ვინაიდან ზედაპირზეა ოქუაშვილის დირექტორის ბრალდებების აბსურდულობა. თუმცა ყველას გვესმის, რომ „ქართული ოცნება" მომართულია არა სიმართლის დადგენისკენ, არამედ საკუთარი პოლიტიკური მიზნების შესრულებისკენ." მოგვინებით, პროკურატურამ ვერ აღმოაჩინა უკანონო ფულის ხარჯვა.

ტელეკომპანია „მთავარი არხის" წინააღმდეგ ჩივილის მიზანი იყო არა ფულის ამოღება, **არამედ კრიტიკული ხმების ჩახშობა**, **არხისთვის პრობლემების შექმნა ან/და მაუწყებლობის შეწყვეტა**. „მთავარი არხის" წინააღმდეგ წარმოებული კამპანია და სარჩელები ბადებს ეჭვს, რომ ეს იყო სტრატეგიული სარჩელი საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ (ე.წ. SLAPP) და მისი მიზანი იყო არხის გაჩუმება.

ორივე პოლუსზე მყოფ ჟურნალისტებს ჰქონდათ „მთავარი არხის" დახურვის მოლოდინი, თუმცა დახურვის ფორმა მათთვისაც მოულოდნელი იყო. კერძოდ, „მთავარი ახრის", როგორც ტელევიზიის, დახურვა და მასზე გამოხმაურებები არც მედიაში და არც საზოგადოებაში არ იყო რეზონანსული. ეს შეიძლება გამოწვეული იყო იმით, რომ არხი შემოიფარგლა განცხადებით დახურვის შესახებ, არ გამართულა ბრიფინგი, არ ყოფილა საგანგებო მიმართვები. არხის დახურვის შესახებ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ არხი დროებით წყვეტს მაუწყებლობას და მუშაობას აგრძელებს ალტერნატიულ პლატფორმებზე. ტელევიზიის დახურვის ნეგატიური ზეგავლენა შეამცირა იმან, რომ არხმა გააგრძელა სოციალურ ქსელებში არსებობა (Facebook, Instagram, Tik-Tok), დაარეგისტრირა შპს „ინტერლექტი", ხოლო ჟურნალისტების ნაწილმა დამოუკიდებლად შექმნა YouTube არხი, სადაც ერთგულ მაყურებელს შეეძლო გაეგრძელებინა მათ მიერ შექმნილი გადაცემების ყურება. სუსტ სოლიდარობაზე იმოქმედა იმანაც, რომ მსგავს კრიზისში და დახურვის პირას იყვნენ სხვა კრიტიკული ტელევიზიებიც.

> „ტელევიზია უცნაურად დაიხურა. ჯერ იმასაც ვერ აღვიქვამთ ბოლომდე, რომ ტელევიზია დაიხურა და ვერც ამბობ, რომ ხელისუფლებამ დახურა. მაშინ, როდესაც ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს რომ გაგაჩუმოს, ეს არხი თავისით გაჩუმდა." (რესპონდენტი N7)

> „როდესაც ქვეყანაში, ერთ-ერთი მთავარი კრიტიკული არხი იხურება ამას წესით პირველ რიგში, საზოგადოების გამოხმაურება უნდა ჰქონოდა. არც მედიაში და არც თავად არხში არ ყოფილა დიდი პროტესტი და თითქოს ჩუმად დაიხურა". (რესპონდენტი N13)

„მთავარი არხის" ტელევიზიის დახურვას არაერთი ნეგატიური ეფექტი მოჰყვა. პირველ რიგში, ამ პრეცედენტმა დათესა შიში და დახურვის საშიშროება გაუმყარა სხვა კრიტიკულ ტელევიზიებს. ასევე, კოლეგები განსაკუთრებით სწუხან უმუშევრად დარჩენილი ჟურნალისტების გამო. კვლევაში ჩართული რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ იმ მაყურებელს, რომელიც მედიაარჩევანს აკეთებს ტელევიზიის სასარგებლოდ და უყურებდა „მთავარ არხს", სავარაუდოდ, გაუჭირდება YouTube პლატფორმაზე გადართვა და ისევ ტრადიციული ტელევიზიის ფორმატში გააგრძელებს ინფორმაციის მოძიებას.

> „სერიოზულად დაზიანდა საზოგადოება, რადგან სატელევიზიო ნიშას და კონკრეტულ აუდიტორიაზე გავლენას YouTube და სოციალური ქსელები ვერ შეავსებდა და ეს მაყურებელი არხმა დაკარგა.” (რესპონდენტი N12)

„მთავარი არხის” დახურვას არ ჰქონდა ერთი კონკრეტული მიზეზი. ეს იყო კომბინირებული ეფექტი, სადაც შიდა კონფლიქტი გახდა გარე წნეხის გამაძლიერებელი. „მთავარი არხის” დახურვა აჩვენებს, პოლიტიკური კონტექსტისა ფონზე, შიდა მფლობელობითი კონფლიქტი „დე-ფაქტო” ტრიგერად გადაიქცა და გამოიწვია მაუწყებლობის შეჩერება. მიუხედავად იმისა, რომ უკანონო ხარჯვა ვერ დადასტურდა, პროკურატურის ჩართვამ პროცესში შექმნა SLAPP-ის ეფექტი. გამოიკვეთა, რომ არხის ტრანსფორმაცია ალტერნატიულ პლატფორმებზე ვერ ანაცვლებს სატელევიზიო ნიშას და აუდიტორიას. არხის დახურვის ამგვარი პრეცედენტი ამყარებს შიშსა და გაურკვევლობას.

4.3.2. საერთაშორისო დახმარების როლი მედიაში

დამოუკიდებელი მედიის ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობას ყველაზე მეტი საფრთხე შეუქმნა ცვლილებებმა გრანტების შესახებ კანონში. საერთაშორისო გრანტები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იყო ონლაინ და რეგიონული მედიისთვის. მიუხედავად წლების განმავლობაში დონორების მხრიდან მედიის მხარდაჭერისა, მედიაორგანიზაციები მოწყვლადი აღმოჩნდნენ და გაქრობის პირას არიან. რესპონდენტები აფასებენ დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის პროგრამებს და აღნიშნავენ, რომ არც დონორები და არც მედიაორგანიზაციები არ აღმოჩნდნენ მზად იმ გამოწვევებისთვის, რომელიც დღეს საქართველოშია. ამის მიზეზად ასახელებენ წლების განმავლობაში მედიაორგანიზაციების დონორების პრიორიტეტებზე მორგება, ხოლო ადგილობრივი კონტექსტისა და საჭიროებების გათვალისწინება, ორგანიზაციების მიმართ ინდივიდუალური მიდგომები ნაკლებად იყო. პრობლემა იყო კრიზისების პერიოდში ბიუროკრატიული მოუქნელობაც. მედიამენეჯერები აღნიშნავენ, რომ გაუგებარი რჩებოდა, თუ რის მიხედვით ხდებოდა რეგიონში პრიორიტეტების დადგენა, რესურსის არათანაბარი და/ან ნაკლებად ეფექტური განაწილება. ტელევიზიებისთვის საერთაშორისო გრანტების წესები იყო და რჩება მოუქნელი:

> „დონორებმა უნდა გადალახონ კომპლექსები და მონახონ სამართლებრივი გზები, რომ ტელევიზიებიც დააფინანსონ. შესამცირებელია ბიუროკრატია.” (რესპონდენტი N1)

> „ვცდილობდით მოვრგებოდით საგრანტო მოთხოვნებს. ზოგჯერ კონტენტის შექმნაზე იყო საჭირო დახმარება, ზოგჯერ ტექნიკის შეძენაზე, რაც ძალიან რთული მოსაპოვებელი იყო.” (რესპონდენტი N3)

რეპრესიული კანონების მიღების შემდეგ გაუარესდა კომუნიკაცია, შეხვედრები კი სადაც მოსაზრებების ურთიერთგაცვლა ხდება - შემცირდა. გამოითქვა მოსაზრება, რომ მმართველი გუნდი ახერხებდა საერთაშორისო ორგანიზაციებზე ზეგავლენას და ეს აისახებოდა დაფინანსების დროსაც. ასევე, ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პარალელურად, დონორი ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ რუსული რბილი ძალის გაძლიერებას. იმისდა მიუხედავად, რომ რეპრესიული კანონებისა და მედიის შევიწროების გზა დონორებს სხვა ქვეყნებშიც ჰქონდათ ნანახი, საქართველოში სიტუაციის პრევენციისთვის ან საპასუხოდ მზად არ იყვნენ.

> „დონორებსაცარაქვთგეგმადაარცჩვენვიცით,როგორგავაგრძელოთთანამშრომლობა.” (რესპონდენტი N9)

ამჯერად, საერთაშორისო ფონდები რეგიონულ მედიას სთავაზობენ გრანტებს, მაგრამ თავად მედიაორგანიზაციები და ჟურნალისტები ამბობენ უარს, რადგან ეშინიათ, რომ თუ მათი შექმნილი მასალა ხელისუფლებას არ მოეწონება - შეუძლიათ პრობლემები შეუქმნან მათ. ამ კუთხით, გრანტების მიღებით მედია კი არ განვითარდება, არამედ შეიძლება დაზარალდეს და პრობლემები შეექმნას. ეს უფრო პრობლემურად აღიქმება იმ კონტექსტში, როცა საერთაშორისო ორგანიზაციები უსაფრთხოების გარანტიებს მედიას ვერ აძლევენ მიუხედავად იმისა, რომ სურთ მედია გადაარჩინონ.

> „მზიას მოწოდება 'იბრძოლეთ, სანამ გვიანი არ არის' შეეხო ყველას: მოქალაქეებს, პოლიტიკოსებს, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს." (რესპონდენტი N2).

სახელმწიფო ინსტიტუტების მიტაცების ფონზე, ქვეყნის გადასარჩენად მნიშვნელოვანი სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციების უფრო ეფექტური სოლიდარობა ხდება. კვლევაში ჩართული ჟურნალისტების აზრით, მნიშვნელოვანია ყველა სახის დახმარება, საჯარო და ჩუმი დიპლომატიის ჩართვით.

4.4. კონტენტის წარმოების გამოწვევები

2025 წელს მედიაგარემოში მიმდინარე ნეგატიურმა მოვლენებმა ასახვა პოვა მთავარ პროდუქტზე - მედიის კონტენტსა და მის მრავალფეროვნებაზე. კრიტიკული მედიაორგანიზაციები ფორმალურად და იურიდიულად არსებობენ, მაგრამ ჟურნალისტებისათვის სულ უფრო მეტი ბარიერი ჩნდება დაკისრებული დემოკრატიული ფუნქციების შესრულებასა (მათ შორის: საზედამხედველო - „მოდარაჯე ძაღლის", დღის წესრიგის შექმნის, ინფორმირების, მობილიზაციის, ემპათიის და პრო-სოციალური ეფექტის შექმნის, კულტურულ-გასართობი კონტენტის შექმნის და სხვ.) და ხარისხიანი და მრავალფეროვანი კონტენტის (თემების, წყაროების, ჟანრებისა და ფორმების) შექმნაში.

მაქუილის (2010) მიხედვით, ტრადიციული „მასმედიის კონტენტი მაინც მიიჩნევა მეტ-ნაკლებად სანდო წყაროდ იმ კულტურისა და საზოგადოების აღსაწერად, რომელშიც ის მზადდება" (გვ.286). მკვლევრები თანხმდებიან, რომ მასმედიის კონტენტის ძირითადი ნაწილი შეიძლება იმ თვალსაზრისითაც შეფასდეს, თუ რამდენად არის გამოვლენილი მასში „თავისუფლების ხარისხი" და „სარედაქციო გამბედაობა", რომელიც სხვადასხვა გზით ვლინდება და მოიცავს აზრების გამოხატვას, განსაკუთრებით, საკამათო საკითხებზე (მაქუილი, 2010, გვ. 297). საქართველოში კრიტიკული მედიის შექმნილი პროდუქტი (განსაკუთრებით საგამოძიებო ჟურნალისტიკა) შესაძლოა ხელისუფლებისთვის აღიქმებოდეს ზიანის მომტანად და ხელოვნურად ხდებოდეს მისი წარმოებისთვის ბარიერების შექმნა.

კვლევა აჩვენებს, რომ 2025 წელს კონტენტის წარმოება მიზანმიმართულად, კიდევ უფრო გართულდა ყველგან, სადაც მედიისა და საზოგადოების ინტერესი მაღალია და მნიშვნელოვანია მედიის პროაქტიული მუშაობა: სასამართლოებში, საპროტესტო აქციებზე, საკანონმდებლო ორგანოში და სხვ. ამ მიმართულებებს კვლევაში დეტალურად გავაანალიზებთ.

4.4.1. ერთფეროვანი ქარგა მედიაში

მრავალფეროვნება (თემების და წყაროების, ჟანრებისა და სხვადასხვა მედიუმზე პოზიციონირების) ინფორმაციული ღირებულების ერთ-ერთი საზომია. საქართველოში პოლარიზებულ მედიაგარემოში მრავალფეროვანი კონტენტის წარმოება კიდევ უფრო

გართულდა. გაუარესდა საჯარო ინფორმაციაზე წვდომა (მათ შორის, პარლამენტსა და სასამართლოებში). კრიტიკული მედიას მრავალფეროვანი კონტენტის შესაქმნელად აღარ აქვს რესურსები (ადამიანური, მატერიალური). წყაროებში კიდევ უფრო გაიზარდა თვითცენზურა.

საერთაშორისო ორგანიზაციები (Freedom House) წლიდან წლამდე აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში მედია პლურალისტურია, მაგრამ - პარტიული. 2025 წელს მედიის პლურალიზმსაც რეალური საფრთხე შეექმნა, რაც გამოწვეულია სამაუწყებლო და ონლაინმედიაში ძალაუფლების გადანაწილებისა და კონტენტის მრავალფეროვნების საგანგაშო დისბალანსით. კერძოდ, მმართველი გუნდისადმი კრიტიკულად განწყობილი ტელევიზიის „მთავარი არხის" დახურვამ და ონლაინ და რეგიონული მედიების პარალიზებამ ერთიანად დაასუსტა კრიტიკული მედიის ფლანგი.

მმართველი გუნდი კრიტიკული მედიისთვის ინფორმაციაზე წვდომას ზღუდავს და ხელს უწყობს პროსახელისუფლებო მედიის პრივილეგირებულ მდგომარეობას. ბიუროკრატიული ბარიერები და თვითცენზურა წყაროებში აფერხებს ინფორმაციის თავისუფალ მიმოქცევას. თვითცენზურისა და ცენზურის შედეგი მედიაში ერთნაირია: ესაა კრიტიკულ კითხვებსა და თემებზე უარის თქმა.

2024 წლის არჩევნების შემდეგ შეიცვალა პარლამენტში მუშაობის რუტინაც. ოპოზიციის მხრიდან ბოიკოტის გამო, ჟურნალისტებისთვის საპარლამენტო ცხოვრება უფრო უფერული გახდა. სხდომებზე არ ისმის კრიტიკული კითხვები და გართულდა თავად საკანონმდებლო და სხვა დოკუმენტებზე წვდომაც. პარლამენტი სულ უფრო ხშირად უკრძალავს საკანონმდებლო ორგანოში შესვლას კრიტიკული მედიის კონკრეტულ წარმომადგენლებს.

წელს პირველად, მაღალჩინოსნების კორუფციის თემებზე სამთავრობო მედიაც ალაპარაკდა. ეს არ იყო მმართველი გუნდის კრიტიკა, არამედ იყო შიდა დაპირისპირების შედეგად შექმნილი, მმართველი გუნდის შემოთავაზებული დღის წესრიგი. რესპონდენტები იხსენებენ, რომ მმართველი გუნდი წლების განმავლობაში ებრძოდა მედიას, რომელიც საუბრობდა მაღალჩინოსნების კორუფციაზე.

> „სასაცილოა, როცა მათსავე ჟურნალისტებს უწევთ არსებულ კორუფციაზე საუბარი, რაზეც ჩვენ გვაბრალებდნენ, რომ ვიტყუებოდით." (რესპონდენტი N4)

> „კრიტიკულ მედიას ერთგული და არცთუ ცოტა მაყურებელი ჰყავს. ამ მაყურებელზე კი მოქმედებს კორუფციის მხილების შესახებ მომზადებული ჟურნალისტური გამოძიებები. ეს მთავრობისთვის იყო პრობლემა." (რესპონდენტი N13)

2025 წელს პოლიტიკური მოვლენების გაშუქება უფრო რთული გახდა, რადგან ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობის დროს აკავებენ, აჯარიმებენ. პოლიტიკური კრიზისის გაღრმავების ფონზე, კიდევ უფრო გართულდა წყაროებთან კომუნიკაცია, დაბალანსებული კონტენტის შექმნა და ორივე მხარის პოზიციის ჩვენება ახალ ამბებში.

> „გადამეტებული სიფრთხილე მაყურებელთან ამბის ოპერატიულად მიტანაში ხელს შეგვიშლის. გაჩნდა გარკვეული თვითცენზურა." (რესპონდენტი N14)

> „რთულია თემების მრავალფეროვნებაზე იფიქრო, როცა გადარჩენაა პრიორიტეტი. ქვეყანაა დაპაუზებული და დაპაუზებულია მედიაც." (რესპონდენტი N3)

საეთერო ბადის დივერსიფიკაცია და გადაცემების კონტენტის გამიჯვნა ფორმატის მიხედვით (მაგ: საინფორმაციო გამოშვება და ტოკ-შოუ, კომენტარი და საგამოძიებო, ანალიტიკური გადაცემები), ამარტივებს ფაქტისა და მოსაზრების/შეფასების გამიჯვნასაც. ფორმატის დივერსიფიკაცია ქართულ ტელევიზიებში ყოველთვის არ ხდება და ამის არც შესაძლებლობა და რესურსები არსებობს. ტელევიზიების ნაწილში საინფორმაციო გამოშვებები ფოკუსირებულია ფაქტების წარმოჩენაზე, ნაწილში - ფაქტებს თან ერთვის ექსპერტთა შეფასებები. არის შემთხვევები, როცა საინფორმაციო გამოშვების ფორმატში თავად ჟურნალისტი აფასებს მოვლენებს. კვლევაში ჩართული რესპონდენტების მხრიდან ეს უკანასკნელი მიდგომა საკამათოა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტები კვლევის დროს ყურადღებას არაერთგზის ამახვილებენ იმაზე, რომ ქართული ტელევიზიები ჰგავს რუსულს, აქვს საბჭოთა ბადე, მოძველებულია. თვითკრიტიკა და ეს დისკურსი არ გვხვდება კრიტიკულ მედიაში, რომელიც თავს მიიჩნევს სწორედ ევროპული სტანდარტების დამცველად.

> „თავისი არსით ქართული ტელევიზიები რუსულის ყალიბზეა შექმნილი და მაყურებლის მოლოდინებიც მისი დღის წესრიგისადმი და ბადისადმი - პოსტ-საბჭოთა ქარგითაა ნაკარნახევი. ევროპაში ფილმებისთვის ცალკე არხები შეიძლება იყოს და სერიალი "ბი-ბი-სი"-სა და 'დოიჩე ველე'-ზე არც გავა. აქ ისევ პოსტ-საბჭოთა სატელევიზიო ბადეა. ევროინტეგრაციის პროცესში სწორედ ეს ჩარჩო უნდა შეიცვალოს, ამისთვის კი ევროპული მენტალიტეტი და მედიაგანათლებაა საჭირო." (რესპონდენტი N22)

> „ქართული ტელევიზია დაძველდა და არ მისდევს ტენდენციებს. ტელევიზია ორიენტირებული უნდა იყოს ხალხის ინტერესზე." (რესპონდენტი N17)

ფინანსური პრობლემების გამო კრიტიკულ ტელევიზიებს არ აქვთ შესაძლებლობა მოამზადონ გასართობი გადაცემები. სამთავრობო ტელევიზიები („იმედი" და „რუსთავი 2"), სადაც ფინანსური პრობლემები არ არის, საინფორმაციო და ანალიტიკური გადაცემების მიღმა ამზადებენ გასართობ კონტენტს, აუდიტორიას სთავაზობენ სერიალებსა და მრავალფეროვან ბადეს, რაც იზიდავს მაყურებელს. ამიტომ, თემატური მრავალფეროვნება პირდაპირ კავშირშია უფრო ფართო აუდიტორიასთან წვდომასთან.

> „სატელევიზიო ბადეს სჭირდება მრავალფეროვნება. მაყურებელი იღლება მარტო თოკ-შოუებით. უპირველესად ეს ფუნქცია საზოგადოებრივ მაუწყებელს უნდა განეხორციელებინა, რომლის მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობს. ამასთან, იქ მოქალაქეების ფულია და ის ყველას უნდა ემსახურებოდეს." (რესპონდენტი N2)

მედიაში ფინანსური კრიზისი იწვევს დღის წესრიგიდან არაკომერციული თემებისა და დისკუსიების გაქრობასაც. მაგალითად, რეგიონულ მედიაში ხარისხიანი მედიაპროდუქტის შექმნაზე იმოქმედა საგრანტო დაფინანსების შეწყვეტამ, რადგან გრანტები ასეთი მასალების შექმნაში ეხმარებოდა მედიას. ტელევიზიებში დონორების მიერ დაფინანსებული კონტენტის გაქრობის შემდეგ, მედიაგარემო კიდევ უფრო პოლარიზებული გახდა, რადგან საერთაშორისო გრანტებში ჟურნალისტური სტანდარტებისა და დაბალანსების ვალდებულება ქმნიდა უფრო ნეიტრალურ სივრცეს. მტრულმა გარემომ და მძიმე ემოციურმა ფონმა იმოქმედა კონტენტის წარმოების ინტენსივობაზეც.

> „მახსენდება, რომ ნომერი დავგეგმეთ და ყველაფერი მზად იყო, მაგრამ ფიზიკურად და ემოციურად ვერ შევძელით დარედაქტირება და მუშაობის გაგრძელება. ასეთი რამ წინა წლებში არ ხდებოდა." (რესპონდენტი N15)

რესპონდენტები სწუხან, რომ საზოგადოების ნაწილმა არ იცის თუ რა დანიშნულება აქვს მედიას. ისინი ვერ ხედავენ მედიის მუშაობის შედეგსა და ძალას. მედიისადმი დაბალი ნდობა პირდაპირ კავშირშია პოლარიზაციასთან და იმ კონტენტთან, რომელსაც ის ქმნის. მაყურებლის უნდობლობა არ ეხება მხოლოდ პოლიტიკის თემებს, არამედ აჩვენებს, ზოგადად, ინსტიტუციისადმი დამოკიდებულებას.

> „ფემიციდის მსხვერპლს საათ-ნახევარი ვუხსნიდი, თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი სატელევიზიო კომენტარი, სადაც მის კონფიდენციალობას დავიცავდი. მპასუხობდა, რომ აზრი არ ჰქონდა გაშუქებას, ეს არაფერს შეცვლიდა და პირიქით - დააზარალებდა.” (რესპონდენტი N21)

მნიშვნელოვან კონტენტს ქმნიან სამოქალაქო ჟურნალისტები. მათ მიერ გადაღებული მასალა სარედაქციო ფილტრს გადის. ნიუსრუმებში უპირატესობას ანიჭებენ და წყაროდ ეყრდნობიან ჟურნალისტის მიერ ადგილზე მოპოვებულ ინფორმაციას.

> „სამოქალაქო ჟურნალისტების მასალებს ვიყენებთ უკიდურეს შემთხვევაში, მაგალითად, როცა პირდაპირი ეთერი აქვს მოქალაქეს უბედური შემთხვევის დროს, სანამ ჩვენი ჟურნალისტი ადგილზე მივა. ასეთ დროსაც ვუკავშირდებით მას და ადგილზე ვუშვებთ ჟურნალისტს, რომელიც აშუქებს თემას.” (რესპონდენტი N16)

პოლარიზებულ და რეპრესიულ გარემოში მრავალფეროვანი კონტენტის წარმოება ერთდროულად ტექნიკურ და სარედაქციო გამოწვევად იქცა. ორ პოლუსზე მყოფ მედიაში სატელევიზიო ბადისა და ჟანრების ასიმეტრია აუდიტორიას კრიტიკული მედიიგან კიდევ უფრო აშორებს.

საქართველოში სასამართლო პროცესებზე ფოტო და ვიდეოგადაღების აკრძალვამ შეზღუდა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, დააზიანა საზოგადოების ინფორმირებულობა. აკრძალვებამდე, სასამართლო დარბაზებიდან გავრცელებულ მრავალფეროვან ვიზუალურ მასალას (ვიდეოებსა და ფოტოებს) ჰქონდა ნიშან-ხატების/იკონური დანიშნულება. აკრძალვების შემდეგ, კონტენტიდან გაქრა ვიზუალური ენა, რომელსაც „ტექსტთან შედარებით უფრო ძლიერი დენოტაციური ძალა აქვს” (მაქუილი, 2010).

4.4.2. სასამართლო ჟურნალისტიკის გამოწვევები

„სამართალი არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ აშკარად და უდავოდ უნდა ჩანდეს, რომ აღსრულებულია.”

ლორდი ჰიუართი, მთავარი მოსამართლე.

საქართველოში სასამართლო პროცესებზე ფოტო და ვიდეოგადაღების აკრძალვამ შეზღუდა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, დააზიანა საზოგადოების ინფორმირებულობა და სისტემის გამჭვირვალობა. აკრძალვებამდე სასამართლო დარბაზებიდან გავრცელებულ ვიზუალურ მასალას (ვიდეოებსა და ფოტოებს) ჰქონდა ნიშან-ხატების/იკონური გამოსახულებების ფუნქცია. აკრძალვების შემდეგ კონტენტიდან გაქრა ვიზუალური ენა, რომელსაც ტექსტთან შედარებით უფრო ძლიერი დენოტაციური ძალა აქვს (მაქუილი, 2010).

დაუსაბუთებლად დახურული სამართალწარმოება საჯაროობისა და გამჭვირვალობის შეზღუდვაა. ნათელია, რომ აღნიშნული ცვლილებები მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების გაშუქების შეზღუდვისკენ იყო მიმართული. ეს იყო ხელოვნური ჩარევა იმ დისკურსში, რომელსაც მედია რეალობის საჩვენებლად გვთავაზობდა და რომელიც

განზოგადების საშუალებასაც იძლეოდა. მედიის დისკურსიდან გაქრა სასამართლოზე წარმოთქმული სიტყვით გამოსვლები, რომლებიც სოციალური ინტერაქციის ელემენტებს ქმნიდნენ. საზოგადოებას რეზონანსული სასამართლო პროცესების ხილვისა და შეფასების შესაძლებლობა აღარ აქვს.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში „ქართული ოცნების“ მიერ განხორციელებული ცვლილებებით, დაუშვებელი გახდა - სასამართლოში (სასამართლოს შენობაში, სასამართლო სხდომის დარბაზში, სასამართლოს ეზოში) ფოტო, კინო, ვიდეოგადაღება და ტრანსლაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას სასამართლო ან სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირი ახორციელებს. ხოლო გადაღებული მასალების გავრცელება სასამართლოს დისკრეციის ფარგლებში მოექცა - სასამართლოს შეუძლია გაავრცელოს ან არ გაავრცელოს მის ხელთ არსებული სასამართლო პროცესის ფოტო, კინო და ვიდეოგადაღების მასალები.

სასამართლო სხდომის ვიდეო და აუდიო ჩაწერა, ტრანსლაცია, დაიშვება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მხოლოდ ყოველ კონკრეტულ სასამართლო სხდომასთან მიმართებით. ამ ბიუროკრატიული მექანიზმებით პრაქტიკულად შეუძლებელია და სრულად ეზღუდება მედიას პროცესების გაშუქება. პრაქტიკა აჩვენებს, რომ იუსტიციის საბჭოდან მათ არ აქვთ დროული უკუკავშირი. შედეგად, მედიის წარმომადგენლებს მთელი დღის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოს გარეთ უწევთ ყოფნა. უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინმედიისთვის თბილისის სასამართლოს გაშუქება კანონში ცვლილებამდეც პრობლემური იყო.

შეზღუდვამ შეასუსტა მედიის ჩართულობა და „მოდარაჯე ძაღლის“ ფუნქცია, რაც საზოგადოების მხრიდან კონტროლსაც ასუსტებს: მედიას აღარ შეუძლია ვიზუალური მასალის გამოყენება სასამართლო პროცესების გაშუქებისას, რაც ამცირებს მონათხრობის გავლენას საზოგადოებრივ აზრზე. ჟურნალისტებს უწევთ მხოლოდ სიტყვიერად აღწერონ სასამართლო პროცესები, რაც ხშირად არასაკმარისია სრული სურათის შესაქმნელად. **დოკუმენტირებული მასალის არარსებობა ქმნის ნიადაგს დეზინფორმაციის გასავრცელებლად.** საზოგადოებას არ აქვს შესაძლებლობა, ვიზუალურად გადაამოწმოს მონათხრობი.

ამ კვლევის ლიტერატურის მიმოხილვაში მოყვანილი ჯოუნსის (2025) 9 მახასიათებლიდან - 9-ვე მახასიათებელის გამოყენება კონტენტის შესაქმნელად საქართველოში გართულებულია. რა მახასიათებლები აქვს სასამართლო ჟურნალისტიკას მას მერე, რაც აიკრძალა ფოტო-აუდიო და ვიდეო გადაღებები? საქართველოში ჟურნალისტური საქმიანობისას კონტენტის მოპოვებას, დამუშავებასა და გავრცელებაში ბარიერები და აკრძალვების შედეგი 9 ინდიკატორის მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილში N1.

ცხრილი N1: სასამართლო ჟურნალისტიკის მახასიათებლები და ხელოვნური ბარიერების ეფექტი

მახასიათებლები	ხელოვნური ბარიერის ეფექტი
ოპერატიულობა	დაბრკოლებები კლავს ოპერატიულობას. ლაივ-ბლოგები მხოლოდ სოცქსელებშია ხელმისაწვდომი და ტელევიზია შეზღუდულად აშუქებს პროცესის მიმდინარეობას. ტელევიზიას არ აქვს პირდაპირი ჩართვები სასამართლო დარბაზიდან.
დრამატული მხარის ჩვენება	ვიზუალის გარეშე თხრობა ამბავს აუფერულებს. ვიდეო-მტკიცებულების გარეშე იკარგება ეფექტი და ნდობა შესაძლოა შემცირდეს. იზრდება დეზინფორმაციის გავრცელების რისკები.
ხილვადობა	ამცირებს ინფორმირებულობას და სანდოობას. სასამართლოზე ჩართულმა კამერამ შეიძლება შექმნას დაცულობის ეფექტი როგორც მხარეების, ასევე მოსამართლისთვის.
ექსკლუზიურობა	საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი, საჯარო ინტერესის მქონე ამბებზე მედია მტკიცებულებას ვერ ქმნის და შემოიფარგლება თხრობით.მედია ვერ მუშაობს სასამართლოს გარე პერიმეტრზეც და არ შეუძლია დაესწროს არა მარტო გახმაურებულ საქმეებს, არამედ ნებისმიერ სხდომას. ჟურნალისტიკის მთავარი მახასიათებელია და შეიძლება ისეთ დროს გამოჩნდეს, როცა არავინ ელის. ამიტომ მნიშვნელოვანია, მედიას ჰქონდეს ყოველთვის უფლება ჩართოს კამერა.
ციტირების შესაძლებლობა	ჩანაწერი ქმნის დამატებით დასწრების .ეფექტს. ხდება ნანახის ან გაგონილის მოყოლა/პერიფრაზირება
კონტენტის გაზიარება	ლაივების გაზიარება მყისიერი არაა. კონტენტის გაზიარება არ ხდება ტრადიციულ მედიაში და ინფორმირების ეს ფორმა შეზღუდული ან დაგვიანებულია. ახალი ვიზუალის არარსებობა
საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა	არ ხდება ინფორმაციით სუბსიდირება. შეიძლება გავრცელდეს გადაუმოწმებელი ინფორმაცია და საინფორმაციო ნაკადის კონტროლირება მთლიანად შეუძლია ხელისუფლებას.

სასამართლო დარბაზში გადაღების აკრძალვამ ჟურნალისტების მუშაობა გაართულა. ჟურნალისტების აზრით, ამ ცვლილების მიზანი იყო სიმართლის დამალვა, სანდოობისა და ემპათიის შემცირება და სასამართლო პროცესების დეჰუმანიზაცია. გაჩნდა სივრცე დეზინფორმაციისთვის და მსჯავრდებულების დისკრედიტაციისთვის. ეს თავის მხრივ, აღრმავებს პოლარიზაციასაც.

> „სახელისუფლებო მედია აბსოლუტურად სხვა კონტექსტში აშუქებს სასამართლოს ამბებს. ეს საზოგადოებას აბნევს და უნდობლობასაც იწვევს.” (რესპონდენტი N14)

> „დაწერილ ტექსტზე მარტივია თქმა, რომ მოგონილია ან გაბუქებული, ამიტომ ეს პროპაგანდას დიდ ძალას აძლევს.” (რესპონდენტი N6)

ვიზუალური გამოსახულების ეფექტი მნიშვნელოვანი იყო, როგორც პატიმრების, ასევე ცრუ მოწმეების იდენტიფიკაციისას და მხილებისას, მოსამართლისა და დარბაზის რეაქციების საჩვენებლად. ჟურნალისტების აზრით, მმართველმა გუნდმა სასამართლოს ჩაკეტვის გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ საზოგადოებას არ ენახა არც ის ახალგაზრდა პატიმრები, რომლებიც მხარდაჭერით სარგებლობდნენ. მედიაგაშუქების ვიზუალური მხარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო განაჩენის გამოცხადების დროს, როცა საზოგადოება დარბაზში ემოციებს გამოხატავდა.

> „ბრალდებულების სიტყვები და მათი ემოციები ძალიან სუფთა, შთამბეჭდავი და ხელისუფლებისთვის წამგებიანი იყო.” (რესპონდენტი N3)

> „მმართველ გუნდს სურდა, რომ კამერას არ დაეფიქსირებინა მოსამართლის ცინიკური ჩაღიმებები, სახეები და სხვა ფაქტორები.“ (რესპონდენტი N5)

> „დამოუკიდებელი ჟურნალისტების კარგმა მუშაობამ დიდი ზიანი მიაყენა მმართველი გუნდის პროპაგანდას. ჩვენ ვაჩვენეთ რეალური ადამიანები, მათი შინაგანი მდგომარეობა. კვლევებმაც აჩვენეს, რომ “ქართული ოცნების” მხარდამჭერებშიც კი, ბევრი ამ უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრების წინააღმდეგი იყო.” (რესპონდენტი N7)

> „გადაღება აკრძალეს იმიტომ, რომ 19-20 წლის მსჯავრდებულების მიმართ ხალხს თანაგრძნობა არ გასჩენოდა. ალბათ იფიქრეს, რომ რაც უფრო ნაკლებს დაინახავდა ხალხი, უფრო ნაკლები პროტესტიც გაჩნდებოდა ამ ყველაფრის მიმართ.” (რესპონდენტი N13)

სასამართლოში გადაღებების აკრძალვის შემდეგ ჟურნალისტებმა მაინც შეძლეს ადაპტაცია. ჟურნალისტები ყველა გახმაურებულ საქმეს ესწრებიან და კიდევ უფრო მეტი ყურადღებით აკვირდებიან პროცესებს, ინიშნავენ და ტექსტუალურად აღწერენ ემოციებს. ჟურნალისტები ოპერატიულად ამზადებენ ტრანსკრიპტებს, მხატვრული ხერხებით კი დასწრების ეფექტს ქმნიან. სასამართლო დარბაზებში ჩანახატებზე მუშაობენ მედიაორგანიზაციების ილუსტრატორებიც. მედიამ სასამართლო რეპორტირებისას გამოიყენა არქივიც. მედიამ მიმართა თხრობის ახალი მეთოდს - live-ბლოგების სახით. საპასუხოდ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მალევე მიიღო დადგენილება, რომლითაც სასამართლოებში ტექნიკური მოწყობილობებისა და საკომუნიკაციო საშუალებების (ლეპტოპი, მობილური ტელეფონი და სხვა) შეტანა აიკრძალა. სასამართლოს მანდატური უფლებამოსილი გახდა, არ დაუშვას სასამართლო სხდომის დარბაზში ნებისმიერი ტექნიკური საშუალების შეტანა (გამოყენება). ამასთან, გართულებულია სასამართლოდან სხდომების აუდიო-ჩანაწერის ან ტრანსკრიპტის გამოთხოვა. ოპერატიულობის მოთხოვნის გამო, ჟურნალისტები დროში გაჭიანურებულ მასალებს ვერ უცდიან.

პრობლემა არის არა მარტო გადაღების აკრძალვა სასამართლოს შენობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე, არამედ მანდატურების ქცევა, რომელიც ჟურნალისტებს აგონებთ „ტიტუშკებს”, რომლებიც ფიზიკურად და ვერბალურად ძალადობენ მოქალაქეებზე. ამ კუთხით თბილისის სასამართლოში უფრო უხეში ქცევით გამოირჩევიან, ვიდრე სხვა ქალაქებში. ჟურნალისტები

იხსენებენ „ნაციონალური მოძრაობის” მმართველობის იმ პერიოდს, როცა სასამართლო დარბაზში აკრძალული იყო გადაღება, თუმცა არ იყო ჟურნალისტებისთვის ასეთი მტრული გარემო. ჟურნალისტებისთვის ფიზიკურად რთულია სასამართლოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მუშაობა. სტრესულ და მტრულ გარემოს ემატება ისიც, რომ მედიისთვის არაა მოწყობილი არანაირი სივრცე, სადაც შეძლებენ მოსვენებას ან ცუდი ამინდის შემთხვევაში თავის შეფარებას.

განსხვავებული დამოკიდებულებაა ჟურნალისტების მიმართ თბილისსა და ბათუმში. კერძოდ, ბათუმის სასამართლოში აგრესია ნაკლებია. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მანდატურები წლების განმავლობაში არ იცვლებიან და კარგად იცნობენ ჟურნალისტებს, თანამშრომლობენ მათთან. ბათუმის სასამართლოში და მზია ამაღლობელის პროცესებზე მანდატურების დამოკიდებულებას განსხვავებულად იხსენებენ.

> „არ მახსენდება შემთხვევა, რომ მათ ჩვენთან სახე დაეკარგოთ და ძალადობა დაეყოთ. თუმცა მახსენდება შემთხვევები, როცა გვაგვიანდებოდა სხდომებზე და ერთმანეთს აფრთხილებდნენ, რომ კარი არ დაეკეტათ.” (რესპონდენტი N19)

ჟურნალისტების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ახალი ამბები სწორედ სასამართლოში ხდება. ეს ეხება სოლიდარობის დემონსტრირებასაც, რასაც აქვს პოზიტიური, გადამდები და პროსოციალური ზეგავლენა. ჟურნალისტები იხსენებენ, რომ მზია ამაღლობელის ყოველ გამოჩენას და კადრს ჰქონდა ემოციური ზეგავლენა და შესაძლოა ეს საზოგადოების პოზიტიური აზრის ფორმირებასაც ახდენდა.

მედიისადმი ნდობა კავშირშია იმის გააზრებასთან, თუ რა როლს ასრულებს ის კრიზისების დროს. ასეთი მომენტები 2025 წელს მუდმივად იყო. რესპონდენტების შეფასებით, მედიას გადაღება იმიტომაც აუკრძალეს, რომ არ გამოკვეთილიყო რა ძალა და როლი აქვს მედიას.

> „როცა მოქალაქეები უფრო აქტიურები ხდებიან და თვითორგანიზდებიან, ისინი უფრო ხედავენ მედიის როლსაც. ეს ნათელი გახდა სასამართლო პროცესებზე, როცა ყველამ დაინახა მედიის მნიშვნელობა, რომლის გარეშეც სიმართლე დაიმალებოდა.” (რესპონდენტი N3)

ჟურნალისტებზე დაწესებულმა შეზღუდვებმა დააზიანა საზოგადოება, რომელსაც აღარ აქვს წვდომა ინფორმაციაზე და საკუთარი თვალით ვერ ხედავს, რა ხდება სასამართლო სისტემაში. შედეგად, ის შეიძლება უფრო მარტივად მოექცეს მანიპულაციის ქვეშ. ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში სასამართლოს რეფორმა იყო და არის პრიორიტეტული.

4.4.3. საპროტესტო ჟურნალისტიკა

„ჯანმრთელობა თუ პროფესიული მოვალეობის შესრულება”, - ამ დილემის წინაშე დადგნენ ჟურნალისტები საპროტესტო დემონსტრაციების გაშუქებისას. საპროტესტო აქციებზე შეიცვალა ჟურნალისტების ქცევა, ნიუსრუმებში უფრო მეტი სიფრთხილით გეგმავენ აქციების გაშუქებას და ცდილობენ, დაიცვან უსაფრთხოების ზომები. ეს ხშირად ხდება სწორედ ჯანმრთელობის და/ან კონტენტზე უარის თქმის ხარჯზე.

> „წელს გავიარეთ უსაფრთხოების ტრენინგები. ნიუსრუმში დაგვირიგეს პირბადეები, აირწინაღები, სამედიცინო ხსნარები, თუმცა კოლეგებს გაზზე მაინც ალერგიული რეაქციები ჰქონდათ. საინფორმაციოს უფროსიც სულ ხაზზე იყო და თუ ძალიან იძაბებოდა სიტუაცია და გაზის გამო სუნთქვა შეუძლებელი ხდებოდა, ვტოვებდით ადგილს. შედეგად, ვეღარ ვაშუქებდით მოვლენების ეპიცენტრს: როცა დისტანციიდან იღებ მასალას - სურათი იკარგება.” (რესპონდენტი N 21)

> „მედია დღის წესრიგს აღარ ქმნის. აჭარაში აქციაზე გასაშუქებლად წასვლის ყველას ეშინია იმიტომ, რომ არ იციან, როდის დაიძაბება სიტუაცია, არ იციან, პოლიციას რა დირექტივა ექნებათ.” (რესპონდენტი N14)

აქციების გაშუქების დროს, მედიის წარმომადგენლები, ისევე როგორც დემონსტრანტები გზის გადაკეტვის მოტივით პატიმრობაში არაერთხელ აღმოჩნდნენ. აღნიშნული ქმედებები ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ჩარევად შეიძლება შეფასდეს. დაკავებულთა შორის იყვნენ „პუბლიკას”, „მედიაჩეკერის”, ტელეკომპანია „ფორმულას” და „ტვ პირველის” თანამშრომლები.

> „ამ ჯარიმების ფონზე, მუშაობის პროცესში მე გამიჭირდა გადაკეტილ ქუჩაზე გადასვლა და ვერ გადავიღეთ კადრები. ასევე, ყოველთვის ვამოწმებ ხომ არ ვარ დაჯარიმებულთა სიაში.” (რესპონდენტი N12)

> „დღეს ვინც ველზე მუშაობს მაქსიმალურს აკეთებენ. თან კანონი დაიცვა და თან ზედმიწევნით გაშუქო მოვლენა, უკვე გმირობაა.” (რესპონდენტი N2)

პროტესტების გაშუქების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანია, ჟურნალისტებმა კრიტიკული კითხვების დასმა შეძლონ ყოველთვის. შესაძლოა ეს კითხვები არა მარტო მმართველი გუნდისთვის, არამედ ოპოზიციისთვის ან საზოგადოებისთვისაც იყოს არაკომფორტული, თუმცა დამოუკიდებელი მედიისთვის აუცილებელია, რომ თვითცენზურა არ ფილტრავდეს მნიშვნელოვან თემებსა და რესპონდენტებს.

მმართველი გუნდი ცდილობს, ჟურნალისტები წარმოაჩინოს აქტივისტებად და არა ჟურნალისტებად, რომლებიც აქციებზე პროფესიულ მოვალეობას ასრულებენ. პრობლემაა ისიც, რომ თუ ჟურნალისტი მხოლოდ ტელეფონით მუშაობს, მან შესაძლოა ვერ დაასაბუთოს, რომ ის პროფესიულ საქმიანობას ეწევა, რადგან სამართალდამცავებისთვის ჟურნალისტი ტელევიზიის ლოგოიანი მიკროფონთან ან კამერასთან ასოცირდება.

დედაქალაქზე კონცენტრირებულმა პროტესტის გაშუქებამ რეგიონული მედიის დღის წესრიგი გადაფარა. აუდიტორიის მოთხოვნა არის ამ ამბებზე მეტი ინფორმაციის მიღება სწორედ ადგილობრივი მედიიდან, რისი შესაძლებლობაც რეგიონულ მედიას არ აქვს.

საპროტესტო აქციებზე სამოქალაქო ჟურნალისტების მიერ გადაღებული კადრები ხვდება ტრადიციულ მედიაშიც. ეს განსაკუთრებით ეხება მოქალაქეების დაკავების კადრებს. ამ კუთხით მოქალაქე ჟურნალისტები მნიშვნელოვან რესურს ქმნიან.

კრიტიკული მედიის წარმომადგენლები აღწერენ თუ როგორ მუშაობენ ველზე, საპროტესტო აქციების გაშუქებისას ე.წ. სამთავრობო არხების ჟურნალისტები. პროპაგანდის გაძლიერებაში მთავარ დამნაშავეებად სწორედ მათ ადანაშაულებენ და აღნიშნავენ, რომ მიზნობრივი სანქციები მათაც უნდა შეეხოთ. თავის მხრივ, დემონსტრაციებზე მუშაობის პროცესს აღწერენ ე.წ. სამთავრობო მედიის წარმომადგენლებიც.

> „სამთავრობო მედიებმა მიკროფონებიდან ლოგოები მოხსნეს, ირჩევენ კონკრეტულ ადამიანებს, ელოდებიან რომ რამე დააშავოს, რომ გადაღებული მასალა მისცენ შსს-ს. ისინი სუს-ის ოპერატორებით იქცევიან. ეს არაა ჟურნალისტობა.” (რესპონდენტი N4)

> „ჩვენ ჯერ-ჯერობით ისე არ გვებრძვიან, როგორც ე.წ. ოპოზიციურ არხებს. აქციებზეც თუ მათ მიზანმიმართულად შეასხმენ წიწაკის სპრეის ან გაზს, ჩვენ უბრალოდ მოვყვებით დარბევაში.” (რესპონდენტი N14)

სახელისუფლებო ტელევიზიები ცდილობენ, კრიტიკული მედიის წარმომადგენლები აქციის მონაწილეებად წარმოაჩინონ, არ გამოხატავენ მათ მიმართ სოლიდარობას მათზე ძალადობის შემთხვევაშიც კი, რაც აღრმავებს პროფესიულ ხიდჩატეხილობას. საბოლოოდ, პროტესტის ჟურნალისტიკა დღეს თანაბრად საჭიროებს უსაფრთხოების პროტოკოლებით გაძლიერებას, სამართლებრივი რისკების მინიმიზაციას და ბრძოლას იმისთვის, რომ კრიტიკული კითხვები და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თემები არ დაიკარგოს.

4.4.4. ჟურნალისტების უსაფრთხოება

ძალადობის ნორმალიზება და წახალისება 2021 წლის 5 ივლისს მედიის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობითა და დაუსჯელობით დაიწყო, რამაც 2025 წლისთვის კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. მედიაში სისტემური რყევები ძლიერდებოდა საარჩევნო პერიოდებში (2021, 2024). ჟურნალისტების უსაფრთხოება და თავისუფლება წლიდან წლამდე უარესდება. დაუსჯელობის სინდრომი კვლავინდებურად ამძიმებს ჟურნალისტების მდგომარეობას. არსებული პრაქტიკის მიხედვით, ჟურნალისტთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე, შესაძლო დანაშაულის ჩამდენ პირთა დაკავების ალბათობა მცირეა, ხოლო დაკავების შემთხვევაშიც, უმეტესად, მსუბუქი სასჯელი ინიშნება, რაც ვერ უზრუნველყოფს სათანადო შემაკავებელ ეფექტს. ცხრილში N2 წარმოდგენილია ორგანიზაცია „სამართლიანობა ჟურნალისტებისთვის" (Justice for Journalists) რისკების რუკაზე დაყრდნობით მომზადებული ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის სტატისტიკის ანალიზი საქართველოში (2020-2025 წწ), რომელიც შესაძლოა არ იყოს სრული.

ცხრილი N2: ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის სტატისტიკა საქართველოში

პროფესიული რისკები	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**[2]	**სულ**
ფიზიკური თავდასხმა და მუქარა	25	**140**	30	32	**111**	35	373
კიბერ-თავდასხმა	46	**136**	44	28	**112**	43	409
სასამართლო პროცესები, დაკავებები, ეკონომიკური სანქციები და სხვ.	33	34	55	18	**74**	**162**	376
სულ	104	310	129	78	297	240	1158

ცხრილი აჩვენებს, რომ საარჩევნო წლებში (2021 და 2024) პროფესიული რისკების მაჩვენებლები გაზრდილია. ჯამში, 2020-2025 წლებში აღრიცხული 1158 შემთხვევიდან 8% (N=94) არის სამთავრობო ტელევიზიებთან დაკავშირებული შემთხვევები და ამ 94-დანაც 30 არის უკანონოდ განთავისუფლებული თანამშრომლების სასამართლო პროცესები (მათ შორის 2020-21 წლებში საზოგადოებრივი მაუწყებლის/აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის, „რუსთავი 2"-ის თანამშრომლების პროცესები. 2021 წელს - ერთი „იმედის" თანამშრომლის პროცესი).

[2] მოიცავს პერიოდს 2025 წლის 22 ნოემბრამდე. სტატისტიკა ყოველდღიურად იზრდება.

2025 წელს საგანგაშოდ გაზრდილია კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების სასამართლო პროცესების, დაკავებების, დაჯარიმებების რაოდენობაც. კერძოდ, 162 შემთხვევიდან მხოლოდ 11 არის სამთავრობო ტელევიზიასთან დაკავშირებული და აქედან ყველა არის საზოგადოებრივი მაუწყებლიდან განთავისუფლებული თანამშრომლებისა და დემონსტრაციის დროს დაკავებული კრიტიკულად განწყობილი სამეურვეო საბჭოს წევრის სასამართლო პროცესები.

ცხრილში ასახული სტატისტიკა ამყარებს კვლევის პროცესში რესპონდენტების შეფასებებსა და დაკვირვებებს. კერძოდ, სამთავრობო მედიის წარმომადგენლები იშვიათად ხდებიან ფიზიკური ძალადობის სამიზნე, მაშინ როცა კრიტიკული მედიის ჟურნალისტებზე პერსონიფიცირებული თავდასხმები და ორგანიზებული დისკრედიტაცია სისტემურად გრძელდება. რედაქციები ვეღარ უზრუნველყოფენ თანამშრომლებისთვის დაცულ სამუშაო გარემოს.

> „სამთავრობო მედიის მიმართ ფიზიკური ძალადობა არ მახსენდება. აქციებზე, რა თქმა უნდა, იქნება მომიტინგეების მხრიდან სიტყვიერი დაპირისპირება ან ბულინგი, მაგრამ არა - ფიზიკური ძალადობა.“ (რესპონდენტი N6)

> „არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ტელევიზიის წარმომადგენელია ჟურნალისტი. არავის აქვს ჟურნალისტის ბულინგის უფლება. სარედაქციო პოლიტიკის მიუხედავად ჟურნალისტის მუშაობაში ხელი არავინ უნდა შეუშალოს.” (რესპონდენტი N21)

> „რედაქციაში დავსხედით და ვისაუბრეთ იმაზე, რომ ჩვენს მუშაობას შეიძლება მოჰყოლოდა სავალალო შედეგი (დაპატიმრება, დაჯარიმება). გუნდის შიგნით აბსოლუტურად ყველამ გადაწყვიტა კრიზისულ სიტუაციაში მუშაობის გაგრძელება.” (რესპონდენტი N5)

მონაწილეების აზრით, თავად პროფესიული წრეებიდანაც შესაბამისი რეაქცია არ მოჰყოლია წინა წლებში მედიის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს, რადგან არ იყო გააზრებული რა მასშტაბები შეიძლება შეეძინა რეპრესიებს. შესაბამისად, არ იყო შემაკავებელი რეაქციები. ამას დაემატა დაუსჯელობა და დანაშაულის ნორმალიზება. ჟურნალისტების თქმით, რეჟიმი დაუნდობელი გახდა და ასეთი მასშტაბები საქართველოს რეალობისთვის ახალია, რასაც არ ელოდნენ.

> „ამ გადმოსახედიდან, ბოლომდე არ გვქონდა ამ წლებში გააზრებული მასშტაბები შეიძლება შეეძინა ამ რეპრესიებს. როგორც ჩანს, ჩვენი რეაქცია ლექსო ლაშქარავას ტრაგიკულ სიკვდილსა და სხვა დანაშაულებზე უნდა ყოფილიყო უფრო ხისტი.” (რესპონდენტი N5)

ჟურნალისტები მუდმივად ახსენებენ რეპრესიებს, შიშს, დაპატიმრების რისკებს. შიშის პირველი ძლიერი ტალღა მოჰყვა 2021 წელს ლექსო ლაშქარავას დაღუპვას. შიშს ჟურნალისტების მისამართით პერსონიფიცირებულმა თავდასხმებმაც გააძლიერა (სატელეფონო მუქარებმა). შიშის ახალი ტალღა გამოიწვია მზია ამაღლობელის დაპატიმრებამ - სამაგალითოდ დასჯის მცდელობამ, როცა ჟურნალისტებმა დაინახეს, რომ ჟურნალისტის ციხეში ყოფნა რეალურია.

ჟურნალისტებმა უფრო აქტიურად დაიწყეს უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ამგვარი თვითორგანიზება მოიცავს ადვოკატების წინასწარ გაფრთხილებას, ოჯახის წევრების შემზადებას შესაძლო დაპატიმრების და/ან გაუჩნარებისთვის, დაცული საკომუნიკაციო არხებისა და წესების დანერგვას და სხვ.

> „პირველ რიგში რაც მახსენდება ამ წელს არის შიში... ყველას ეს განცდა აქვს. ჟურნალისტები დისიდენტების გზას გადიან.“ (რესპონდენტი N6)

> „ყოველდღე, მუდმივად ვფიქრობთ იმას, რომ შეიძლება ხვალ ციხეში მოვხვდეთ.“ (რესპონდენტი N4)

ჟურნალისტებზე ვერბალური თავდასხმები არის გამიზნული, შიშის ატმოსფეროს გაძლიერებაზე გათვლილი და ამაში ჩართულნი არიან ე.წ. ტიტუშკებიც. ჟურნალისტები თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ მაშინაც კი, როცა პროფესიულ მოვალეობას არ ასრულებენ. აგრესია შესაძლოა გამოიხატოს ქუჩაში შეურაცხყოფის მიყენებით, რომელსაც არ აქვს შემთხვევითი კონფლიქტის ფორმა. თავდამსხმელები ინფორმირებულნი არიან, რომ მათი სამიზნე მედიაშია დასაქმებული (შესაძლოა თავდასხმისას ახსენონ-კიდეც რომ ის ჟურნალისტი ან პროდიუსერია). ამგვარი თავდასხმები გათვლილია იმაზე, რომ ჟურნალისტმა გაითავისოს ის, რომ მას პროფესიის გამო ერჩიან. ჟურნალისტებისთვის თავდაცვის საშუალებაა პირდაპირი ეთერის ჩართვა.

> „არ მახსენდება არცერთი დიდი აქცია, სადაც ჩვენი ჟურნალისტი არ გაუძარცვავთ, უცემიათ ან დაუჭერიათ. ჩვენს ჟურნალისტს ქირურგიული ჩარევაც კი დასჭირდა ცემის შემდეგ. ამ ყველაფერს თან ახლავს შეურაცხყოფა, გინება, ფიზიკური, მორალური შეურაცხყოფა და ჯარიმები.” (რესპონდენტი N7)

> „ქუჩაში ყოფნა საშიშია. შეიძლება „ტიტუშკებმა“ პოლიციის თვალწინ გცემონ და პოლიციამ არ დაგიცვას. შეიძლება კამერა ძალით დაგიზიანონ.“ (რესპონდენტი N9)

რესპონდენტები იხსენებენ, რომ მედიაზე მაღალჩინოსნების მხრიდან ბულინგი გაძლიერდა სოციალურ ქსელებშიც. იმ ჟურნალისტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ე.წ. სამთავრობო არხებზე, მაგრამ არ იზიარებენ მმართველი გუნდის პოზიციებს და რჩებიან კრიტიკულები, მუშაობა ძნელია.

> „ფასეულობითი დაპირისპირება არის მედიის შიგნითაც. თუ ე.წ. სამთავრობო არხზე მუშაობ, აწყდები მტრულ და ტოქსიკურ დამოკიდებულებას. ყოფილა შემთხვევები, რომ გამიგია, როგორ მაგინებენ, შეურაცხყოფას მაყენებენ საეთეროდან.” (რესპონდენტი N19)

მმართველი გუნდის წარმომადგენლები კრიტიკულ მედიასთან კომუნიკაციისას ორკესტრირებულად, ერთიანი მესიჯ-ბოქსით ხელმძღვანელობენ. ისინი ჟურნალისტებს ამბისა და/კითხვის კონტექსტში უწოდებენ მატყუარებს, პროვოკატორებს, და იმეორებენ ისეთ ფრაზებს, როგორიცაა: „არარელევანტური კითხვაა“, „პარტიამ დაგავალა“.

> „მმართველი გუნდიდან რესპონდენტის მოძიება რთულია და ბრიფინგზე თუ მოვახერხეთ კითხვის დასმა, პასუხის მაგივრად შეურაცხყოფას ვიღებთ.” (რესპონდენტი N9)

> „სასწრაფოს გამოძახების მეშინია! იყო შემთხვევა, როცა სასწრაფოს ექიმი მოვიდა ჩემთან და გამახსენდა, რომ მან სოციალურ ქსელებში დაალაიქა ის პოსტი, სადაც ჩვენს გაზეთს აგინებდა მერი.” (რესპონდენტი N15)

ბოლო წლებში ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის შემთხვევებიდან ყველაზე ტრავმულ გამოცდილებად რესპონდენტები იხსენებენ 2024 წელს სატელეფონო მუქარებსა და ლანძღვებს, რომლებიც შეეხო მათ ოჯახის წევრებსაც (მცირეწლოვან შვილებსა და ხანდაზმულ მშობლებს). ეს ტრავმა ერთი წლის მერეც ცოცხალია.

> „როცა ჩემს არასრულწლოვან შვილებს ურეკავდნენ ღამის 3 საათზე, ამან ძალიან შემაშინა. 85 წლის დედაჩემსაც კი დაურეკეს. ემოციურად გავნადგურდი. რისთვის გვებრძოდნენ? იმისთვის, რომ ვიყავით კრიტიკულები? ახლა ხომ თვითონაც იმავეს ამბობენ კორუფციის თემებზე, ზუსტად იმ პირებზე, ვისი საქმეებიც ახლა განიხილება, ჩვენ გვაქვს საგამოძიებო სტატიები დაწერილი.” (რესპონდენტი N12)

რესპონდენტებმა ისაუბრეს სოციალური ქსელების „ბაბლებზე“, რომლებიც აგრესიულად რეაგირებენ ჟურნალისტების საქმიანობაზე. საზოგადოების მხრიდან უკმაყოფილება ხშირად უკავშირდება მოწვეულ სტუმრებს, შერჩეულ თემატიკას და სხვ.

> „სოციალური ქსელების ‘ბაბლის’ წევრებს უნდათ, რომ ტელევიზორში სასურველი კონტენტი ნახონ, თავად ააწყონ დღის წესრიგი, ჩაანაცვლონ საინფორმაციო სამსახური. არის პრეტენზიები ჟურნალისტების მიმართ მოწვეულ სტუმრებსა და შერჩეულ კითხვებზე. ამას თან მოსდევს ჟურნალისტების ლანძღვა.“ (რესპონდენტი N4)

> „თუ ქარტიის პრინციპები არ ირღვევა - ჟურნალისტს ნებისმიერი კითხვის დასმა შეუძლია. საზოგადოების ნაწილს არ ესმის ჟურნალისტის ფუნქცია და ხელს უწყობს თვითცენზურას. თვითცენზურაა თუ ვერ დასვამ კითხვა იმის გამო, რომ ბაბლს ეს არ მოეწონება.” (რესპონდენტი N12)

გასულ წლებში მედიის წარმომადგენლები მხოლოდ ჰიპოთეტურად ახსენებდნენ ქვეყნის იძულებით დატოვებასა და დევნილობის რეჟიმში მუშაობის გაგრძელებას. 2025 წელს ემიგრაციაში წასვლა ჟურნალისტებში აქტუალურად განიხილება. საქართველოში საზღვარზე არ შემოუშვეს შვიდი უცხოელი ჟურნალისტები. მედიაორგანიზაციები, რომლებშიც უცხოელი ჟურნალისტები მუშაობენ, დადგნენ იმ გამოწვევის წინაშე, რომ მათი თანამშრომლები ქვეყნიდან გასვლის შემთხვევაში შესაძლოა საქართველოში აღარ შემოუშვან. ეს ზრდის ინფორმაციული იზოლაციის რისკებს.

> „მედიას ყოველთვის ებრძოდა ხელისუფლება, მაგრამ სიახლეა ის, რომ მედიას ებრძვიან ველზე, პროფესიული საქმიანობისას, ყველას დასანახად.” (რესპონდენტი N19)

რეგიონული მედიისთვის კიდევ უფრო ძნელია რელოკაციის დაგეგმვა და დევნილობაში მუშაობაზე ფიქრი. სათემო მედიაორგანიზაციებისთვის დევნილობა არაა გამოსავალი. ამას განაპირობებს ენის ბარიერიც და რეგიონული ნიშაც, რომელსაც უცხოეთში ვეღარ შეინარჩუნებენ. მიუხედავად იმისა, რომ „ციხის სცენარი” რეალურია, ქვეყნიდან დევნილობაში წასვლა ჟურნალისტებს არ უნდათ და ურჩევნიათ, მცირედი რესურსით მაინც იმუშაონ საკუთარ ქვეყანაში.

> „სხვა ქვეყანაში გამგზავრება არაა მარტივი. სურვილიც არ მაქვს წასვლის. ქვეყნის გარეთ თუ გავალ, ჩემი რაიონის მოსახლეობისთვის უფრო მეტს ვერ გავაკეთებ. აქ ყოფნით უფრო მეტს ვაკეთებ.” (რესპონდენტი N15)

2021-2025 წლებში ჟურნალისტთა უსაფრთხოება დამძიმდა: ძალადობა და მუქარა ნორმალიზდა, დაუსჯელობა გრძელდება და სამართალდამცველთა მხრიდან დანაშაულზე ეფექტიანი რეაგირება იშვიათია. რეპრესიულმა კანონპროექტებმა ფიზიკურ საფრთხეებს დაუმატა სამართლებრივი და ეკონომიკური ზეწოლა. დემონსტრაციების გაშუქებისას იზრდება ჟურნალისტებზე ფიზიკური თავდასხმები. რედაქციებში ამკაცრებენ უსაფრთხოების პროტოკოლებს, რაც თავის მხრივ ამცირებს კონტენტის სიღრმესა და ოპერატიულობას. შიშისა და დაუსჯელობის გარემო განსაკუთრებით მძიმედ აისახა რეგიონულ მედიაზე და სამოქალაქო ჟურნალისტიკაზე; წინა წლებისგან განსხვავებით გაძლიერდა ემიგრაციაზე ფიქრი.

კრიზისი შეეხო არა მხოლოდ მედიის თავისუფლებას, არამედ საზოგადოებრივ უფლებას - ჰქონდეს წვდომა თავისუფალ და სანდო ინფორმაციაზე. ნაკლები ინფორმირებულობა აძლიერებს დეზინფორმაციის ეფექტებს, აღრმავებს იზოლაციას და კიდევ უფრო ზრდის ძალადობის მასშტაბებს.

4.4.5. არჩევნების ჟურნალისტიკა

2025 წელს ჩატარებულ მუნიციპალურ არჩევნებს საქართველოში რეკორდულად მცირე რაოდენობის მედია დააკვირდა. ადგილობრივი და საერთაშორისო მედიის დაინტერესება და ჩართულობა დრამატულად შემცირდა. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა კი კიდევ უფრო გაუარესდა.

2025 წელს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აკრედიტაცია გაიარა სულ 56 მედიასაშუალებამ (წინა წელთან შედარებით სამჯერ ნაკლებმა) და მათ შორის იყვნენ მმართველი გუნდისადმი კრიტიკულად განწყობილი ტელევიზიებიც. გასული წლების არჩევნებზე (2021, 2024) მედიის წარმომადგენლების ჩართულობა იყო მზარდი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემებით, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე აკრედიტებული იყო - 89 მედიაორგანიზაცია, ხოლო 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, აკრედიტაცია გაიარა 171-მა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებამ (67 მედიაორგანიზაციით მეტმა, ვიდრე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე). მათ შორის შემცირდა საერთაშორისო მედიის ჩართულობა არჩევნების დაკვირვების პროცესში. დინამიკა ნაჩვენებია ცხრილში N3 .

ცხრილი N3: არჩევნებზე აკრედიტებული პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები (2020-2025)

2020	2021	2024	2025
104	89	171	56

ამის მიზეზები სხვადასხვაა: მმართველმა გუნდმა წინა წლებში განხორციელებული ზეწოლით შეასუსტა კრიტიკული მედიის რესურსები. ამის პარალელურად სამთავრობო პროპაგანდა და მედია გაძლიერდა; არაკონკურენტული გარემომ და ბოიკოტმა პროცესი უინტერესო გახადა; არჩევნების დღეს, 4 ოქტომბერს, დაანონსებული იყო მასშტაბური საპროტესტო აქცია და ჟურნალისტების ინტერესი და ყურადღება ამ თემაზე იყო მიმართული და გადანაწილებული.

> „ამ არჩევნებზე შედეგი წინასწარ იყო ცნობილი, ამიტომ ინტერესიც ნაკლები იყო. ცვლილებებს არავინ ელოდა და მედიის საინფორმაციო საბაბი და ინტერესიც ნაკლები იყო.” (რესპონდენტი N13)

> „ადგილობრივი არჩევნების დროს მედიის ინტერესი ყოველთვის ნაკლებია, ვიდრე საპარლამენტო არჩევნებისას. ასეთი გაშუქება მოსალოდნელი იყო.” (რესპონდენტი N16)

> „არ იყო ეს კონკურეტნუნარიანი არჩევნები. არც განწყობა იყო, არც სურვილი, რომ მედიას მოდარაჯე ძაღლის ფუნქცია შეენარჩუნებინა.“ (რესპონდენტი N19)

მუნიციპალურ არჩევნებზე ოპოზიციური პარტიების ნაწილი იყო ბოიკოტის რეჟიმში. საქართველოში პოლიტიკური ბოიკოტი მედიის მხრიდან გაშუქების ბოიკოტში არ გადაითარგმნა, თუმცა მედიის დღის წესრიგზე ამ ფაქტორემბა იმოქმედა. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიებს აქვთ პარტიული მედიის იარლიყი, კრიტიკულად ტელევიზიებმა აკრედიტაცია გაიარეს ცესკოში.

> „მედიამ ყველა ტიპის არჩევნები და პროცესი უნდა გააშუქოს. ამ კუთხით ერთპარტიული არჩევნები 'კარგი გასაშუქებელი და საჩვენებელი' იყო. მედია არ უნდა დაიღალოს და სისტემურად მოუთხროს მაყურებელს რა ხდება." (რესპონდენტი N12)

> „ჩვენი საქმე არაა ლეგიტიმაციის შეფასება. საინფორმაციო საბაბი როცა არსებობს, ამბავი უნდა გაშუქდეს. ნებისმიერ შემთხვევაში ამოსავალი არის პროფესიული სტანდარტი." (რესპონდენტი N5)

წინა წლებთან შედარებით, წინასაარჩევნო პერიოდი მმართველი გუნდისთვის უფრო კომფორტული იყო. რეგიონებში კვლავ იმართებოდა გასაიდუმლოებული შეხვედრები, რომლებზეც რეგიონულ მედიას არ ასწრებდნენ, და ეს მიდგომა არჩევნების შემდეგაც გაგრძელდა.

> „არჩევნების შემდეგ საკრებულოს პირველ სხდომაზე გამოგვიცხადეს, რომ ჩვენი ადგილები არ აქვთ. ვიბრძოლეთ იმისთვის, რომ ჩვენთვის სკამი დაედგათ." (რესპონდენტი N15)

კვლევაში ჩართული რესპონდენტების აზრით, ეს იყო ყველაზე ერთფეროვანი და ერთპარტიული არჩევნები დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის განმავლობაში.

4.4.6. ციფრული ეკოსისტემის ტრანსფორმაცია და გამოწვევები

გლობალური პლატფორმა Statista-ს მიხედვით, სოციალური მედია მსოფლიოს მასშტაბით მუდმივად ვითარდება და ფართოვდება. პროგნოზებით, 2028 წლისთვის სოციალური მედიის მომხმარებელთა საერთო რაოდენობა 6.05 მილიარდს მიაღწევს, რაც მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს წარმოადგენს. Datareportal-ის მიხედვით, 2025 წელს საქართველოში სოციალური მედიის 3.00 მილიონი მომხმარებელი იყო, რაც მოსახლეობის 78.8%-ს უტოლდება. ეს მაჩვენებელი 2024 წლის დასაწყისთან შედარებით 150,000-ით (+5.3%) არის გაზრდილი. იმის გამო, რომ სხვადასხვა პლატფორმაზე მომხმარებლების დუპლიკაციის გამიჯვნა რთულია, ეს ციფრები არ ასახავს უნიკალურ მომხმარებლებს და წლიდან წლამდე შედარებები შეიძლება იყოს არასანდო და საჭიროებდეს კორექტირებას. ამის მიუხედავად, ციფრული პლატფორმების მოხმარება სტაბილურად მზარდია და თაობათა ცვლილების პარალელურად, მოსალოდნელია როგორც ამ მატების, ისე ტრადიციული მედიის მიზიდულობის შემცირებისა და ჩანაცვლების გაგრძელება.

> როგორი მომზადებული ხვდება ციფრულ გამოწვევებს მედია? კრიზისების გამო, მედიაორგანიზაციებმა დააჩქარეს დიგიტალიზაციისა და ალტერნატიული პლატფორმების გამოყენება. ამასთან მნიშვნელოვანი გახდა კონტენტის შექმნის პროცესში ხელოვნური ინტელექტის პლატფორმების გამოყენებაც. 2025 წლის მონაცემებით ციფრული მედიაზე პენეტრაცია ასახულია ცხრილში N4.

ცხრილი N4: ტელევიზიები და მათი გამომწერების რ-ბა (ათასებსა და მილიონებში)

ტელევიზიები	YouTube	Facebook	Instagram	TikTok
საზოგადოებრივი მაუწყებელი	395 K	865 K	66.6 K	107 K
ფორმულა news	155 K	939 K	179 K	135,3 K
იმედი	1.11 M	1.1 M	109 K	137,3 K
ტვ პირველი	134 K	391 K	8 K	24,9 K
მთავარი არხი	331 K	1.5 M	156 K	172,3 K
პალიტრა news	28.8 K	269	4 K	4,6 K
ევრონიუს ჯორჯია	24. 4 K	223 K	20.9 K	73, 9 K
კავკასია	73.4 K	114 K	222	

საქართველოში ძალაუფლების დისბალანსი ციფრულ პლატფორმებზეც ჩანს. ცხრილი აჩვენებს, რომ ციფრულ პლატფორმებზე გამომწერების რაოდენობით „იმედი" დომინირებს და მხოლოდ YouTube-ზე არის ყველა დანარჩენი წამყვანი მედიაპლატფორმის ჯამური რ-ბის ტოლი.

ჟურნალისტებმა დაიწყეს ხელოვნური ინტელექტით გენერირებული კონტენტის გამოყენება. არის AI-აპლიკაციები, რომლებიც ჟურნალისტურ საქმიანობაზეა მორგებული, თუმცა კვლევაში ჩართული რესპონდენტები ამჯობინებენ ისეთ პოპულარულ პლატფორმებს, როგორიცაა Grok-ი და Chat GPT-ი. უპირატესობას ანიჭებენ ფასიან ვერსიებს.

ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებს ონლაინმედიაში იყენებენ ხარისხიანი კონტენტის შესაქმნელად, კერძოდ კი ტექსტის აუდიო ვერსიების შექმნისთვის. პოპულარულ პლატფორმებს, როგორიცაა Chat GPT, იყენებენ ყოველდღიურ რუტინაში (ტერმინებისა და კანონპროექტის განმარტება, ინფორმაციის დაზუსტება, კლასიფიკაცია, პრესრელიზის თემის განვრცობა-დაზუსტება, თარგმანი და სხვ.), თუმცა მიიჩნევენ, რომ Chat GPT-ის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არასანდოა და ფაქტების სამმაგ გადამოწმებას მიმართავენ. ნიუსრუმებში AI-ის გამოყენებაზე სპეციალური პროტოკოლი არ არის შექმნილი და ჟურნალისტები ხელმძღვანელობენ ზოგადი წესებით და პირადი გამოცდილებით.

ტელევიზიებში გამოიყენება ისეთი AI-აპლიკაციები, რომლებსაც შეუძლიათ YouTube-ზე განთავსებული მასალის ტრანსკრიპტის მომზადება. ასეთი აპლიკაციები (მაგ: Summaryfy) საერთაშორისო ამბების მომზადებისთვის გამოიყენება.

> „გროკს რეალურ დროში (ბოლო 24 საათში) განახლებული ინფორმაცია (განცხადებები, სინქრონები) აქვს და შეუძლია ბევრი დოკუმენტის მოკლე შინაარსი მოამზადოს. შემიძლია რამდენიმე დოკუმენტი ავუტვირთო და კონკრეტული დავალება მივცე (მაგ: მოძებნოს საქართველოს შესახებ ჩანაწერები). მნიშვნელოვანია, რომ ე.წ. პრომპტში დავაკონკრეტოთ, რომ ინფორმაცია დაამუშაოს მხოლოდ ატვირთული წყაროების მიხედვით." (რესპონდენტი N18)

> „ტელევიზიაში მუშაობისას, ხელოვნური ინტელექტი ჩემი მუშაობის განუყოფელ ნაწილად იქცა.” (რესპონდენტი N17).

მიუხედავად ალტერნატიული მედიუმების (მაგ: YouTube) გააქტიურებისა საქართველოში, ტელევიზია ჯერ კიდევ რჩება ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ. რესპონდენტების ნაწილს არ მოსწონს, როცა ჟურნალისტები, რომლებიც სოციალურ ქსელებში აქტიურობენ და არიან ე.წ. ინფლუენსერები, აქტივისტურ კონტენტს ტრადიციულ მედიაში გვთავაზობენ.

> „კრიტიკულ მედიაში დიდი დოზითაა შემოჭრილი აქტივიზმი, ეს იგრძნობა თხრობაშიც და ქმედებაშიც. ბლოგერის ტექსტი ყოველთვის ვერ ერგება ტრადიციულ მედიას. არაჟურნალისტური კითხვა, აზიანებს ნდობასაც. მაყურებელმა საღამოს საინფორმაციოში არ უნდა იგრძნოს, რომ რეპორტიორი პირველ საათზე ვინმემ გააბრაზა.” (რესპონდენტი N18)

მომდევნო წლებში, ციფრული მედიის მომხმარებლის რაოდენობა გაიზრდება და მნიშვნელოვანია ტრადიციულმა ტელევიზიებმა YouTube-ისა და სხვა ალტერნატიული პლატფორმების განვითარებაში რესურსი ჩადონ.

> „ის, ვინც ახლა ტელევიზიას არ უყურებს, არც წლების მერე ჩართავს. ამიტომ მნიშვნელოვანია ალტერნატიულ პლატფორმებზე პოზიციონირება.” (რესპონდენტი N16)

საქართველოში, ყველა მაუწყებელს აქვს საკუთარი ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელებში (იხ. ცხრილი N4), სადაც სოციალური მედიის შესაბამისი ე.წ „შორთები” (მოკლე ინფორმაციული ვიდეოები რომლებიც, ძირითადად, 1 წუთამდე მოცულობისაა) ქარდები და პოსტები იდება. მეტიც, მას შემდეგ, რაც „მთავარმა არხმა” მაუწყებლობა შეწყვიტა, მისი არსებობა სწორედ ონლაინპლატფორმებზე გაგრძელდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არაერთმა ჟურნალისტმა გადაწყვიტა პროფესიის დატოვება და საკუთარი არხის შექმნა სხვადასხვა პლატფორმაზე (YouTube, Telegram) ახალი აუდიტორიის მოზიდვის მიზნით.

მსოფლიო ტენდენციის მსგავსად პოდკასტები საქართველოშიც პოპულარული გახდა, თუმცა პოლარიზაციის გამო დებატები ქართულ მედიაში უკიდურესად იშვიათია, მათ შორის - პოდკასტების შემთხვევაშიც.

ტექნოლოგიები და მათი მოხმარების გაუმჭვირვალეობა შესაძლოა გამოყენებული იყოს ავტორიტარული რეჟიმის გასამყარებლად (მაგ. თვალთვალისას, დემონსტრაციებზე AI ტექნოლოგიებით ადამიანების იდენტიფიკაციისას, კიბერბულინგისას). თავისთავად დემოკრატიის უკუსვლა ქვეყანაში ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ფართო ხელმისაწვდომობასაც უქმნის საფრთხეს.

4.4.7. საზოგადოებრივი მაუწყებლის დაკარგული ნიშა

რესპონდენტებმა ისაუბრეს საზოგადოებრივი მაუწყებლის - პირველი არხის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე. მათ გაიხსენეს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა სამსახურიდან გაათავისუფლა „ქართული ოცნებისადმი” და/ან მენეჯმენტისადმი კრიტიკულად განწყობილი 22 თანამშრომელი. მათ შორის იყვნენ ისინი, ვინც ღიად სოლიდარობას გამოხატავდა და აძლიერებდა მხარდაჭერას მზია ამაღლობელის მიმართ. 2025 წელს დაიხურა გადაცემები, სადაც წლების განმავლობაში ისმოდა კრიტიკული მოსაზრებები და ხალხის ხმა (მაგალითად, გადაცემა „რეალური სივრცე”).

საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო მიმდინარე პროცესების საპასუხოდ, 2025 წლის 11 აპრილს შეიქმნა ჯგუფი - საზოგადოებრივი მაუწყებლის მცველები, რომლის წარმომადგენლებმაც მოთხოვეს არხის ხელმძღვანელობას, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს გაეშუქებინა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები და პერმანენტული აქციები. ჯგუფის წევრებმა ათობით წერილი მისწერეს ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) და მის თავმჯდომარეს. საპასუხოდ კი ერთწინადადებიანი პასუხი მოვიდა, რომ სიტუაციაში გაერკვეოდნენ. ამ პასუხმა ჟურნალისტების იმედგაცრუება გამოიწვია.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის მცველებმა" მიზანს ვერ მიაღწიეს. ჯგუფის ლიდერები სამსახურიდან გაათავისუფლეს, დახურეს ის გადაცემები, რომლებშიც პრობლემები შუქდებოდა. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს საზოგადოებრივი მაუწყებელი ახალ შენობაში გადავიდა, სადაც დღემდე არაა მოწყობილი ყველა გადაცემის სტუდიები. ტელევიზიის მენეჯმენტი შეჩერებული და დახურული გადაცემების მიზეზად სწორედ სტუდიების არქონას ასახელებს.

კვლევაში ჩართულმა მონაწილეებმა გაიხსენეს, რომ სამსახურიდან განთავისუფლება იყო ღირსების შემლახავი და შეურაცხმყოფელი ფორმით:

> „სადამსჯელო მექანიზმი იმდენად დამთრგუნველი იყო, რომ მკურნალობა დამჭირდა მიღებული სტრესის გამო. გაოგნებული ვიყავი ამ სიხისტით. ასეთი ცივსისხლიანები დამოკიდებულება მხატვრულ ფილმებში მაქვს მხოლოდ ნანახი." (რესპონდენტი N2)

ჟურნალისტების შეფასებით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაკარგა ნიშა - იყოს ნებისმიერი მოქალაქის ტრიბუნა. არხმა შეითავსა გასართობი არხის ფუნქცია.

> „ინფორმაციის ღირებულებებზე სწორება აღარ გვაქვს. ეს კრიტიკა ყველა მედიას ეხება (საზოგადოებრივ მაუწყებელსაც და კერძო ტელევიზიებსაც), თუმცა კერძო კომპანიების შემთხვევაში სწორება რეიტინგსა და ჩართულობაზეა, ხალხის დაფინანსებულ ტელევიზიას კი სხვა ინტერესი უნდა ჰქონდეს." (რესპონდენტი N15)

რესპონდენტების დაკვირვებით, შენარჩუნებულია ტენდენცია, როცა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ამბები არააქტუალურ დროს შუქდება. მაგალითად, „მოამბის" მთავარი გამოშვების პირველ ახალ ამბად ხელისუფლების კრიტიკის შემცველი ახალი ამბები არასოდეს ჩნდება. ის შესაძლოა განთავსდეს გამოშვების სხვა ბლოკში ან ვებ-გვერდზე, რომელსაც არ აქვს საკმარისი წვდომა აუდიტორიაზე. თავად ასეთი ტიპის გაშუქება მაუწყებლის მენეჯმენტისთვის არგუმენტია იმის დასასაბუთებლად, რომ არხი დაბალანსებულია და ყველა მნიშვნელოვან ამბავს აშუქებს.

კრიტიკული და რეგიონალური მედიის დასუსტების ფონზე, საზოგადოებრივ მაუწყებელში სულ უფრო და უფრო ნაკლები კონტენტი იქმნება რეგიონების შესახებ. საზოგადოება არ არის ინფორმირებული, თუ რას საქმიანობენ თვითმმართველი ორგანოები. აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელშიც საუბრობენ თვითცენზურის ზრდაზე და იმაზე, რომ პოლიტიკურ კონიუქტურას ადგილობრივი ჟურნალისტები შეეგუენ და სულ უფრო ერიდებიან კრიტიკული კითხვების დასმას.

4.5. რუსული მავთულხლართები მედიაში

2024 წელს ქვეყანა დაუბრუნდა ელექტორალური ავტოკრატიის მაჩვენებელს, რომელიც მას 2003 წლამდე ჰქონდა (Democracy Report 2025, გვ. 26). პოლიტიკურმა პოლარიზაციამ (როგორც რეალურმა, ასევე ილუზორულმა) 2021 წლიდან თანდათან მიიღო სტრუქტურული ხასიათი და 2022–2025 წლებში პრაქტიკულად „გაიყინა“ მაღალ ნიშნულზე. პოლარიზაცია მედიაგარემოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ის აზიანებს მედიაპროდუქტის ხარისხს, სანდოობასა და სოლიდარობას, ზღუდავს წყაროებთან კომუნიკაციას, ზრდის თვითცენზურასა და შიშს. თვითცენზურისა და ცენზურის ეფექტი ერთნაირია: ორივე აქრობს კრიტიკულ კითხვებს და მოსაზრებებს და აჩენს სიჩუმეს (მედიახმა, 2021). კვლევების (Democracy Report 2025) მიხედვით პოლარიზაციისა და ძალაუფლების ზრდა კორელაციაში არის დეზინფორმაციის ზრდასთან: რაც უფრო იზრდება პოლარიზაცია, მით უფრო ძლიერია დეზინფორმაციის გავლენა.

რუსული ჰიბრიდული გავლენა მედიის ეკოსისტემაზე განსაკუთრებით გაიზარდა და ხილული გახდა 2022 წლიდან, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ. დეზინფორმაციის ზრდასთან ერთად, პოლარიზაციის გამყოფი ხაზიც უფრო მკაფიოა. ამ ფონზე სამთავრობო მედიიდან, პროკრემლისტური გავლენები, ანტიდასავლური ნარატივები და სისტემური დეზინფორმაცია სტაბილურად მაღალი ინტენსივობით მოდის.

საქართველოში რუსული პროპაგანდის გაძლიერებასა და წარმატებაში ჟურნალისტები ქართული „პროპაგანდისტული მედიის” როლს ხედავენ. ჟურნალისტების დაკვირვებით, ქართული და რუსული პროპაგანდა ერთმანეთის მსგავსია ტრადიციულ და სოციალურ მედიაშიც, ხოლო მომხმარებელთან არა შეფარული, არამედ ღია ანტი-დასავლური გზავნილები მიდის. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს, უზრუნველყოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია თავისი სარედაქციო პოლიტიკის მეშვეობით. რესპონდენტების შეფასებით, ამ ვალდებულებას არხი არ ასრულებს. საქართველოში წინა წლებში არ იყო იმის მოლოდინი, რომ ქვეყანა დაემსგავსებოდა ბელორუსს ან რუსეთს. ამ კუთხით არსებული სიტუაცია შოკისმომგვრელია მედიის წარმომადგენლებისთვის.

> „რუსული პროპაგანდის წარმატებაში მედიას და მათ შორის საზოგადოებრივ მაუწყებელს დიდი წვლილი მიუძღვის. 2025 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელი გადაიქცა პროპაგანდისტულ არხად. ერთი მხრივ, საზოგადოებრივ მაუწყებელზე არის გადაცემა ‘რანინა’, რომელიც მაყურებელს იზიდავს და მეორე მხრივ, ამ გადაცემის ფონზე ხდება პროპაგანდის ‘შეზელვა’რაშიც მილიონები იხარჯება.” (რესპონდენტი N2).

> „როცა რუსული არხების მონიტორინგს ვაკეთებ, ვხედავ, რომ ქართული და რუსული სისტემა, მესიჯები და კონტენტი ერთმანეთის მსგავსია. პროპაგანდა ჩანს ‘ნარკოტიკული გადაცემებსა და ნიუსებში’, რომელშიც მუდმივად ახსენებენ ‘სისხლიან 9 წელს’, ‘ციხის კადრებს’. ‘მტრის’ დაბრუნების შიში სულ არსებობს. მაყურებელიც ამ შიშითა და ზიზღით იკვებება.” (რესპონდენტი N4)

პროევროპულად განწყობილი საზოგადოება და მედია რეგიონებში არის სამიზნე და მათ მიმართ სოლიდარობის შესამცირებლად ადგილობრივი ხელისუფლებაც მუშაობს. რესპონდენტები ახსენებენ რეგიონებში ა(ა)იპ ევგენი პრიმაკოვის სახ. ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრთან (საქართველოში ფუნქციონირებს 2013 წლიდან) დაკავშირებული ორგანიზაციების აქტიურობას, რომლებიც რუსულ ინტერესებს ატარებენ. ორგანიზაციები საქველმოქმედო საქმიანობას ახორციელებენ მათ შორის გავლენიანი სასულიერო პირების სახელითა და მხარდაჭერით.

კვლევაში ჩართული ჟურნალისტები საგანგაშოდ მიიჩნევენ ფაქტს, რომ საქართველოში რუსული ოკუპაციის თემა ცენტრალური, რეგიონული და საერთაშორისო მედიის დღის წესრიგიდან გაქრა. ჟურნალისტები აღარ და ვეღარ მიდიან საოკუპაციო ხაზთან, რომ გადაიღონ „ბორდერიზაციის" პროცესი, გაესაუბრონ მოსახლეობას და მოახდინონ „მცოცავი ოკუპაციის" დოკუმენტირება. ამ პროცესს ართულებს ისიც, რომ გადაღებისთვის საჭიროა სახელმწიფოუსაფრთხოებისსამსახურისნებართვადადამატებითიხარჯები.სახელისუფლებო ტელევიზიები კი თემის გაშუქებისას (იგულისხმება ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფარგლებში მოქმედი სამუშაო ჯგუფების შეხვედრები) კადრ-სინქრონით, მშრალი ინფორმაციით შემოიფარგლებიან. გართულდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში. შემცირდა ჟურნალისტური წყაროებიც. რუსულ გავლენებთან საბრძოლველად მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან პირისპირ კომუნიკაცია.

> „მოსახლეობასთან გულწრფელად საუბარს ართულებს ის, რომ პოლიციელი მუდმივად ჟურნალისტის გვერდზე დგას და მოსახლეობას აღარ სურს პრობლემებზე საუბარი, რომელიც ძალიან ბევრია. უკვე აღარ გვირეკავენ ჟურნალისტებს ჩვენი წყაროები. ესეც პრობლემაა." (რესპონდენტი N20)

რეგიონული ჟურნალისტები იხსენებენ, რომ წინა წლებში, როცა „ბორდერიზაცია" ხდებოდა, მოსახლეობა განგაშს ტეხდა და მედიაც ადგილზე ჩადიოდა ყველაფრის გადასაღებად. ახლა მოსახლეობა ინფორმაციულ იზოლაციაშია, რაზეც საჭიროა რეაგირება.

> **„ახლა უხილავი მავთულხლართები იბმევა მედიაში**. **ესაა ორმაგი ოკუპაცია**. **ერთის მხრივ რუსეთი გვიპყრობს და მეორე მხრივ**, **ქრება ის მედია**, **რომელსაც შეუძლია ოკუპაციის პრობლემებზე ისაუბროს."** (რესპონდენტი N20)

> „მმართველი გუნდის მიზანია არა მარტო ევროპისგან იზოლაცია, არამედ ინდივიდუალურ დონეზე ადამიანების გამოკეტვა - რომ ადამიანმა საკუთარი აზრი, თავის სამზარეულოში დაიტოვოს. **ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ სოლიდარობა იზოლაციის ამ მავთულხლართს წყვეტს**. ამიტომ ყველანაირი სოლიდარობა თავისი არსით უკვე იზოლაციის წინააღმდეგაა მიმართული." (რესპონდენტი N10)

კრიტიკული მედიის გაქრობა კიდევ უფრო გააძლიერებს რუსულ გავლენებს საქართველოში. ეფექტური მექანიზმი, რომელიც ხელს უშლის რუსული-სტილის პროპაგანდის გაძლიერებას, არის ადამიანური ისტორიები და პრო-სოციალური ქცევების დემონსტრირება (სოლიდარობა, ემპათია, მხარდაჭერა, იუმორი და სხვ.). რუსული სტილის პროპაგანდა ცდილობს წაშალოს ადამიანური ისტორიების ხილვადობა. მაგალითად, კვლევამ აჩვენა, რომ სასამართლო ჟურნალისტიკის რეგულირების ერთ-ერთი მიზანი შესაძლოა იყოს სწორედ ის, რომ ემოციური ნიშან-ხატები და ვიზუალური ენა, რომელიც საზოგადოებაში თანაგრძნობას და სოლიდარობას იწვევდა, ქმნიდა აუდიტორიასთან სოციალური ინტერაქციის ეფექტს და პროპაგანდას ხელს უშლიდა.

4.6. სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია და ნდობის აღდგენა

სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ინდივიდებს, ჯგუფებსა და საზოგადოებას აერთიანებს საერთო მიზანი ან მიზნები და მათი ფრაგმენტული ან ერთჯერადი მხარდაჭერა გადაიქცევა გააზრებულ, დაგეგმილ, განმეორებად პრაქტიკად. მედიის კონტექსტში ამგვარი **სოლიდარობის ინფრასტრუქტურა** (გამომწერები და

საზოგადოების ჩართულობა, კრიზისული გრანტები, დონაციები, კოლექტიური დაფინანსება/ crowdfunding, იურიდიული დაცვის ცხელი ხაზები, სოლიდარობის განცხადებები, აქციები და სხვ.), ამცირებს რისკებს, აძლიერებს მედიას და გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდის ნდობას.

„მედიახმის" კვლევებზე დაყრდნობით, 2021-2025 წლებში სისტემურად ხდებოდა ჟურნალისტიკის პროფესიის დისკრედიტაცია და რესურსებისგან გამოფიტვა. მედიისადმი საზოგადოების ნდობა კი წლიდან წლამდე მცირდებოდა, რაც, თავის მხრივ, აფერხებდა საზოგადოების სოლიდარობასა და მხარდაჭერას. „მედიახმის" კვლევებში 2021 წლიდან სწორედ სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაციის მნიშვნელობასა და ფორმებზე კეთდებოდა აქცენტირება და ეს ფოკუსი ახლა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან არსებობს ტრანსფორმაციული გამოცდილების კონკრეტული მაგალითები და გაზომვადი ინდიკატორები (ასეთია „სინათლე მედიას" კამპანიები, დონაციები, მედიის გამომწერების რაოდენობის პოზიტიური დინამიკა და სხვ.). ამ ინიციატივის წინააღმდეგ სამთავრობო მედიამ დისკრედიტაციის კამპანია უკვე წამოიწყო (იმედი, 24.11.2025)

გასულ წლებში კრიზისულ პერიოდებში (მედიის დახურვის საფრთხე, ძალადობა ჟურნალისტებზე) საზოგადოების მხრიდან სოლიდარობა იყო ფრაგმენტული. არ არსებობდა მედიის გრძელვადიანი მხარდაჭერის არა მარტო ჩვევა, არამედ მოტივაცია. 2025 წელს სისტემურმა კრიზისმა დააჩქარა სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია: დაიწყო სოლიდარობის დეცენტრალიზაცია, ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა ფინანსური კრიზისი მედიაში. რეგიონული მედიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ძლიერ კოალიციებში გაერთიანება და მორალური თუ ფინანსური მხარდაჭერა.

სოლიდარობის კამპანიები სხვადასხვა ფორმისაა. ეს შეიძლება იყოს ფინანსური მხარდაჭერისკენ მოწოდება, მედიის მხარდამჭერ აქციებსა და კამპანიებში ჩართვა, პეტიციებზე ხელმოწერა, სოციალურ ქსელებში მხარდაჭერის გამოხატვა და სხვ.

სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაციას შეუძლია ისეთი ცვლილებების ინიციირება, რომელიც დაუპირისპირდება ავტოკრატიას და გააძლიერებს დემოკრატიას სხვადასხვა დონეზე. ამის საპირისპიროდ, მხარდამჭერების შემცირება და საერთაშორისო იზოლაცია შესაძლოა იყოს ავტორიტარული რეჟიმების საბოლოო მიზანი, ხოლო სოლიდარობას შეუძლია გააძლიეროს ინსტიტუციების როლი და მათი პოზიციონირება, რაც იმავდროულად, დემოკრატიული მექანიზმების არსებობაზე მიუთითებს და ხელს უშლის ქვეყნის საბოლოო მიტაცებას. 2025 წელს საქართველოში კრიზისმა შექმნა „სოლიდარობის ქსოვილი", რომელიც არის თვითორგანიზებული, დეცენტრალიზებული, ხელს უშლის ძალაუფლების მიტაცებას და აძლიერებს დემოკრატიას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია სოლიდარობის ქსელის გაძლიერება და მისი ხილვადობის შენარჩუნება.

პოლარიზაციის სხვადასხვა პოლუსზე მყოფ მედიაორგანიზაციებს შორის სოლიდარობის ნეგატიური დინამიკაა. კერძოდ, პროფესიული სოლიდარობა წლების განმავლობაში მცირდებოდა და 2025 წელს შეიძლება ითქვას, რომ გაქრა. ამგვარი „ნულოვანი სოლიდარობის" მიზეზი, სავარაუდოდ, გახდა ის, რომ 2024 წლის ბოლოს, აქციებზე დაზარალებულ ჟურნალისტებს (გურამ როგავას, მაკა ჩიხლაძეს, გიორგი შეწირულს), რომლებიც წარმოადგენდნენ კრიტიკულ ტელევიზიებს, სამთავრობო ტელევიზიების ჟურნალისტებმა საჯარო სოლიდარობა არ გამოუცხადეს. ორივე მხარე მიიჩნევს, რომ ურთიერთობები უკიდურესად გაფუჭებულია და მათი აღდგენა ვერ მოხდება. ჟურნალისტებისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია, როცა კოლეგები მათზე დისკრედიტაციულ სიუჟეტებს ამზადებენ.

> „ჩვენ შორის ხიდები საბოლოოდ დაიწვა. ადრე პროპაგანდისტული მედიის წარმომადგენლებსაც ვიცავდით ველზე მუშაობისას, როცა სიტყვიერად აბულინგებდნენ და ახლა, აღარ ვიცავთ. გარდამტეხი მომენტი იყო ჟურნალისტების სასიკვდილოდ გამეტებაზე დუმილი.” (რესპონდენტი N21)

კვლევისას გამოიკვეთა, რომ წლების განმავლობაში დანერგილმა სტრატეგიამ - „მედია მედიის წინააღმდეგ” - ორ პოლარიზებულ ბანაკს შორის „საჯარო სოლიდარობა” მოკლა. ჟურნალისტებს შორის პროფესიული თანამშრომლობის რესურსი სულ უფრო ვიწროვდება და მან მიიღო „კონფიდენციალური სოლიდარობის” ფორმა - როცა კოლეგებისგან მხარდაჭერა გამოხატულია არა ღიად, არამედ პირად მიმოწერებში და ხმაურის გარეშე. ასეთი მხარდაჭერა მიიღეს საზოგადოებრივი მაუწყებლიდან განთავისუფლებულმა თანამშრომლებმა. პოლარიზაციის ორ პოლუსს მყოფ მედიაორგანიზაციებს შორის ურთიერთსოლიდარობის გამოხატვა სხვადასხვაა საჯარო, სოციალურ ქსელებსა და პირად სივრცეში.

> „ისინი ბოდიშს გვიხდიდნენ, რომ ხმა ვერ ამოიღეს. საზოგადოების მხრიდან ველოდი უფრო დიდ აქტივობას ჩვენ კი არა, საკუთარი თავის დასაცავად.” (რესპონდენტი N 2)

პროფესიულ წრეებში მინიმალური რესურსი დარჩა იმისთვის, რომ მომავალში აღდგეს პროფესიული, კოლეგიალური თანამშრომლობა. ამის რესურსი უფრო გამოიკვეთა იმ თაობაში, რომელსაც წარსულში ჰქონდა პროფესიული თანამშრომლობა (მაგ: მუშაობდნენ ერთ მედიაორგანიზაციაში). ეს ეხება ჟურნალისტებისა და ოპერატორების იმ თაობას, რომელიც 1994-2019 წლებში ერთად მუშაობდა „რუსთავი 2”-ში. იმისდა მიუხედავად, რომ დაპირისპირებული პოლიტიკური მხარეები საქართველოში ყოველთვის იყო, „ჟურნალისტურ სამზარეულოში” მეგობრობა სოლიდარობის გარკვეულ ქსოვილს ქმნიდა. კვლევაში ჩართული მონაწილეები ამის საილუსტრაციოდ იხსენებენ 2007 წლის 7 ნოემბრის სოლიდარობას და 2021 წლის ლექსო ლაშქარავას ტრაგიკული სიკვდილისას გამოხატულ მხარდაჭერას.

> „ლექსო ლაშქარავას სიკვდილის შემდეგ, სხვადანაშაულებზე სამთავრობო ჟურნალისტების მხრიდან კონსოლიდირებული სოლიდარობა არ გვინახავს. არც საჯაროდ გვინახავს ერთი ტელევიზიიდან მეორეში გადასული ჟურნალისტის სინანული და პროპაგანდისტული საქმიანობის მონანიება.” (რესპონდენტი N 5)

> „სამთავრობო ჟურნალისტებთან პროფესიული კომუნიკაცია ვეღარ გაგრძელდება, იმიტომ, რომ ისინი აღარ მოიაზრებიან კოლეგებად. რასაც ისინი აკეთებენ - აღარაა ჟურნალისტიკა. ამიტომ იგივე ბედი ელით, რასაც ‘ქართული ოცნება’ გაიზიარებს.“ (რესპონდენტი N 3)

იმ თაობაში, რომელიც ჟურნალისტიკაში ბოლო წლებში მოვიდა, ეს მეხსიერება არაა და, შესაბამისად, ველზე მუშაობის დროსაც „საპირისპირო ბანაკთან” კომუნიკაცია ნაკლებია ან საერთოდ არაა.

> „ჩემი თაობის ჟურნალისტებს უფრო აქვთ ერთმანეთის მიმართ ემპათია. ახალი თაობა, ჩემი გადმოსახედიდან უფრო ხისტია.” (რესპონდენტი N16)

პროსამთავრობო არხებზე მომუშავე ჟურნალისტებისა და ოპერატორებისთვის ეს დამოკიდებულება მიუღებელია და თვლიან, რომ პირადი ურთიერთობების გაწყვეტა კოლეგების ინიციატივით მოხდა და მოუხედავად მათი სარედაქციო პოლიტიკისა, პირადი ურთიერთობების სივრცე არ უნდა დახურულიყო.

> „განსხვავებული აზრის პატივისცემა არ გვაქვს და კომუნიკაციის რესურსი, ამ ეტაპზე, არც ჩანს. ორივე მხარეს არიან დაზარალებულები და სანამ ასე იქნება, კრიზისი გაგრძელდება.” (რესპონდენტი N17)

> „არ მახსენდება ასეთი არასოლიდარული და დაძაბული ურთიერთობები კოლეგებს შორის.” (რესპონდენტი N 14)

განსხვავებული გარემოა საკანონმდებლო ორგანოში. პარლამენტში შენარჩნებულია კოლეგიალური ურთიერთობები ორ პოლუსზე მყოფ ტელე-ჟურნალისტებს შორის და ამის მიზეზი ისიცაა, რომ მათი როტაცია ნაკლებად ხდება.

სოლიდარობის გაძლიერება კორელაციაშია მედიისადმი ნდობაზე. რეგიონული მედიის დაკვირვებით, მედიას სანდოობის მხრივ ყველაზე დიდი გამოწვევები აქვს სოფლებში და ამის მთავარი მიზეზია სამთავრობო პროპაგანდასთან მეტი ხელმისაწვდომობა. რესპონდენტები საუბრობენ პოზიტიური დინამიკაც: მედიის საჭიროება და მისდამი ნდობა ძლიერდება, როცა ადამიანის უფლებები ირღვევა და ინფორმაციის მედიუმი არის კრიტიკული მედია.

> „ხალხი ძალიან კარგ ბმას აკეთებს საკუთარ უფლებებსა და დამოუკიდებელი მედიის არსებობის საჭიროებას შორის.” (რესპონდენტი N7)

ჟურნალისტების ჩართვა ადამიანის უფლებების დაცვაში წლების განმავლობაში სამოქალაქო აქტივიზმში ტრანსფორმირდა. მედიის წარმომადგენლები უმეტესად ჩართულნი არიან სწორედ მედიისა და სიტყვის თავისუფლების დასაცავად გამართულ საპროტესტო აქციებში. ასეთ აქტივიზმში ჩართვას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. ერთი მხრივ, ესაა აუდიტორიისა და მედიის ბრძოლის საერთო სტრატეგიები, გამოკვეთს მედიის როლს ხალხის დახმარების პროცესში. მეორე მხრივ კი, ესაა მედიის „დამკვირვებლის” პოზიციიდან გამოსვლა, რაც მას მიუკერძოებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. კრიტიკულ მედიაში დასაქმებულ ჟურნალისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საზოგადოების პასიურობა მედიის საჯარო მხარდაჭერაში გამოიწვია იმან, რომ ჟურნალისტები საკუთარი პროფესიული როლიდან გამოვიდნენ და სამოქალაქო აქტივიზმით ან ინფლუენსერებად დაიწყეს პოზიციონირება. ამას დაემატა დისკრედიტაციის კამპანიები მედიის წინააღმდეგ, დაშინებები, მედიის დემონიზება.

> „პროფესიული ნიშის შენარჩენუება ნდობას აძლიერებს. მედიამ საკუთარი დღის წესრიგი ააწყო არა ხალხის, არამედ პოლიტიკური პარტიების თემებზე, რამაც გაზარდა დისტანცია ხალხთან.“ (რესპონდენტი N5)

> „ჩვენ არა მხოლოდ გამშუქებლები, არამედ გამპროტესტებლებიც გავხდით, იმიტომ, რომ ეს არის ბრძოლა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის.” (რესპონდენტი N3)

2025 წელს მედიისადმი ნდობის გაძლიერება შესამჩნევია და ჟურნალისტების ნაწილს აქვს მოლოდინი, რომ ის გაიზრდება. ამას ხელი შეუწყო კორუფციის საქმეების გამოაშკარავებამ და დამნაშავეების მხილებამ თავად ხელისუფლების მხრიდან. საზოგადოებამ დაინახა, რომ ის გახმაურებული კორუფციული საქმეები, რომლებზეც კრიტიკულ მედიაში მომუშავე ჟურნალისტები წლების განმავლობაში ამზადებდნენ საგამოძიებო მასალებს - სიმართლე აღმოჩნდა, ხოლო მმართველი გუნდის ჟურნალისტების დისკრედიტაციის კამპანია - უსაფუძვლო და ცილისმწამებლური. ეს, ირიბად გამოჩნდა სამთავრობო, პროპაგანდისტული მედიითაც, რომელიც იგივე კორუფციულ თემებზე ამზადებს მასალებს. ამან კრიტიკული მედიისადმი ნდობის გაზრდისთვის ძლიერი არგუმენტი შექმნა.

> „მმართველი გუნდისა და მათი მხარდამჭერი მედიის მხრიდან კორუფციის თემების წინ წამოწევამ შესაძლოა კრიტიკული მედიის მიმართ ნდობა გაზარდოს.” (რესპონდენტი N12)

> „ეს მიანიშნებს, რომ საზოგადოება უნდა ენდოს კრიტიკულ მედიას, რადგან ისაა საუკეთესო დასაყრდენი და დამცველი. გამოჩნდა, რომ რასაც ვამბობდით კორუმპირებულ ხალხზე იყო სიმართლე.” (რესპონდენტი N2)

ჟურნალისტების მიმართ განწყობებსა და ნდობის კრიზისზე მოქმედებს ის ისტორიული წარსულიც, რომელიც ქართულ პრესას საბჭოთა დროიდან მოჰყვება. საბჭოთა პრესა ემსახურებოდა პროპაგანდას და ამახინჯებდა სიმართლეს. ეს ქარგა ჟურნალისტების რეპუტაციაზე დღემდე ახდენს გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციებისადმი სოციალური ნდობის კრიზისი გლობალური ტენდენციაა, საბჭოთა მენტალიტეტი და მასზე დაშენებული სამოქალაქო მეხსიერება, მედიისადმი ნდობის კრიზისითვის კიდევ უფრო ნოყიერი ნიადაგია.

კრიტიკული მედიის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ ნდობა გაიზრდება. მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი ტელევიზიების წარმომადგენლების აზრით კი, ჟურნალისტებისადმი ნდობა უარესდება და ეს ეფექტი ეხება ყველას.

> „საზოგადოება თავად მედიას აღიქვამს ‘მხარედ’ და მიაჩნია, რომ ერთი მხარე იტყუება და მეორე ამბობს სიმართლეს.” (რესპონდენტი N 16)

> „ჟურნალისტები ხალხისთვის ტელევიზორში მოლაპარაკე სახეებად იქცნენ და არა ადამიანებად, ვინც მათ ეხმარებათ. ამიტომ ხელი ჩაიქნიეს ჩვენზე და ეს ნდობაზეც აისახა.” (რესპონდენტი N17)

რეგიონში, სადაც საჯარო სამსახური და სოციალური დახმარებები შემოსავლის მთავარი და შესაძლოა ერთადერთი წყაროა - თვითცენზურაც მაღალია. ეს ტრანსფორმირდა მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი და პროევროპული ღირებულებების მხარდამჭერი ადამიანების დევნასა და დასჯაში. ეს გამოიხატება იმაში, რომ მათი საჯარო პოზიციონირება და მხარდაჭერა შემცირებულია. მაგალითად, კრიტიკული აზრის მქონე ადამიანებს არ აჩენენ სამთავრობო ღონისძიებების ამსახველ ფოტოებში, არ უქმნიან სამუშაო პირობებს, გადაჰყავთ ფორმალურ პოზიციებზე, სადაც ფუნქცია აღარ ექნებათ. საზოგადოებაში სოლიდარობის შემცირებაზე მოქმედებს მაღალჩინოსნების (ირაკლი კობახიძის განცხადება: 06.10.2025) მიერ ნულ თანაგრძნობაზე მოწოდებებიც.

> „რეგიონში ისჯებიან ის საჯარო მოხელეებიც, რომლებიც ინარჩუნებენ ემპათიას მათ მიმართ, ვინც ხელისუფლებას არ მოსწონს. არასასურველ პირების მიმართ სოლიდარობასაც ამცირებენ. ფოტოებიდან გამქრალია მედია, ოპოზიცია, პროდასავლურად განწყობილი მოსახლეობა. ეს არის დირექტივა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ასრულებს.” (რესპონდენტი N15)

კრიტიკული მედიისადმი დამოკიდებულება შეიცვალა 2024 წლის საპროტესტო აქციების შემდეგ. თუ 2021 წლის შემდეგ სამთავრობო პროპაგანდის შედეგად ხდებოდა მედიისადმი სიძულვილის წაქეზება, 2024 წელს საზოგადოების ნაწილმა გაიაზრა თუ რამდენად საშიში პროფესიაა ჟურნალისტობა, გაჩნდა თანაგრძნობა, რომელსაც მოქალაქეები გამოხატავენ და რესპონდენტების აზრით, სწორედ ეს განასხვავებს საქართველოს ბელორუსისგან ან რუსეთისგან.

არის ფაქტორები, რომლებიც აძლიერებს მედიისადმი ნდობას და არის ფაქტორები, რომლებიც ამ ნდობას აზიანებენ. მაგალითად, ადამიანური ისტორიებისა და თემების გაქრობა აზიანებს ნდობას, რადგან ადამიანები საკუთარ თავსა და პრობლემებს ვეღარ ხედავენ ტელევიზორში. პოლარიზაციის შედეგად მოხდა მედიის დისტანცირება ხალხისგან.

> „ნდობას აზიანებს ისიც, რომ ძალიან ბევრი მტკივნეული თემა გაქრა ეთერიდან, გაქრა ადამიანური ისტორიები და ადამიანებისგან წამოღებული თემები, არ ჩანს ჩვენი ხალხის ყოველდღიურობა.“ (რესპონდენტი N5)

ხალხთან დისტანციის გაზრდასა და ურთიერთობების ხელოვნური ფორმების გაძლიერებაში თავისი როლი შეასრულა სოციალურმა ქსელებმა, რადგან არატრადიციულ, ციფრულ კომუნიკაციას არ აქვს პირისპირ ურთიერთობის ეფექტი. სოციალური ქსელები ქმნის ილუზიას, რომ ჟურნალისტი კითხულობ კომენტარებს, თუმცა მნიშვნელოვანია სხვა ფორმით კომუნიკაცია, სადაც ჟურნალისტი ხელმოსაწვდომია და მას მისწერენ, დაურეკავენ, შეატყობინებენ ფაქტებსა და პრობლემებს. ამ კუთხით, მნიშვნელოვანი იყო და რჩება მედიის წარმომადგენლების კომუნიკაცია (კამერების გარეშე) ხალხთან.

> „ინტერპერსონალური ურთიერთობები კიდევ უფრო მნიშვნელოვანია რეგიონში. ადამიანი უნდა გხედავდეს, კარგად გიცნობდეს, გენდობოდეს და იცოდეს რომ შენ მის გვერდით ხარ, მოვლენების განვითარების პროცესი უნდა გაიარო ადამიანებთან ერთად.“ (რესპონდენტი N5)

ნდობის აღდგენის მნიშვნელოვანი კომპონენტებია, ჟურნალისტების მიერ გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელება და მედიაში პარტიული და სამთავრობო დღის წესრიგის დაბალანსება საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიის დღის წესრიგით. კვლევის ფარგლებში ჩამოვაყალიბეთ მედიის მიმართ ნდობისა და სოლიდარობის 28 **ინდიკატორი**, რომლებზე დაკვირვებითაც შესაძლებელია სოლიდარობის პრაქტიკის სტანდარტიზაცია და გაზომვადი მართვა. ესენია:

1. საერთაშორისო მხარდაჭერა: ორგანიზაციებისა და საელჩოების განცხადებები;
2. საერთაშორისო მხარდაჭერა: ოფიციალური პირების ჟურნალისტების სასამართლო პროცესებზე დასწრება;
3. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან განხორციელებული მონიტორინგი და ადვოკატირება;
4. მიზნობრივი სანქციები მათ წინააღმდეგ, ვინც ჟურნალისტების წინააღმდეგ დანაშაულს სჩადის;
5. ჩუმი და საჯარო დიპლომატია, რომლის მიზანია მედიის თავისუფლების დაცვა;
6. სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის განცხადებები და სოლიდარობის აქტივობები;
7. კოლეგების მიერ გამოხატული საჯარო სოლიდარობა;
8. მოქალაქეების (მათ შორის ცნობადი სახეების) მიერ გაკეთებული მხარდამჭერი განცხადებები;
9. პეტიციები;

10. პროფესიული ჯგუფების, სოლიდარობის კერების შექმნა და გაძლიერება;

11. პარტიებისა და მედიის სიმბიოზური ურთიერთობების დასრულება;

12. სოციალურ ქსელებში (ერთ ან რამდენიმე პლატფორმაზე) გაკეთებული განცხადებები (რეაქციების, წვდომის, გაზიარების რ-ბა);

13. ადგილობრივ მედიაში მხარდაჭერის პოზიციონირება;

14. საერთაშორისო მედიაში მხარდაჭერის პოზიციონირება;

15. მედიის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობის დასრულების დემონსტრირება;

16. მედიის მიერ გამოაშკარავებულ დანაშაულებზე რეაგირება (კორუფციის გამოაშკარავება და დამნაშავეები დასჯა, მოძალადეების დასჯა და სხვ.);

17. სოლიდარობის ჟურნალისტიკის გაძლიერება: კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფისა ან ინდივიდის მხარდაჭერის კონტექსტის გამოკვეთა;

18. ოპერატიულობა და დროულობა;

19. პერსონიფიკაცია: ადამიანური ისტორიები;

20. საზოგადოების ჩართულობისა და დღის წესრიგის გაძლიერება მედიაში: პრობლემების აქტუალიზაცია;

21. აუდიტორიასთან ტრადიციული/პროფესიული კომუნიკაცია;

22. აუდიტორიასთან არაფორმალური შეხვედრები, სადაც საუბარი იქნება მედიის როლზე;

23. თემების, წყაროებისა და ჟანრების მრავალფეროვნება;

24. პროფესიული სტანდარტების დაცვა;

25. სარედაქციო გამბედაობა / კონტენტის შექმნისას თავისუფალი არჩევანის ჩვენება;

26. ხილვადობა და ხელმისაწვდომობა: სხვადასხვა მედიუმით კონტენტის გავრცელება;

27. ხილვადობა: საჯაროობა და გამჭვირვალობა;

28. ფინანსური მხარდაჭერა: დონაციები, კოლექტიური დაფინანსება, გამოწერები და სხვ.

წლების განმავლობაში დაგროვილმა ტრანსფორმაციულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სწორედ სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია, მედიისა და ხალხის ერთობლივი აქტივობები და თემები ინსტიტუციურად გააძლიერებს მედიას და მის მიმართ ნდობას. მედიისადმი ნდობის აღდგენას სჭირდება სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია - მუდმივმოქმედი და დეცენტრალიზებული ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს მიკრო-ქსელებს და აერთიანებს აუდიტორიას, პროფესიულ ასოციაციებს, რეგიონულ და ცენტრალურ მედიას, საგანმანათლებლო და საერთაშორისო პარტნიორებს. მნიშვნელოვანია ამგვარი ჩანასახებისა და პრაქტიკის სტანდარტიზაცია და გაზომვადი მართვა - ინდიკატორების რეგულარული მონიტორინგით. ასეთი ინფრასტრუქტურა ამცირებს იზოლაციას, ზრდის საზოგადოების ჩართულობას და აძლიერებს იმ მედიისთვის, რომელიც რეალურად ემსახურება საზოგადოებას.

რეკომენდაციები

ქართული დამოუკიდებელი მედიისა და ქვეყნის მიტაცების კრიტიკულ ფაზაში, რელევანტურობა დაკარგა იმ რეკომენდაციებმა, რომლის აღსრულებას პოლიტიკური ნება სჭირდება და მმართველი გუნდის მხრიდან წლიდან წლამდე იყო იგნორირებული. 2025 წელს მმართველი გუნდის ხელში აღმოჩნდა თითქმის ყველა ბერკეტი, რომელიც უზრუნველყოფს მედიის თავისუფლებას. სწორედ პოლიტიკურ ნებას შეუძლია პოლარიზაციის შემცირებაზე ზემოქმედება, მედიის მიმართ ნდობის აღდგენა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მედიაკანონების ჰარმონიზაცია, შიშისა და თვითცენზურის შემცირება, დემოკრატიული ინსტიტუციების გაძლიერება და სხვ.

მედიაგარემოს გაუმჯობესებისთვის მმართველი გუნდისადმი გაცემული რეკომენდაციები წლიდან წლამდე არ სრულდებოდა. ამ პრაქტიკის გათვალისწინებით, ხელისუფლებისადმი რეკომენდაციები განკუთვნილია შემდეგი ლეგიტიმური ხელისუფლებისთვის. აუცილებელი იქნება სწრაფი, სისტემური რეფორმების პაკეტის ინიციირება, რომელიც დემოკრატიული განვითარების რეჟიმში გადაიყვანს ქვეყანას. ამისთვის კი აუცილებელია საზოგადოების ჯგუფების, პოლიტიკოსებისა და აქტივისტების, ორგანიზაციებისა და რაც მთავარია - მედიის აქტიური ჩართულობა.

რა უნდა გაკეთდეს ჟურნალისტების უსაფრთხოებისთვის?

ხელისუფლებამ:

- უზრუნველყოს მედიაზე თავდასხმების საქმეების სრულად გამოძიება და დამნაშავეების დასჯა. სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა გახდეს ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით დროული და ადეკვატური რეაქცია. იმისათვის, რომ დასრულდეს დაუსჯელობის სინდრომი მედიაზე თავდასხმების გამო, მთავრობამ საჯარო უნდა გახადოს გამოძიების შედეგები;

- მედიასთან და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით, შეაგროვოს ყოვლისმომცველი სტატისტიკა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა მიმართ ძალადობისა თუ მუქარის ყველა შემთხვევაზე, რომლებიც უკავშირდება მათ ჟურნალისტურ საქმიანობას. ჟურნალისტთა მიმართ ძალადობისა თუ მუქარის ყველა შემთხვევის გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს - იყოს მიუკერძოებელი, სწრაფი, ეფექტიანი.

მედიამ:

- პროტესტის ჟურნალისტიკა დღეს თანაბრად საჭიროებს უსაფრთხოების პროტოკოლებით გაძლიერებას, სამართლებრივი რისკების მინიმიზაციასა და ბრძოლას იმისთვის, რომ კრიტიკული კითხვები და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თემები სიჩუმეში არ დაიკარგოს.

რა უნდა გაკეთდეს კანონების მედიის წინააღმდეგ ინსტრუმენტალიზაციის შეჩერებისთვის?

ყველა ჩართული მხარე:

- ჩაერთოს საკანონმდებლო მედიაგარემოს გაუმჯობესების პროცესში, რომ ქვეყანა დაუბრუნდეს ევროინტეგრაციის გზას. საჭიროა გაუქმდეს რეპრესიული, რუსული-სტილის კანონები და შეიცვალოს დამკვიდრებული პრაქტიკა;

- ევროინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვანია ევროპულ კანონმდებლობასთან (მაგ: ევროპული მედიის თავისუფლების აქტთან) მედიაკანონმდებლობის ჰარმონიზაცია და ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;

- შეწყდეს საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებების მიღება;

- მმართველმა პარტიამ და მასთან აფილირებულმა პირებმა უნდა შეწყვიტონ SLAPP სარჩელების შეტანა კრიტიკული მედიისა და აქტივისტების წინააღმდეგ. ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ცვლილებები კანონმდებლობაში SLAPP საჩივრებისგან ჟურნალისტების დასაცავად;

- ახლებურად ჩამოყალიბდეს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი. გაფართოვდეს მისი დაცვის სფერო. სსკ-ის 154-ე მუხლის გადაინაცვლოს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში და გაითვალისწინოს თავისუფლების აღკვეთის სახით მკაცრი სასჯელი დანაშაულებისთვის, რომლებიც უკავშირდება ჟურნალისტურ საქმიანობას;

რა უნდა გაკეთდეს სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაციისთვის?

სოლიდარობის პროცესში ეფექტიანია არა ცალკეული ინდიკატორის ფრაგმენტული მოქმედება, არამედ ქსელური და მრავალმხრივი ჩართულობა. კვლევამ აჩვენა, რომ სოლიდარობის ეს ქსოვილი საქართველოში ბუნებრივად არსებობს და მას სჭირდება გამყარება. მედიისა და საზოგადოების ურთიერთმხარდაჭერა შესაძლებელია, გადაიზარდოს პროცესსა და რუტინაში, როდესაც საზოგადოებისა და მედიის დღის წესრიგი თანაგაზიარებული იქნება. წლების განმავლობაში დაგროვილმა ტრანსფორმაციულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სწორედ სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია, მედიისა და ხალხის ერთობლივი აქტივობები და თემები ინსტიტუციურად გააძლიერებს მედიას და მის მიმართ ნდობას. სოლიდარობის გაძლიერება არის მედიის ფინანსური დამოუკიდებლობისა და სიცოცხლისუნარიანობის მექანიზმი. ამ პროცესში მნიშვნელოვანია:

მედიამ და საზოგადოებამ:

- შეადგინოს „სოლიდარობის პროტოკოლი", რომელიც გაზრდის სოლიდარობის ოპერატიულობასა და ხილვადობას. „პროტოკოლი" შეიძლება მოიცავდეს ერთობლივ განცხადებებს, სწრაფი რეაგირების იურიდიული და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ცხელ ხაზს;

- მედიამ გააცოცხლოს აუდიტორიასთან ურთიერთობის ტრადიციული ფორმები, რომლებშიც შესაძლებელი იქნება ჟურნალისტთან პირდაპირი კომუნიკაცია, გასაუბრება და/ან შეხვედრა უსაფრთხო გარემოში. შესაძლებელია აუდიტორიასთან რეგულარული პირისპირ შეხვედრები, რათა გაიზარდოს ანგარიშვალდებულება, გაფართოვდეს საზოგადოების დღის წესრიგის ნიშა და ნდობა. საზოგადოების პრობლემების აქტუალიზაციით დაბალანსდეს მედიაში პარტიული და/ან სამთავრობო დღის წესრიგი;

- გაძლიერდეს თანამშრომლობა ცენტრალურ და რეგიონულ მედიასთან: დაინერგოს ერთობლივი პროდუქტის შექმნის პრაქტიკა (მაგ: თვეში ორი ერთობლივი მასალა დედაქალაქსა და რეგიონში მიმდინარე თემებზე).

- სოლიდარობისა და ნდობის გასაზრდელად, მედიამ უზრუნველყოს პროფესიული სტანდარტების დაცვა და თვით-რეგულირების მექანიზმების გაძლიერება;

- გაძლიერდეს სოლიდარობის ისეთი ინიციატივები, როგორიცაა „სინათლე არ უნდა ჩაქრეს". მნიშვნელოვანია ფინანსური მხარდაჭერისკენ მოწოდება, სოლიდარობის სხვადასხვა კერებისთვის პროცესის დეცენტრალიზაცია;

- მედიის მიერ გამოაშკარავებულ დანაშაულებზე საზოგადოების რეაგირებისა და ჩართულობის ჩვენება სხვადასხვა ფორმატით (კორუფციის გამოაშკარავება და დამნაშავეების დასჯა, მოძალადეების დასჯა და სხვ.);

- სოლიდარობის ჟურნალისტიკის გაძლიერებისთვის მოწყვლადი ჯგუფების შესახებ მასალების მომზადება;

- მედიაში პერსონიფიკაციის გაძლიერება და ადამიანური ისტორიებისთვის (მათ შორის, არა ცნობადი სახეების) მეტი სივრცის დათმობა.

საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა:

- კიდევ უფრო გააქტიურონ მონიტორინგი: სასამართლო პროცესებზე დასწრება, განცხადებები, ადვოკატირება, მიზნობრივი სანქციების ადვოკატირება ძალადობასა და ანტი-დასავლურ პროპაგანდაზე პასუხისმგებელ პირთა მიმართ;

- იზოლაციის რისკების შესამცირებლად, მუდმივად გამოხატონ სოლიდარობა დამოუკიდებელი მედიის მიმართ, გაგრძელდეს ერთობლივი პოზიციონირება, გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა, საქმიანი თანამშრომლობა.

საზოგადოებრივმა ჯგუფებმა და აქტივისტებმა:

- გადააქციონ მედიის მხარდაჭერა ყოველდღიურ/ყოველთვიურ რუტინად. ეს შეიძლება იყოს: მცირე, განმეორებადი დონაციები, გამოწერები, პეტიციები, საჯარო განცხადებები, დეცენტრალიზებული აქტივობები რეგიონებში და სხვ.;

- მნიშვნელოვანია დისკუსიები მედიის როლზე: არა მხოლოდ იმაზე თუ რას გვაძლევს მედიის თავისუფლება, არამედ იმაზე, რა შედეგი დგება მის გარეშე.

🚩 რა უნდა გაკეთდეს რუსული გავლენების შესამცირებლად?

საქართველოს გამოცდილება და დემოკრატიული უკუსვლა არის საგანგაშო სიგნალი დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიოსთვის. ესაა გაფრთხილება, რომ რუსული ჰიბრიდული ოკუპაცია მიუახლოვდა ევროპას. ამ კუთხით კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს გამოცდილების ინტეგრირება ევროპის საინფორმაციო უსაფრთხოების გაძლიერებისთვის.

ყველა ჩართულმა მხარემ:

- შეიმუშაოს თანამშრომლობის ახალი სტრატეგია და მექანიზმები ქვეყნის საბოლოო მიტაცების შესაჩერებლად;
- დააბრუნოს საქართველოს ოკუპაციის თემის გაშუქება ადგილობრივ და საერთაშორისო დღის წესრიგში, რადგან სწორედ ეს დისკურსი შეახსენებს საზოგადოებას რუსული იმპერიალიზმის რეალურ მიზნებს;
- რუსულ პროპაგანდასთან საბრძოლველად დაიწყოს პირისპირ შეხვედრები მოსახლეობასთან, გაძლიერდეს სხვადასხვა მედიუმებზე კონტენტის შექმნა;
- საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციის შესაჩერებლად და პროპაგანდასთან დასაპირისპირებლად აქტიური გზაა ადამიანური ისტორიების ხილვადობის გაზრდა და პრო-სოციალური ქცევების დემონსტრირება (სოლიდარობა, ემპათია, მხარდაჭერა, იუმორი, კრეატიულობა და სხვ.);
- დეზინფორმაციის შესამცირებლად AI წიგნიერების ინტეგრირება სამუშაო პროცესში და პლატფორმების გამოყენების პროტოკოლების შექმნა.

🚩 როგორ დავიბრუნოთ მიტაცებული სახელმწიფო?

ვიბრძოლოთ, სანამ გვიანი არ არის!

დასკვნა

2025 წელს „რეპორტიორებმა საზღვრებს გარეშე” გამოავლინა პრესის თავისუფლების მიმტაცებლები და მათ შორისაა “ქართული ოცნების” საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში დამოუკიდებელი მედიის მიტაცება, სამწუხაროდ, შემდგარი ფაქტია. სწორედ ამ ფაზისთვისაა დამახასიათებელი მთავარი მიმტაცებლებისა და აქტორების გამოაშკარავება. სწორედ ამიტომ ამიერიდან კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა მავთულხლართებში მოქცეული მედია და ჰიბრიდული ოკუპაცია, რომლის სამიზნე სწორედ თავისუფალი სიტყვაა.

თავისუფალი მედიის მომავალი დამოკიდებულია ინდივიდებისა და საზოგადოებისა გამბედაობასა და რუსეთისგან თავსმოხვეული შიშის დამარცხებაზე. ასეთ საქართველოში ადამიანის საყოველთაო უფლებებიც დაცულია და სწორედ ამ მომავლის დანახვა დიდწილადაა დამოკიდებული საზოგადოების სოლიდარობის იმ ქსოვილის გაძლიერებაზე, რომელიც საერთო მიზნისკენ მოძრაობასა და სხვადასხვა ჯგუფების ბუნებრივ ჩართულობაში ყოველდღიურად ვლინდება.

ბიბლიოგრაფია

ლიტერატურა ინგლისურად:

Amaghlobeli, M. Free Mzia Awards. Retrieved from https://freemzia.com/awards (Accessed November 20, 2025).

Atchaidze, M. (CRRC-Georgia). (n.d.). Tracking Georgia's media, internet usage, and perceptions over a decade. https://doi.org/10.3929/ethz-b-000693719. Retrieved from https://css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/CaucasusAnalyticalDigest138.pdf (Accessed November 20, 2025).

Besley, T., & Prat, A. (2006). Handcuffs for the grabbing hand? Media capture and government accountability [PDF]. LSE Research Online. Retrieved from https://eprints.lse.ac.uk/899/1/Handcuffs_for_the_grabbing_hand_%28lsero%29.pdf (Accessed November 9, 2025).

Caucasus Barometer. (2024). Public opinion on information sources in Georgia. Retrieved from https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/INFSOU1/ (Accessed November 20, 2025).

Center for Media Engagement. (n.d.). Solidarity Journalism. Center for Media Engagement. Retrieved November 17, 2025. Retrieved from https://mediaengagement.org/solidarity-journalism/ (Accessed November 9, 2025).

Center for Media Engagement. Dangerous Solidarity. The Texas University of Austin, Retrieved November 17, 2025. Retrieved from https://mediaengagement.org/dangerous-solidarity/ (Accessed November 20, 2025).

Center for Media Engagement. Solidarity journalism. Center for Media Engagement. Retrieved from https://mediaengagement.org/solidarity-journalism/ (Accessed November 20, 2025).

Chatham House. Chatham House Rule. Chatham House. Retrieved from https://www.chathamhouse.org/about/chathamhouserule/ (Accessed November 20, 2025).

Civil.ge. Civil.Ge archives.Retrieved from https://civil.ge/ka/archives/676568 (Accessed November 15, 2025).

Clooney Foundation for Justice, Retrieved from https://cfj.org/ (Accessed November 20, 2025).

Commonwealth Director of Public Prosecutions. (2021, March 25). Suppression orders, non-publication orders and pseudonym orders ("National Legal Direction") [PDF]. Retrieved from https://www.cdpp.gov.au (Accessed November 20, 2025).

Directorate-General for Communications Networks, Content and Technology. (2025, August 8). A new era for media regulation in Europe as the European Media Freedom Act's main obligations become applicable. Media Board, European Union. Retrieved from https://media-board.europa.eu/news-0/new-era-media-regulation-europe-european-media-freedom-acts-main-obligations-become-applicable-2025-08-08_en (Accessed November 20, 2025).

DW Akademie. From unbiased silence to real support. DW Akademie. Retrieved from https://akademie.dw.com/en/from-unbiased-silence-to-real-support/a-66684064 (Accessed November 15, 2025).

Eldridge, S. Kleptocracy. In Encyclopædia Britannica. Retrieved from https://www.britannica.com/topic/kleptocracy (Accessed November 9, 2025).

European Commission. Digital Services Act. In A Europe fit for the digital age. Retrieved from https://commission.europa.eu/(Accessed November 9, 2025).

European Commission. European Media Freedom Act. In A new push for European democracy: Protecting democracy. European Commission. Retrieved from https://commission.europa.eu/ (Accessed November 9, 2025).

European Commission. Statement by Vice-President Šefčovič: Clean energy for Ukraine and the EU.

Retrieved from https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/statement_25_442 (Accessed November 15, 2025).

European Court of Human Rights. (1984, February 22). Sutter v. Switzerland (Application No. 8209/78). Retrieved from: https://hudoc.echr.coe.int/, (Accessed November 15, 2025).

European Court of Human Rights. (2000, November 14). Riepan v. Austria (Application No. 35115/97), Retrieved from: https://hudoc.echr.coe.int/ (Accessed November 15, 2025).

European Court of Human Rights. (2000, October 3). Du Roy and Malaurie v. France (Application No. 34000/96). Judgment of the European Court of Human Rights. Retrieved from: https://hudoc.echr.coe.int/ (Accessed November 15, 2025).

European Court of Human Rights. (2010, October 28). Krestovskiy v. Russia, Application No. 14040/03. HUDOC. Retrieved from: https://hudoc.echr.coe.int/ (Accessed November 18, 2025).

European Court of Human Rights. (2016, May 17). Karácsony and Others v. Hungary (GC), Applications Nos. 42461/13 and 44357/13. HUDOC. Retrieved from: https://hudoc.echr.coe.int/ (Accessed November 18, 2025).

European Court of Human Rights. (2017, February 9). Selmani and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia, Application No. 67259/14. HUDOC. Retrieved from: https://hudoc.echr.coe.int/ (Accessed November 18, 2025).

European Court of Human Rights. (Year). P4 Radio Hele Norge ASA v. Norway (Application No. 76682/01), Retrieved from: https://hudoc.echr.coe.int/ (Accessed November 18, 2025).

European Court of Human Rights. HUDOC case – item 001-23209. HUDOC. Retrieved from https://hudoc.echr.coe.int/(Accessed November 9, 2025).

European External Action Service. (2025, July 11). Georgia: Joint statement on recent developments in Georgia. EEAS. Retrieved from: https://www.eeas.europa.eu/ (Accessed November 15, 2025).

European Federation of Journalists. (2018, June 24). Belarus: more media censorship and control with new amendments of the Media Law. Retrieved from https://europeanjournalists.org/blog/ (Accessed November 9, 2025).

European Parliament. (2025, October 16). Andrzej Poczobut and Mzia Amaglobeli: Laureates of the 2025 Sakharov Prize. Retrieved from https://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20251016IPR30949/andrzej-poczobut-and-mzia-amaglobeli-laureates-of-the-2025-sakharov-prize (Accessed November 20, 2025)

European Parliament. (2024, April 25). Attempts to reintroduce a foreign agent law in Georgia and its restrictions on civil society (P9_TA(2024)0381). European Parliament. Retrieved from https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2024-0381_EN.html (Accessed November 20, 2025).

European Parliament & Council. (2022, October 19). Regulation (EU) 2022/2065 on a Single Market For Digital Services and amending Directive 2000/31/EC (Digital Services Act), **OJ L 327**, 27.10.2022, 1– . Retrieved from https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2022/2065/oj/eng (Accessed November 20, 2025).

European Union. (2022). Regulation (EU) 2022/2065 of the European Parliament and of the Council of 19 October 2022 on contestable and fair markets in the digital sector ("Digital Markets Act"). Official Journal of the European Union, L 265, 1–47. Retrieved from https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2022/2065/oj/eng (Accessed November 9, 2025).

European Union. (2024) Directive (EU) 2024/1069 of the European Parliament and of the Council of 11 April 2024 on protecting persons who engage in public participation from manifestly unfounded claims or abusive court proceedings ('Strategic lawsuits against public participation'), Retrieved from: https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2024/1069/oj (Accessed November 10, 2025).

Fletcher, R., & Nielsen, R. K. (2017). Paying for online news: A comparative analysis of six countries. *Digital Journalism, 5*(9), 1173–1191. https://doi.org/10.1080/21670811.2016.1246373

Forum 2000 Foundation. (2025, October 12). Mzia Amaglobeli and the Georgian resistance movement were awarded the Forum 2000 [News]. Forum 2000. Retrieved from https://www.forum2000.cz/en/news/mzia-amaglobeli-and-the-georgian-resistance-movement-were-awarded-the-forum-2000 (Accessed November 9, 2025).

Free Mzia. (n.d.). International response. Free Mzia. Retrieved from https://freemzia.com/international-response (Accessed November 20, 2025).

Freedom House. (2025). Georgia: Freedom in the World 2025. Retrieved from https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2025 (Accessed November 9, 2025).

Fritt Ords Foundation. (2025, September 9). Free Media Awards for 2025. Fritt Ord. Retrieved from https://frittord.no/en/news/free-media-awards-for-2025 (Accessed November 20, 2025).

Georgian Competition and Consumer Agency. (2024, January 15). The Law of Georgia on Electronic Commerce has been fully implemented since 2024. GCCA. Retrieved from https://gcca.gov.ge/index.php?lng=eng&m=370&news_id=1431 (Accessed November 9, 2025).

Gersamia M., (2012), Effective Media-monitoring Reports: Framing, Measurement and Evaluation, from Competing identities: The state of play of PR in the 2010s, p. 15-59, Retrieved from: https://www.researchgate.net/(last seen: 18.11.2025)

Gersamia, M., Gigauri E., Gurgenidze, G., (2025), Media Environment 2024: The Fight for Trust and Freedom in Media, Media and Communication Educational and Research Center "Media Voice", Retrieved from https://www.mediavoice.ge/ (Accessed November 20, 2025).

Gersamia, M., Gersamia, M., & Gurgenidze, G. Comparative Analysis of the European Media Freedom Act and Georgian Media Legislation. Media and Communication Educational and Research Center Media Voice, 2025. Retrieved from https://www.mediavoice.ge/ (Accessed November 20, 2025).

Gersamia, M., Gigauri, E., Mamasakhlisi, S., Bodokia, M., & Nakoevi, M. (2024). Russia's war in Ukraine and media solidarity (case of Georgia). *Athens Journal of Mass Media & Communications, 10*(1). Retrieved from https://www.athensjournals.gr/media/2024 (Accessed November 20, 2025).

Gersamia, M., Vakhtangashvili, N., Glonti, G. (2025), Inside Georgia's Anti-Western Media: Narratives and the Economics Behind Them, Retrieved from https://papers.4science.ge/index.php/monograph/article/view/298 (Accessed November 20, 2025).

Harcup, T., & O'Neill, D. (2016). What is News? News values revisited (again). Journalism Studies, 18(12), 1470–1488. Retrieved from https://doi.org/10.1080/1461670X.2016.1150193 (Accessed November 20, 2025).

How we use the Chatham House Rule. Pricing Carbon. (2024, May 21). Retrieved from https://pricingcarbon.org/2024/05/how-we-use-the-chatham-house-rule/ (Accessed November 11, 2025).

Human Rights Watch. (2025, October 23). Afghanistan: Taliban trample media freedom. Retrieved from https://www.hrw.org/ (Accessed November 3, 2025).

International Federation for Human Rights. (2025, April 30). Georgia: Adoption of the new Foreign Agents Registration *Act*. FIDH. Retrieved November 18, 2025, from https://www.fidh.org/en/region/europe-central-asia/georgia/georgia-adoption-of-the-new-foreign-agents-registration-act (Accessed November 18, 2025).

International Press Institute. (2025, November 20). IPI denounces appeals court verdict against Mzia Amaglobeli. IPI. Retrieved from https://ipi.media/ipi-denounces-appeals-court-verdict-against-mzia-amaglobeli/ (Accessed November 3, 2025).

Independent Press Standards Organisation (IPSO). (2024, August). Court reporting: What to expect – Information for the public [PDF]. Retrieved from https://www.ipso.co.uk/wp-content/uploads/2024/08/court-reporting-public.pdf (Accessed November 3, 2025).

Index on Censorship. (2017, April 7). Mapping Media Freedom: Putin signs law restricting media coverage of court sessions. Mapping Media Freedom. Retrieved from https://www.mappingmediafreedom.org/2017/04/07/mapping-media-freedom-putin-signs-law-restricting-media-coverage-of-court-sessions/ (Accessed November 3, 2025).

International Press Institute (IPI). (2025). 2025 World Press Freedom Hero Award. IPI. Retrieved from https://ipi.media/2025-world-press-freedom-hero-award/ (Accessed November 3, 2025).

Jones, R. (2025). The News Values of Court Reporting. Journalism Studies, 26(5), Retrieved from https://doi.org/10.1080/1461670X.2025.2453871 (Accessed November 3, 2025).

Judiciary of England and Wales. (2022, September). Reporting Restrictions in the Criminal Courts: Media and public access to proceedings in the Magistrates' Court and Crown Court – Advice and guidance for magistrates and judges [PDF]. Retrieved from https://www.judiciary.uk/wp-content/uploads/2022/09/Reporting-Restrictions-in-the-Criminal-Courts-September-2022.pdf (Accessed November 3, 2025).

Kakhniashvili, A. Proposed amendment to the Organic Law on Common Courts of Georgia (Bill Review No. 382432) [PDF]. Parliament of Georgia. Retrieved from https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/382432 (Accessed November 3, 2025).

Karacsony and Others v. Hungary [GC], Selimani and Others v. The Former Yugoslav Republic of Macedonia/ (Accessed November 15, 2025).

McCain Institute. Mzia Amaghlobeli: A champion for press freedom in Georgia. McCain Institute. Retrieved from https://www.mccaininstitute.org/fppi/mzia-amaghlobeli-a-champion-for-press-freedom-in-georgia/ (Accessed November 11, 2025).

McQuail, 2010, Mass Communication Theory, 6th edition, SAGE

Media Freedom Coalition. (2025, May 12). Protecting journalists in the justice system: MFC and Belgium co-host side event for World Press Freedom Day 2025. Media Freedom Coalition. Retrieved from https://mediafreedomcoalition.org/news/2025/mfc-event-world-press-freedom-day-2025/ (Accessed November 11, 2025).

Meduza. (2021, October 13). Belarus makes subscribing to 'extremist' Telegram channels a criminal offense. Meduza. Retrieved from https://meduza.io/en/(Accessed November 11, 2025).

National Legislative Bodies. (2008). Law No. 042-2008/AN on the Status of Refugees, Burkina Faso. Retrieved from https://www.refworld.org/legal/legislation/natlegbod/2008/en/102222 (Accessed November 11, 2025).

Nebraska Press Assn. v. Stuart, 427 U.S. 539 (1976). Retrieved from https://supreme.justia.com/cases/federal/us/427/539/ Justia Law (Accessed November 11, 2025).

Newman, N., Fletcher, R., Robertson, C. T., Ross Arguedas, A., & Nielsen, R. K. (2024). *Reuters Institute digital news report 2024*. Reuters Institute for the Study of Journalism.

Newman, N., Fletcher, R., Robertson, C. T., Eddy, K., & Nielsen, R. K. (2022). *Reuters Institute digital news report 2022*. Reuters Institute for the Study of Journalism.

Newman, N., Fletcher, R., Schulz, A., Andı, S., Robertson, C. T., & Nielsen, R. K. (2021). *Reuters Institute digital news report 2021*. Reuters Institute for the Study of Journalism.

Nord, M., Altman, D., Angiolillo, F., Fernandes, T., Good God, A., & Lindberg, S. I. (2025). Democracy Report 2025: 25 Years of Autocratization – Democracy Trumped? V-Dem Institute, University of Gothenburg. Retrieved from https://www.v-dem.net/documents/60/V-dem-dr__2025_lowres.pdf (Accessed November 11, 2025).

PA Media. (n.d.). Written evidence from PA Media (OPJ0043). Retrieved from https://committees.parliament.uk/writtenevidence/41211/html/ (Accessed November 11, 2025).

Parliament of Georgia. Bill review content (No. 327707) [PDF]. Retrieved from https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/327707 (Accessed November 15, 2025).

Parliament of Georgia. Bill review content (No. 381237) [PDF]. Parliament of Georgia. Retrieved from https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/381237 (Accessed November 11, 2025).

Parliament of Georgia. Bill review content (No. 384698) [PDF]. Parliament of Georgia. Retrieved from https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/384698 (Accessed November 11, 2025).

Parliament of Georgia. Bill review content (No. 384877) [PDF]. Parliament of Georgia. Retrieved from https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/384877 (Accessed November 11, 2025).

Radio Free Asia. (2017, February 23). China orders courts to record, video all trial proceedings. RFA. Retrieved from https://www.rfa.org/(Accessed November 11, 2025).

Reporters Without Borders, Country Report, Georgia, available at: https://rsf.org/en/country/georgia (Accessed November 11, 2025).

Reporters Without Borders. (2025, July 13). RSF and its partners mobilise for Mzia Amaghlobeli: A trial that symbolises Georgia's authoritarian drift. RSF. Retrieved from https://rsf.org/en/rsf-and-its-partners-mobilise-mzia-amaghlobeli-trial-symbolises-georgia-s-authoritarian-drift (Accessed November 15, 2025).

Reporters Without Borders. (2025, October 31). ECONOMIC – They ruin media financially: Bidzina Ivanichvili [Predator]. RSF. Retrieved from https://rsf.org/en/ (Accessed November 15, 2025).

Republic of Belarus. ЗАКОН РЕСПУБЛИКИ БЕЛАРУСЬ (No. H11500241). Pravo.by. Retrieved from https://pravo.by/document/?guid=12551&p0=H11500241&p1=1 (Accessed November 11, 2025).

Reuters Institute for the Study of Journalism. Digital News Report. Retrieved from https://www.digitalnewsreport.org/ (Accessed November 15, 2025).

Rex v Sussex Justices; Ex parte McCarthy [1924] 1 (Accessed November 15, 2025).

Schauer, Frederick. "Fear, Risk and the First Amendment: Unraveling the Chilling Effect." Boston University Law Review, vol. 58, no. 5, 1978, pp. 685–732 (Accessed November 15, 2025).

Schlun & Elseven Rechtsanwälte. Media reporting on suspected criminal offences in Germany. SE-Legal. Retrieved from https://se-legal.de/german-press-law-freedom-of-speech/media-reporting-on-suspected-criminal-offences-in-germany/?lang=en (Accessed November 15, 2025).

Simon Kemp. (2025, March 3). Digital 2025: Georgia. DataReportal / Kepios. Retrieved from https://datareportal.com/reports/digital-2025-georgia (Accessed November 15, 2025).

Social Justice Center. (2025, April 17). Amendments to the Law "On Grants" Aim to Destroy Georgian Civil Society. Retrieved from https://socialjustice.org.ge/ka/products/grantebis-shesakheb-kanonshi-gatarebuli-tsvlilebebis-mizania-kartuli-samokalako-sazogadoebis-ganadgureba-shefaseba (Accessed November 15, 2025).

Social Media & User-Generated Content. Statista. Retrieved from https://www.statista.com/markets/424/topic/540/social-media-user-generated-content/ (Accessed November 3, 2025).

Spring96. [6 more convicted in defamation trials]. Retrieved from https://spring96.org/en/news/105457 (Accessed November 3, 2025).

Tabula.ge. (2025, March 18). Retrieved from https://tabula.ge/en/news/732096-mzia-amaghlobeli-administratsiul-sakmeze (Accessed November 3, 2025).

The European Court of Human Rights has begun considering the application lodged by the Non-Governmental and media organizations regarding the "Russian law." IDFI, Retrieved from https://idfi.ge/en/european-court-of-human-rights-begins-review-of-ngo-and-media-organization-complaints-regarding-the-russian-law (Accessed November 3, 2025).

Yalamov, T. Russian influence, trust in media and media capture. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/328262353_Russian_influence_trust_in_media_and_media_capture (Accessed November 15, 2025).

ლიტერატურა ქართულად:

ბათუმელები / Batumelebi "ინციდენტი, რის შემდეგაც მზია ამაღლობელი მეორედ დააკავეს" ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=sLkXsmmJbHk (ბოლო ნახვა: 3.11.2025)

ბათუმელები / Batumelebi „სისხლით დავიჭერ" - დგებუაძის მუქარა მზია ამაღლობელის მისამართით. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=SZxBcbpABWk (ბოლო ნახვა: 3.11.2025)

ბათუმელები (2025, ნოემბერი 10). მზია ამაღლობელი ვენაში პაულ ვაიზის პრიზით დააჯილდოვეს. ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/news/594321/ (ბოლო ნახვა: 15.11.2025)

„ბათუმელების" და „ნეტგაზეთის" დამფუძნებელი ორჯერ დაიჭირეს - მიმდინარეობს გამოძიება On.ge. (2025, იანვარი 14). ხელმისაწვდომია: https://on.ge/story/139546 (ბოლო ნახვა: 15.11.2025)

გერსამია მ., გერსამია მ., გურგენიძე გ., ევროპული მედიის თავისუფლების აქტისა და საქართველოს მედიაკანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი „მედიახმა", 2025. ხელმისაწვდომია:https://www.mediavoice.ge/ (ბოლო ნახვა: 18.11.2025)

„გრანტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6475816?publication=0 (ბოლო ნახვა: 18.11.2025)

თევდორაძე, მ. (2025, 4 სექტემბერი). მზია ამაღლობელის ადვოკატებმა სასამართლოს სააპელაციო საჩივრით მიმართეს. ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/slideshow/586435/ (ბოლო ნახვა: 3.11.2025)

იმედი, Facebook, *იმედის კვირა* [ვიდეო]. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/reel/2672865023052857/ (ბოლო ნახვა: 24.11.2025).

"ირაკლი კობახიძე: 50–100 კაცი, რომელიც კეტავს ქუჩას, ძალადობს 4 მილიონ ადამიანზე, რომელთაც უნდათ მშვიდობა და სიწყნარე - ჩვენი მეთოდური მიდგომებით ყველა დაელოდოს, როგორ გაგრძელდება პროცესები, ნული თანაგრძნობა - ამას იმსახურებენ ეს ადამიანები" InterpressNews. (2025, 7 ოქტომბერი) ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/851125 (ბოლო ნახვა: 15.11.2025) "ირაკლი ღარიბაშვილის, გრიგოლ ლილუაშვილის, ოთარ ფარცხალაძის და კიდევ ხუთი პირის სახლებში ჩხრეკისას, ძვირფას ნაკეთობებთან და დოკუმენტებთან ერთად, ამოღებულია 7 002 200 აშშ დოლარი და 136 000 ლარი." 1TV. (2025, ოქტომბერი 18). ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/ (ბოლო ნახვა: 18.11.2025)

კახაბერიძე, თ. (2025, 26 ივნისი). სტრასბურგის სასამართლომ მზია ამაღლობელის საქმის განხილვა დაიწყო. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/778199/. (ბოლო ნახვა: 3.11.2025)

კვაჭაძე, ნ. (2025, 3 მარტი). ლიეტუვამ დაასანქცირა პირები, რომლებმაც ცრუ ჩვენება მისცეს მზია ამაღლობელის წინააღმდეგ. ბათუმელები / Netgazeti. https://batumelebi.netgazeti.ge/news/564755/ (ბოლო ნახვა: 18.11.2025)

მედიაჩეკერი. მზია ამაღლობელს 2 წლიან პატიმრობა მიუსაჯეს. https://www.mediachecker.ge/chveni-gundi/100920-mzia-amaghlobels-2-tsliani-patimroba-miusajes (ბოლო ნახვა: 15.11.2025)

რადიო თავისუფლება. (2025, აგვისტო 6). 24 საელჩო: ვგმობთ მზია ამაღლობელის მიმართ გამოტანილ არაპროპორციულ და პოლიტიზებულ განაჩენს. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/ (ბოლო ნახვა: 15.11.2025)

რადიო თავისუფლება. (2024, ნოემბერი 28). „ქართულ ოცნებას“ 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნა არ სურს. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33219304.html (ბოლო ნახვა: 3.11.2025)

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6557897?publication=0 (ბოლო ნახვა: 11.11.2025)

საერთო სასამართლოს შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/90676?publication=57 (ბოლო ნახვა: 15.11.2025)

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6544848?publication=0 (ბოლო ნახვა: 15.11.2025)

საზოგადოებრივი მაუწყებლის მცველები • GPB Guardians. [Facebook page]. Facebook. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/people/GPB-Guardians/61571795783332/ (ბოლო ნახვა: 15.11.2025)

სასამართლოებისთვის ტენდერით მობილურების შესანახი ავეჯი შეიძინეს. Publika.ge. (2025, ნოემბერი 7). ხელმისაწვდომია: https://publika.ge/sasamartloebistvis-tenderit-mobilurebis-shesanakhi-aveji-sheidzines/ (ბოლო ნახვა: 3.11.2025)

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია : https://matsne.gov.ge/document/view/28216?publication=597 (ბოლო ნახვა: 3.11.2025)

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდი, 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნები ცესკოში აკრედიტებული პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლები, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/static/res/docs/20211029110715.pdf (ბოლო ნახვა: 18.11.2025)

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდი, 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ცესკოში აკრედიტებული პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლები, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge (ბოლო ნახვა: 18.11.2025)

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდი, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აკრედიტებული პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ (ბოლო ნახვა: 18.11.2025)

საქართველოს საერთო სასამართლოებში ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღების, ტრანსლაციის და აუდიოჩაწერის უკანონოდ განხორციელების პრევენციის წესის დამტკიცების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6574984?publication=0 (ბოლო ნახვა: 20.11.2025)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=286. (ბოლო ნახვა: 20.11.2025)

სინათლე მედია, ონლაინ-პლატფორმა "სინათლე არ უნდა ჩაქვრეს", ხელმისაწვდომია: https://sinatle.media/ (ბოლო ნახვა: 20.11.2025).

სიტყვისა და გამოხატვის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/33208?publication=9 (ბოლო ნახვა: 20.11.2025)

პოლიციამ დააკავა „ბათუმელების" დირექტორი მზია ამაღლობელი. Netgazeti.ge. (2025, იანვარი 12). ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/759469/(ბოლო ნახვა: 3.11.2025)

Formula • ფორმულა „თავისუფლება და სოლიდარობა მზია ამაღლობელს!" — ვასილ ივანოვ-ჩიქოვანი პირველი არხის ეთერში სოლიდარობას უცხადებს „ბათუმელების" დამფუძნებელსა და რედაქტორს მზია ამაღლობელს. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/mIEQg. (ბოლო ნახვა: 15.11.2025)

ქიქოშვილი, დ. (2025, აპრილი 28). მზია ამაღლობელის საქმე სტრასბურგის სასამართლოში გასაჩივრდა. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/772374/ (ბოლო ნახვა: 15.11.2025)

ქიქოშვილი დ. (2025, იანვარი 11). პოლიციამ დააკავა „ბათუმელების" დირექტორი მზია ამაღლობელი. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/759469/ (ბოლო ნახვა: 15.11.2025)

შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/31678?publication=25 (ბოლო ნახვა: 15.11.2025)

ჩიჩუა ნ. (2025, აპრილი 28) მზია ამაღლობელის საქმე სტრასბურგის სასამართლოში გასაჩივრდა. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/772374/ (ბოლო ნახვა: 3.11.2025)

გამოთქმული შეხედულებები, მოსაზრებები და დასკვნები მხოლოდ ავტორებს ეკუთვნის და არ წარმოადგენს ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის თავისუფლებისთვის შეხედულებებს ან პოზიციებს. ნაშრომი წარმოადგენს ავტორის დამოუკიდებელ ანალიზს და შეხედულებებს.

ამ პუბლიკაციაში მოცემული QR კოდის სკანირებისას თქვენ გადახვალთ ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის სამხრეთ კავკასიის ვებ-გვერდზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ეს ვებ-გვერდი არ არის დაკავშირებული პუბლიკაციის ავტორთან ან გამომცემელთან და მისი შინაარსი არ არის დამოწმებული ან მოწონებული მათ მიერ. ვებ-გვერდი მითითებულია მხოლოდ იმ მკითხველთათვის, ვისაც შესაძლოა აინტერესებდეთ დამატებითი ინფორმაცია ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის შესახებ.

ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი - „მედიახმა“ დაარსდა საქართველოში, 2015 წელს, ხოლო “მედიახმა - ევროპა“ დაფუძნდა ესტონეთში, 2024 წელს. ორივე ორგანიზაციის მიზნებია მედიის და მასკომუნიკაციის სფეროს განვითარების ხელშეწყობა, საგანმანათლებლოკვლევითი საქმიანობის განხორცილება; ახალი ცოდნის შექმნის გზით, მედიაწიგნიერების ამაღლების და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების ხელშეწყობა, მედიაგარემოს შეფასება; ინტერდისციპლინური ცოდნის ტრანსფერი და კონსულტირება - მედიის, კომუნიკაციის, მედიაფსიქოლოგიის, მედიასამართლის, საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით; სამეცნიერო კვლევების წარმართვა, სამეცნიერო - კვლევითი პოტენციალის წარმოჩენა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. სხვადასხვა პროექტის განხორციელებისას ორგანიზაციები თანამშრომლობენ ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მედიაორგანიზაციებთან. „მედიახმა“ არის არის „მედიის თავისუფლების კოალიციის” საკონსულტაციო ქსელის ერთადერთი წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან, მედიის განვითარების გლობალური ფორუმის (GFMD), ინფორმაციისა და დემოკრატიის ფორუმისა (FID) და ანტი-SLAPP კოალიციის წევრი.

“მედიახმა“: თავისი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს კანონებით, წესდებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

ვებგვერდი: https://www.mediavoice.ge/